

# **სამოქალაქო პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №7**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2016, №7**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2016, №7**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2016, №7**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პარევალია**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. პროცესის ხარჯები

## სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება

### განრიცხა

№ას-30-30-2016

23 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად და-  
ტოვება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ვ-ამ“ (შემდეგში: მოსარჩელე ან გამყიდველი) და ი/ზ  
ა. ზ-ემ (შემდეგში: მოპასუხე, მყიდველი ან პელანტი) 2013 წლის  
15 ივლისს დადეს კოლოს საწინააღმდეგო სამუალებების ნაწილ-  
ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება. მხარეებმა შესრულების ვა-  
და განსაზღვრეს 2013 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო ხელშეკრუ-  
ლების ფასი – 1 809 181,22 რუსული რუბლით [საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 477-ე მუხლი].

2. 2013 წლის 30 ივლისისათვის მოსარჩელემ ხელშეკრულე-  
ბით გათვალისწინებული საქონელი სრულად მიაწიდა მოპასუ-  
ხეს [სსკ-ის 477.1, 483-ე და 427-ე მუხლები].

3. მოპასუხებ მიღებული საქონლის ღირებულება არ გადაი-  
ხადა [სსკ-ის 477.2].

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და  
მოითხოვა: მიწოდებული საქონლის ღირებულების 1 809 818,22  
რუბლის, პირგასამტებლოს – 90490,91 რუბლის და საქონლის მი-  
წოდების, განპაჟების, დეკლარირებისა და საბროკერო მომსა-  
ხურების ხარჯის – 49 500 რუბლის მოპასუხისათვის დაკისრება.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი  
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარ-  
გებლოდ დაეკისრა 1809818,22 და 90490,91 რუბლის ეკვივალენ-  
ტი ლარის გადახდა.

6. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებმ. მან იმავდროულად სააპელაციო სასამართლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართა [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის 47.1 მუხლი 47].

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, მას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღის ვადაში გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი - 76012 რუბლის ეკვივალენტი ლარში [სსსკ-ის მუხლი 368.5].

8. 2015 წლის 21 ოქტომბერს აპელანტმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება [სსსკ-ის მუხლი 64], რაც სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა და ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა განმცხადებელს გაუგრძელდა 5 დღით [სსსკ-ის მუხლი 368.7].

9. 2015 წლის 17 ნოემბერს აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს კვლავ მიმართა შუამდგომლობით და ითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით [სსსკ-ის მუხლი 47].

10. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 ნოემბრის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული [სსსკ-ის მუხლი 368.5]. განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ აპელანტმა დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა თავისი გადახდისუუნარობა და ვერ წარუდგინა სასამართლოს ამ ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინება მოპასუხებ (აპელანტმა) გაასაჩივრა კერძო საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება, ასევე სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება ან გადავადება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ა) გაასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული არ არის აპელანტის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობის კრიტერიუმები და საფუძვლები;

ბ) სასამართლოს მსჯელობა შუამდგომლობის დაუსაბუთებლობაზე არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან შუამდგომლობას თან ერთოვდა აპელანტის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ ცნობა საჯარო რეესტრიდან, საგადასახადო დეკლარაციები და საბანკო ამო-

ნაწერები;

გ) აპელანტს სასამართლომ დაუსაბუთებლად შეუზღუდა სა-  
სამართლოსადმი მიმართვის უფლება, რითაც დაარღვია, რო-  
გორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ისე „ადამია-  
ნის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“  
მე-6 მუხლი.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატამ 2016 წლის 18 იანვრის განჩინებით კერძო საჩი-  
ვარი წარმოებაში იქნა მიიღო განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და  
ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა  
და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თა-  
ნახმად, კერძო საჩივრების განხილვაზ ზემდგომ სასამართლო-  
ები წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვა-  
ლისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის  
თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს სა-  
კასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა  
აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას  
საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სა-  
სამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად  
იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს  
შესაბამის დასაბუთებას.

15. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტი-  
რებული პირის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმარ-  
თოს სასამართლოს, სამოქალაქო პროცესში შეზღუდულია სა-  
მართალნარმოების ეკონომიკურობისა და მხარეთა თანასწორო-  
ბის დაცვის პრინციპებით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება  
კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ ნებისმიერი შეზ-  
ღუდვა უნდა იყოს „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა  
ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლთან შესაბამისი. თუმცა უდა-  
ვოა, ევროსასამართლოც იზიარებს იმ სულისკვეთებას, რომ „არ  
არსებობს უფლება უფასო სასამართლო პროცედურებზე“ ადა-  
მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „სა-  
სამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსო-  
ლუტური და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს; აღ-  
ნიშნული გამომდინარეობს იმ დასკვიდაზნ, რომ სასამართლო-  
სადმი ხელმისაწვდომობის უფლება „თავისი ბუნებით ექვემ-  
დებარება სახელმწიფო რეგულირებას; რეგულაცია შეიძლება

განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ინდივიდუების რესურსებისა და საჭიროებების საფუძვლზე“. (იხ., Golder judgment, p. 19, para. 38, quoting the „Belgian Linguistic“ judgment of 23 July 1968, Series A no. 6, p. 32, para. 5). თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვამ პირის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება არ უნდა შეამციროს იმდენად ან იმ ფარგლებით, რომ დაირღვეს ძირითადი უფლების არსი. გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი, თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არ იქნება დაცული გონივრული პროპორციულობა (.Ashingdane v. the United Kingdom saCivris # 8225/68, 28.05.1985)

16. სსსკ-ის 38-ე მუხლის „ვ“ პუნქტი, 39.1 „ბ“ და 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით სამოქალაქო საქმისწარმოებისას, აპელანტის ვალდებულებაა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გარდა იმ გამონაკლისის შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლით. ამ ნორმით გათვალისწინებული არცერთი შედავათი არ ვრცელდება აპელანტზე.

17. რაც შეეხება სსსკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტის მიერ ნარმოდგენილი საჯარო რეესტრის მონაცემები, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ნულოვანი დეკლარაციები და ბრუნვის არარსებობის დამადასტურებელი საბანკო ამონანერები უტყუარად არ ადასტურებენ აპელანტის გადახდისუუნარობას. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს შემდეგს: საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტი ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. ის ინდენციური და, შესაბამისად, ექცევა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის ნორმების მოქმედების ქვეშ [იხ. კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი]. კანონის მიხედვით გადახდისუუნაროა პირი, რომელსაც არა აქვს უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა; თუ აპელანტი თავს გადახდისუუნაროდ მიიჩნევდა, მაშინ მას უნდა ემოქმედა კანონის ფარგლებში და სასამართლოსათვის მიმართვით უნდა დაეწყო გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (კანონის მეექვსე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით მოვალე თავისისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან). აქედან გამომდინარე, აპელანტის მიერ ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა მისცემდა

სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების შესაძლებლობას.

18. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საქმის კონკრეტული გარემოებები და მოწინააღმდეგებები მხარის ინტერესებიც. დადგენილია, რომ დავის საგანია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება. ორივე მხარე მენარმე სუბიექტია. დავა დაწყებულია ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში. მოსარჩევემ განია საქმისწარმოების ხარჯები, მათ შორის გადაიხადა სახელმწიფო ბაჟიც (5000 ლარი), ანუ რაიმე სახის შეღავათით მას არ უსარგებლია. ასეთ პირობებში აპელანტისათვის უპირატესობის მინიჭება და მისი გათავისუფლება ბაჟის გადახდისაგან, ისე რომ უტყუარად არაა დადგენილი მისი გადახდისუუნარობა, გამოიწვევდა მეორე მხარის ინტერესების დაუშვებელ შეზღუდვას და შესაბამისად, თანაბრად არ იქნებოდა დაცული ორივე მხარის ინტერესები. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ეყრდნობა უკვე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგიც: „სასამართლო საქმეს იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შედავათის გავრცელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მხარეთა ინტერესებისა და განსახილველი შუამდგომლობის საფუძვლიანობის ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მეორე მხარის უფლებები. საკასაციო პალატა ამ მიმართებით ასევე მიუთითობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ბაჟის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს აპლიკანტის გადახდისუნარიანობას, ასევე განხილვის სტადიას, რა დროსაც ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა (see Kreuz, cited above, §§ 58 and 60). უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთეკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის (Weissman and Others, cited above, § 36) (იხ. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ“ საქმე №ას-998-942-2015 17 ნოემბერი 2015 წელი).

19. რაც შეეხება სსსკ-ის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ

შედავათს, სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას, აღ-ნიშნული სახის შეუამდგომლობით მოპასუხეს არ მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსათვის; შესაბამისად, საკასაციო სა-სამართლო ვერ იმსჯელებს იმ საკითხზე, რომელიც არ ყოფილა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი.

20. ამრიგად, საკასაციო პალატას მიწინა, რომ კერძო საჩი-ვარი ძალაში უნდა დარჩეს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარ-ღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი/მ ა. ზ-ის კერძო საჩივარი არ დაემაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სახელმიწოდების ოფიციალური გადაწილების ან მისი გადახდის გადავალების მიზანის დარღვევა**

### **განხილვა**

№ას-481-455-2015

26 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულების ვადის გადაცი-  
ლების გამო პირგასამტებლოს დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შ. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ის“ მიმართ  
ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგა-

სამტებლოს დაკისრების თაობაზე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. დ-ის სარჩელი ნაზილობრივ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შ. დ-მა და შპს „ა-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინებით შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით შპს „ა-ს“ სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარევზი და ხარევზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 2760.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ხარევზის აღმოსაფხვრელად სააპელაციო საჩივრის ავტორს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ აღნიშნული განჩინება აპელანტს გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდა 2015 წლის 17 მარტს. შესაბამისად, სასამართლომ 7-დღიანი საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან ე.ი 2015 წლის 18 მარტიდან და ამონურულად მიიჩნია 2015 წლის 24 მარტს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ იყო უქმე ან დასვენების დღე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს განჩინებით დადგენილ ვადაში ხარევზი არ შეუცია და დღემდე არც რაიმე შეუძლებელობით მიუმართავს სასამართლოსათვის. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 368-ე მუხლებზე დაყრდნობით პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა შპს „ა-ის“ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ა-მა“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ა-ის“ სააპე-

ლაციო საჩივარში ა-ის წარმომადგენელს მითითებული ჰქონდა, რომ ორგანიზაციის ანგარიშებს ეფო ყადაღა და მოკლებული იყო შესაძლებლობას გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, რისი დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებაც წარმოდგენილი ჰქონდა. შესაბამისად, აპელანტი შუამდგომლობდა ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ბაჟის გადავადებაზე უარის თქმით კი მას წაერთვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება – საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ შპს „ა-ს“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა-ს“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „ა-ს“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ და აპელანტ შპს „ა-ს“ დაევალა 7 დღის ვადაში წარედგინა სახელმწიფო ბაჟის 2760.00 აშშ დოლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი. ამასთან, საჩივრის ავტორის განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ გადაში ხარვეზის შეუესებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

დადგენილია ასევე და კერძო საჩივრის ავტორიც არ ხდის

სადავოდ იმ გარემოებას, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ გან-ჩინება აპელანტს გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე 2015 წლის 16 მარტს და ჩაბარდა 2015 წლის 17 მარტს. სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სა-სამართლოს მიერ დანიშნული ვადა ამოინურა 2014 წლის 24 მარტს, ხოლო აპელანტს დაკისრებული საპროცესო მოვალეო-ბა არ შეუსრულებია და არც შუამდგომლობით მიუმართავს სა-სამართლოსთვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა შუამდგომლობაში მის მიერ მითითებული გარემოებები და გადაევადებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკითხს იმის შე-სახებ, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სასამართლოს მიერ მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, გან-საზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგო-მარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამარ-თლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებ-ზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხო-ლო 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულე-ბებს სასამართლოს წარუდგენნ მხარეები.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლე-ბა გახდეს მხარისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავა-დების საფუძველი. სასამართლო ხარჯების გადახდის გადავა-დების თაობაზე შუამდგომლობის აღმდვრელმა პირმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად უნდა უზრუნველყოს სასა-მართლოსათვის იმ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის გადახდისუუნარობას დაასაბუთებს. მხარის მი-ერ წარდგენილ მტკიცებულებებს, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებო-დეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შე-დეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, მხარემ გადახდისუუნარობის და-

სასაბუთებლად სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა თბილი-სის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის განჩი-ნება შპს „ა-ის“ ფულად სახსრებსა და უძრავ ქონებაზე ყადა-ლის დადების თაობაზე 1 463 221 ლარის ფარგლებში. სააპელა-ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ წარდგენილი განჩინება ვერ ასაბუთებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გა-დავადების საფუძვლების არსებობას, ვინაიდან აპელანტის მი-ერ წარდგენილი მტკიცებულება არ გამორიცხავდა კომპანიის საბანკო ანგარიშებზე უფრო მეტი თანხის არსებობას, ასევე უც-ნობი იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის მომენტისთვის შე-ნარჩუნებული იყო თუ არა ყადაღა კომპანიის საბანკო ანგარი-შებზე. აღნიშნულს იზიარებს საქასაციო სასამართლოც, ვინაი-დან აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულება (განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ), დამოუკიდებლად აღე-ბული, უტყუარად ვერ ადასტურებს აპელანტის გადახდისუუ-ნარობას და არ წარმოადგენს მხარის ქონებრივი მდგომარეო-ბის ამსახელ საკმარის მტკიცებულებას. მისი განხილვა შესაძ-ლებელია მხოლოდ მხარის ქონებრივი მდგომარეობის ამსახელ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რომლებიც სააპე-ლაციო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

ამდენად, საქასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელა-ციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი აპელანტს სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შუამდგომ-ლობის დაკამაყოფილებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია და კერძო საჩივ-რის ავტორიც არ ხდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ სააპელა-ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით (სააპელაციო საჩივრზე ხარვეზის დადგენის შესახებ) დადგენილ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც სასამართლოსთვის მიუმართავს ხარ-ვეზის შევსების ვადის გაგრძელების შუამდგომლობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნა-წილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დად-გენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფ-ლება გაქარნებულდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენი-ლი ვადის გასვლის შემდეგ. ამდენად, დასახელებული მუხლე-ბიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია განახორციე-ლოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი

დავის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის დენის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარილის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მოცემული ნორმების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ ხარვეზის შესაგებად დანესხებულ საპროცესო ვადაში მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც სასამართლოსთვის მიუმართავს შუამდგომლობით, პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას საკუთარი ინიციატივით კვლავ გაეგრძელებინა ვადა აპელაციისთვის, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობებს ქმნიდა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე უარის თქმით, მას წაერთვა უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სამართლნარმოების დაწყებისათვის კანონით გათვალისწინებული ხარჯების გადახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კანონთან შეუსაბამოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

- შპს „ა-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი;
- საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სახელმიწოდებელის ოფიციალური გადახდის მინიჭების ან მისი გადახდის გადავადების ნინაკირობები

#### განჩინება

№ას-597-565-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „ს. ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ქ-ის მიმართ დავალიანების – 16 609.78 აშშ დოლარის გადახდის მოთხოვნით, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 1 378.72 აშშ დოლარი, საპროცენტო სარგებელი – 10 228.98 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტებლო – 5003 აშშ დოლარი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2010 წლის 11 ოქტომბერს სს „ს. ბ-სა“ და დ. ქ-ეს შორის დაიდო საპანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მსესხებელმა 60 თვის ვადით მიიღო სესხი 24 840 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 16%-ის დარიცხვით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-ს ოდენობით.

მოპასუხებ დაარღვია საპანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მისი დავალიანების ძირითადი თან-

ხაა 1 378.72 აშშ დოლარი, პროცენტი – 10 228.98 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტებლო – 50 000 აშშ დოლარი, სულ – 61 638.76 აშშ დოლარი. მოსარჩევემ დარიცხული პირგასამტებლო შეამცირა 90%-ით და პირგასამტებლოს სახით მოითხოვა 5 003 აშშ დოლარის დაკისრება.

მოპასუხებ სარჩევი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩევემ არაკეთილსინდისიერად გაზარდა გაურკვევებით დიდი პროცენტისა და პირგასამტებლოს ოდენობა. მხარემ მიიჩნია, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან ხელშეკრულება დაირღვა 2011 წლის 15 მარტიდან. ამასთან, სესხის უზრუნველსაყოფად გირაოთი დატვირთული ავტომანქანის რეალიზაცია ბანკმა განახორციელა არასამართლიან ფასში, ვინაიდან მისი ღირებულება გაცილებით მეტი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩევი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, დ. ქ-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 116.82 აშშ დოლარის, პროცენტის – 4 110.63 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 500.3 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა, გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – მოპასუხებ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩევემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინებით დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით აპელანტ დ. ქ-ეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 189.11 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

2015 წლის 13 მარტს დ. ქ-ემ წარადგინა განცხადება სააპელაციო საჩივრის განხილვის დასრულებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადების ან ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დ. ქ-ე სასჯელს იხდის სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ჰყავს პენსიონერი დედა, რომელიც არის ინვალიდი და ოჯახს ამ ეტაპზე არ გააჩნია ფინანსური რესურსი ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

სააპელაციო პალატის 2015 წლის 31 მარტის განჩინებით აპელანტ დ. ქ-ის წარმომადგენლის განცხადება სახელმწიფო ბა-

უის გადახდის ვალდებულების გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამასთან, აპელანტს ხარვეზის შევსების მიზნით განსაზღვრული ვადა 7 დღით გა-უგრძელდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში – 2015 წლის 14 აპრილს აპელანტმა განმეორებით მიმართა საა-პელაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის განხილვის დას-რულებამდე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გა-დავადების ან ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათე-ბით სარგებლობის შესახებ შუამდგომლობებზე აპელანტს თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 31 მარტის განჩინებით უარი ეთქვა უტყუარი მტკიცებულებების არარსე-ბობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ანალოგი-ური შინაარსის განცხადებით განმეორებით მიმართვა წარმო-ადგენდა საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობას და, რად-გან იმავე საფუძვლით აპელანტის მიერ დაყენებულ შუამდგომ-ლობებს ერთხელ უკვე ეთქვა უარი, ამდენად, წინამდებარე შუ-ამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სააპელაციო პა-ლატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა არ შესარულა სასამართლოს მიერ დავალებული საპროცესო მოქმედება ხარვეზის შევსების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შე-დეგები განემარტა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეტუთე ნაწილისა და 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპე-ლაციო პალატამ აღნიშნა, რომ დ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ. ქ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძ-ვლებით:

მხარემ განმარტა, რომ დ. ქ-ემ სააპელაციო საჩივარი შეიტა-ნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რა დღოსაც აპელანტმა მიმართა სააპელაციო პალატას სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე სახელმწი-ფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების მოთხოვნით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ ვერ წა-რადგინა დასახელებული ნორმით გათვალისწინებული უტყუარი მტკიცებულებები, თუმცა აღსანიშნავია, რომ დ. ქ-ეს არ ჰქონდა

ფინანსური რესურსი, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი, რადგან თავად დ. ქ-ე და მისი ძმა – ი. ქ-ე მსჯავრდებულები არიან და ჰყავთ ინვალიდობის მქონე დედა. იმის გამო, რომ ძმები ვერ უზრუნველყოფენ ოჯახს მატერიალურად, მათი ოჯახის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს დედის პენსია. ამ გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები სააპელაციო სასამართლოს წარედგინა. ამასთან, დ. ქ-ემ, სასჯელადსრულების დაწესებულებაში ყოფნის გამო, ვერ განახორციელა მტკიცებულებების მოპოვებისათვის საჭირო ქმედებები. მის დედას კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ინვალიდობის გამო, არ შესწევს უნარი, აქტიურად ჩაერთოს მსგავსი საკითხების გადაწყვეტაში.

მხარემ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის დანაწესი სასამართლო ხარჯების გადახდის ან მათი ოდენობის შემცირებისათვის მხარის მიერ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ არ შეიძლება, მივიჩნიოთ ყველაზე მაღალი იერარქიული აქტით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლების ხელყოფის საფუძვლად. აღნიშნული უფლების უგულებელყოფა არ შეიძლება, მოხდეს პირის ფინანსური მდგომარეობის გამო.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქმეზე ს/კ „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ (№38736/04). აპლიკანტი მიუთითებდა, რომ „სასამართლო ინსტანციებში წარმოებული საქმეების განხილვისას არსებული მაღალი გადასახადების გამო, კლუბი „მრეტები“ აღმოჩნდა ფინანსურ კოლაფისში“, რის გამოც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ყველასათვის უზრუნველყოფს უფლებას, ნებისმიერი საჩივრით მიმართოს სასამართლოს განმცხადებლის სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, თავის იურისდიქციაში უზრუნველყონ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის კონვენციის მე-6 მუხლის ფუნდამენტური გარანტიები სააპელაციო სასამართლოებში, ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებში. შესაბამისად, აპლიკანტის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლება, რომ მისი საქმე განეხილა უზენაეს სასამართლოს – 2004 წლის 30 იანვრისა და 15 მარტის გადაწყვეტილებით შეეზღუდა.

დ. ქ-ემ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეებზე ბაჟის გადახდის აუცილებლობა საქმის განხილვის დასაწყებად არ შეიძლება, განიხილებოდეს როგორც სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, რაც არ შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბა-

შის გონივრულობა უნდა განიხილებოდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების – აპლიკანტის გადახდისუნარიანობისა და განხილვის სტადიის გათვალისწინებით, რა დროსაც ასეთი შეზღუდვა წარმოიშვა. მეტიც, სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

განსახილველ შემთხვევაშიც მხარემ ჩათვალა, რომ დ. ქ-ეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლება სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის განჩინებით შეეზღუდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ქ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდევ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სააპელაციო პალატის მიერ დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების კანონიერება.

წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილი-სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. ბ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე დ. ქ-ეს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 116.82 აშშ დოლარის, პროცენტის – 4 110.63 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 500.3 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა, ამასთან, გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სხვადასხვა ნაწილში სააპელაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ. სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. ქ-ემ თავის სააპელაციო საჩივარში იშუამდგომ-

ლა სააპელაციო პალატის წინაშე სახელმწიფო ბაჟის გადახდი-საგან გათავისუფლების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 47-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის გან-ჩინებით დ. ქ-ის ზემოაღნიშნულ შუამდგომლობაზე საერთოდ არ უმსჯელია და აპელანტს დაუდგინა 10 დღის ვადა სახელ-მწიფო ბაჟის სახით 189,11 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითორის დედნის წარსადგენად.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტმა იშუამ-დგომლა სააპელაციო პალატის წინაშე სახელმწიფო ბაჟის ოდე-ნობის შემცირების ან გადახდის გადავადგების შესახებ იმ მო-ტივით, რომ თავად დ. ქ-ე და მისი ძმა – ი. ქ-ე იხდიდნენ სას-ჯელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო მხარის დედა სარგებლობდა ინვალიდის სტატუსით. ოჯახის შემოსა-ვალს შეადგენდა დედის პენსია. აპელანტს იმის შესაძლებლო-ბაც არ გააჩნდა, რომ საჯარო და სამენარმეო რეესტრებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია უძრავი ქონებისა და რომელიმე სა-ნარმოში წილის არქონის შესახებ, რადგან აღნიშნული მტკიცე-ბულებების მოპოვება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

სააპელაციო პალატის 2015 წლის 31 მარტის განჩინებით აპე-ლანტის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და მხარეს გაუგ-რძელდა ხარვეზის შეესების ვადა 7 დღით, ხოლო ანალოგიური შინაარსის განმეორებითი შუამდგომლობა სასამართლომ დატო-ვა განუხილველად დ. ქ-ის სააპელაციო საჩივართან ერთად.

სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და მისი გამო-უსწორებლობისას სააპელაციო საჩივრის განუხილველად და-ტოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს შეიცავს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი, რომლის მეხუთე ნაწი-ლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვე-ზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შეესებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელა-ციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზ-ღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შე-სავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომ-ლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს გან-ჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითი-თებული ვადის უმედევოდ გასვლის შემდეგ კი, სააპელაციო სა-ჩივარი აღარ განიხილება და განუხილველად დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორ დ. ქ-ის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის საპატიო მიზეზის დასასაბუთებლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ აპელანტმა შუამდგომლობა წარუდგინა სააპელაციო პალატას და მიიჩნია, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების წინაპირობები. ასეთად მხარემ მიიჩნია მის ოჯახში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რამაც საშუალება არ მისცა აპელანტს, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, კანონის მითითებული დანაწესით დადგენილი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან გადასახდელი თანხის ოდენობის შემცირების შესაძლებლობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შესწავლისა და საქმის მასალების გაანალიზების საფუძველზე სასამართლოს შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია.

აპელანტმა დ. ქ-ემ თავისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე დააფუძნა იმ გარემოებებზე, რომ მისი ოჯახი უკიდურესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაშია. თავად მხარე და მისი ძმა – ი. ქ-ე სასჯელს იხდიან სასჯელადსრულებით დაწესებულებაში, ხოლო მათი დედა პენსიონერია, ინვალიდობის მქონე პირია და ოჯახის ერთადერთ შემოსავალს სწორედ მისი პენსია წარმოადგენს.

ზემოთ მითითებული გარემოებების დასადასტურებლად მხარემ წარადგინა თავისი დედის – ნ. ქ-ის საპენსიო წიგნაკის ასლი. მოცემული საქმის მასალებიდან (სასამართლო გზავნილებიდან და ა.შ.) ასევე დასტურდება, რომ დ. ქ-ე იყო მსჯავრდებული და იხდიდა სასჯელს, ამავდროულად, საქმეში წარმოდგენილია სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა IV – 100/ა აპელანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ პაციენტი დაავადებულია გულის იშემიური

დაავადებით, დაძაბვის სტენოკარდიით, არტერიული ჰიპერტენზიით, პროქსიმალური 50% სტენოზით, გადატანილი აქვს სელექციური კორონაროგრაფია, მარცხენა წინამხრის ნაკვეთი ჭრილობა, ჰემორაგიული შოკი. იგი საჭიროებს მუდმივ მკურნალობასა და მეთვალყურეობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან სარწმუნოდ დასტურდება დ. ქ-ის მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების წინაპირობები.

მართალია, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დ. ქ-ის სააპელაციო საჩივარში დაფიქსირებულ შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარის სრულად გათავისუფლების შესახებ, რომელზეც სააპელაციო პალატას არანაირი რეაგირება არ მოუხდენია, თუმცა სავსებით მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ მოყვანილი გარემოებების საფუძველზე აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინებით მხარეს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება შეეზღუდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობა დადგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომელიც ასევე ითვალისწინებს მხარის მიერ შესაბამისი თანხის გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებსაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების მექანიზმი მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კანონისმიერ საშუალებასაც ნარმოადგენს. ამდენად, მისი გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს და შეაფასოს თანხის გადახდევინების პროცესში წარმოშობილი ყველა გარემოება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეეომენდაციების თანახმად, სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლო სამართალნარმობების განხორციელების დროს სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოშემუშავა ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით მრავალ საქმეზე და, მათ შორის, საქმეებზე: კრეუცი პოლონეთის წინააღმდეგ, იედამ-

სკა და იედამსკი პოლონეთის წინააღმდეგ, გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ, ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და ა. შ. განმარტა შემდეგი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას, სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები.

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „სასამართლოს უფლებას“ მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული კომპონენტი კონვენციის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობის გარანტია. „სასამართლოს უფლება“ არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აძლევს რა მხარეებს თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას“, სახელმწიფოს ამავე დროს აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმ საშუალებათა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ანიჭებს, რომელთა მეშვეობითაც „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება“ შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეზე დასაშვებად მიიჩნია ფიზიკურ პირთათვის სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული სახის, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ საქმეებს ეხება, სადაც საჩივრის დასაშვებობაზეა საუბარი ან სადაც მართლმსაჯულება მომჩინისაგან იმ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, რომელებიც შეორე შხარე გასწია. საჩივრის ან საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთ წინაპირობად სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების დაწესება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფად, თუმცა სასამართლოს მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდოს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება იმ გზით ან იმ ფარგლებში, რაც თვით აღნიშნული უფლების (სასამართლო ხელმისაწ-

ვდომობის) არსს ხელყოფს: სასამართლო ბაჟის ოდენობა გამო-ანგარიშებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქ-ტობრივი გარემოებების შესაბამისად, მომზივნის ფინანსური მდგომარეობის ჩათვლით; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქ-ნას სამართალწარმოების ეტაპი, როცა აღნიშნული შეზღუდვა იქნა გამოყენებული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევრო-პული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ ავალდებულებს მონაცილ სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო ინ-სტაციის სასამართლოების შექმნას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონაცილე სახელმწიფოს გააჩნია ზემდგომი ინსტაციის სასა-მართლო, მაშინ აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყო-ფილ უნდა იქნეს ზემდგომი ინსტაციის სასამართლოებშიც, თუმცა მოცემულ უფლებათა დაცვა ზემდგომი ინსტაციის სა-სამართლოებში აღნიშნული ინსტაციის სასამართლოების თა-ვისებურებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ზემ-დგომი ინსტაციის სასამართლოში ბაჟის საკითხთან დაკავში-რებით ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სააპე-ლაციო წესით საქმის განხილვის თავისებურებებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტაციის სასამართლოში საქმე არსებითად უკვე განხილულ იქნა, მონაცილე სახელმწიფო უფლებამოსილია, სააპელაციო წესით საქმის განხილვის დასაშ-ვებობაზე უფრო მკაცრი შეზღუდვები დააწესოს. ადამიანის უფ-ლებათა ევროპულმა სასამართლომ, გარდა ზემოაღნიშნულისა, საკუთარი დანიშნულება განმარტა და მიუთითა, რომ მის ფუნ-ქციას არ წარმოადგენს ეროვნულ დონეზე კომპეტენტური ორ-განოს ნაცვლად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომისა უზრუნ-ველმყოფი მაქსიმალურად ეფექტური ზომების განსაზღვრა და არც იმ ფაქტების შეფასება, რომლებიც სასამართლო გადაწყვე-ტილებას დაედო საფუძვლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ შეამოწმოს კომ-პეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძი-რითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამასთან, სა-სამართლომ განმარტა ისიც, რომ მის მიერ ფაქტების კვლევა ეფუძნება კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, დაიც-ვას არა თეორიული, ილუზიური უფლებები, არამედ უზრუნველ-ყოს პრაქტიკული და ეფექტური უფლებების განხორციელება და დაცვა, სწორედ ისეთის როგორიც დემოკრატიულ საზოგადოე-ბაში მისი განსაკუთრებული ადგილიდან გამომდინარე, სამარ-

თლიანი სასამართლოს უფლებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟ-თან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას დასაშვებად მიიჩნევს; 2. შეზღუდვები შეიძლება ატარებდეს ფინანსურ ხასიათს, რაც მოსარჩელის ან განმცხადებლისათვის ბაჟის დაკისრებაში გამოიხატება; 3. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის ფინანსურიც, შესაძლებელია უფრო გამკაცრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში; 4. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა კონვენციის საწინააღმდეგო ხასიათს იძენს, თუ აღნიშნული შეზღუდვის შედეგად სამართალწარმოება საერთოდ არ შედგა; 5. თუ საქმე არა ერთმა, არამედ ორმა ინსტანციამ არსებითად განხილა, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ხელმისაწვდომობის“ უფლების ხელყოფად; 6. შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის; 7. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის, ფინანსური, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არაგონივრული.

სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ბაჟის სახით გონივრული შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, რა დროსაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესს შორის. კერძო ინტერესის დაცვას ემსახურება ქართულ კანონმდებლობაში ბაჟთან დაკავშირებით დაწესებული ზედა ზღვარი, ასევე საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული უფლება იმისა, რომ ბაჟისაგან გათავისუფლების ან ბაჟის ოდენბის შემცირების საკითხი გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რა დროსაც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ქონებრივი მდგომარეობა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც მხარე თავად წარმოადგენს. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულია სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარკვეული სტანდარტი, თუმცა, კანონ-

მდებლობა შეზღუდვიდან გამონაკლისს უშვებს, ხოლო გამონაკლისით სარგებლობის უფლება მხარის განსაკუთრებული უფლებაა, რომლის გამოყენება მას მის მიერვე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეუძლია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას იმ ნაწილშიც, რომლითაც სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დ. ქ-ის მიერ განმეორებით შუამდგომლობის წარდგენა ემსახურებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებას. აღნიშნული კუთხით ნიშანდობლივია, რომ დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე მსჯელობა ვერ გამოიწვევდა საქმის განხილვის გაჭიანურებას, ვინაიდან სააპელაციო სასამართლო ამავე საქმის ფარგლებში ისედაც იხილავდა მოწინააღმდეგე მხარის – სს „ს. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. ქ-ის კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს დ. ქ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სახელმიწოდებულის გადახდის გადავალება

### განხილვა

№ას-841-792-2015

10 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის განუხილველად და-  
ტოვება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. სს. „ს-ს ს-ო ე-ამ“ (შემდეგში: „მონინააღმდეგე მხარე, ან  
მოსარჩევე) სარჩელი აღძრა შპს. „ჯ-ნ ი-სტ გ-ი“-ს (შემდეგში:  
„მოპასუხე ან მომჩივანი“) ნინააღმდეგ პირგასამტებლოს – 246  
600,49 ლარის – დაკისრების მოთხოვნით.

2. 2014 წლის 08 დეკემბერს, სასამართლოს მოსამზადებელ  
სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სხდომის შე-  
სახებ ეცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-  
სის, შემდეგში, სსკ-ის, 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.  
გამოუცხადებლობის მიზანების შესახებ მომჩივანს სასამარ-  
თლოსათვის არ უცნობებია.

3. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა საქ-  
მეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების და სარჩელის  
დაკმაყოფილების შესახებ.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 დე-  
კემბერს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპა-  
სუბის გამოუცხადებლობის გამო და სარჩელი დაკმაყოფილდა  
[საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდგომ-  
ში სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილი]. სასამართლომ სარ-  
ჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებუ-  
ლად ჩათვალა, რადგანაც ისინი იურიდიულად ამართლებდნენ  
სასარჩელო მოთხოვნას, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი გან-  
ხორციელების შემთხვევაში დადგებოდა ის სამართლებრივი შე-  
დეგი, რომლის მიღწევაც სურდა მოსარჩელეს [საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე, 494-ე, 417-419  
მუხლები].

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემ-

ბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მო-  
პასუხებ.

6. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 13 მარტის  
განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილა და ძალაში დატოვა გა-  
საჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის  
განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად მოპა-  
სუხებ გაასაჩივრა აპელაციის წესით. მან იმავდროულად იშუ-  
ამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება  
ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით მომჩივანის შუ-  
ამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლე-  
ბის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და მას დაევალა ხარვეზის შევ-  
სება – 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის, 7000 ლარის, გადახდა

9. ხარვეზის შევსების საპროცესო ვადაში მომჩივანმა შუამ-  
დგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა სახელმწიფო  
ბაჟის გადახდის გადავადება მძიმე ქონებრივი მდგომარეობის  
გამო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით მოპასუხის  
შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების თაობაზე არ  
დაკმაყოფილდა და სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებ-  
ლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

11. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-  
ტის 2015 წლის 22 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასა-  
ჩივრა მოპასუხებ (აპელანტმა).

12. მოპასუხის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი დაფუძ-  
ნებულია იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ  
შეაფასა და არ იმსჯელა მტკიცებულებებზე, რომლითაც დას-  
ტურდებოდა მომჩივანის მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რის  
გამოც ამ ეტაპზე მას არ გააჩნდა ბაჟის სახით 7000 ლარის გა-  
დახდის საშუალება. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ ბა-  
ჟის გადახდის გადავადებაზე უარის თქმის შემდეგ არ მისცა  
დამატებითი ვადა ხარვეზის შესავსებად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის განჩინებით კერძო  
საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შე-

დეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობათა გამო:

14.1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრი-ლის განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა სახელმწიფო ბა-ჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილ-და და მას დაევალა ხარვეზის შევსება – სახელმწიფო ბაჟის [7000 ლარის] გადახდა 7 დღის ვადაში. სახელმწიფო ბაჟის გა-დახდისაგან გათავისუფლებაზე უარი დასაბუთებული იყო იმით, რომ მომჩინეანს წარმოდგენილი არ ჰქონდა ქონებრივი მდგომა-რეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, როგორც ამას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა.

14.2. მომჩინეანმა, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით დადგენი-ლი ხარვეზის შევსების საპროცესო ვადაში, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახ-დის გადავადება მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გამო, რის და-სადასტურებლადაც შუამდგომლობას დაურთო საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ნულოვანი დეკლარაციები და ბრუნვის არარსებობის დამადასტურებელი საბანკო ამონანერები.

14.3. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია სა-აპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩინეანს უკვე ეთქვა უარი იმავე საფუძვლით სახელმწი-ფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომ-ლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირე-ბით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გა-რემოებაზე, რომ მოპასუხის მიმართ, რომელიც იურიდიული პი-რია, არ გამოიყენება სასკ-ის 47-ე მუხლის დანაწესი. შესაბამი-სად, მისი გათავისუფლება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან შე-საბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაშიც, არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

14.4. რაც შეეხება სასკ-ის 48-ე მუხლით მინიჭებულ უფლება-მოსილებას, სასამართლოს შეუძლია ნემისმიერ მხარეს, მათ შო-რის იურიდიულ პირსაც, ქონებრივი მდგომარეობის გათვალის-წინებით, გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სა-სამართლო ხარჯების გადახდა, თუ იგი სასამართლოს წარუდ-გენს უტყუარ მტკიცებულებებს. მოცემულ შემთხვევაში, მომ-ჩინეანი შუამდგომლობას ასაბუთებდა იმით, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჰქონდა მძიმე ფინანსური მდგომარეო-ბა, ფაქტიურად შეწყვეტილი ჰქონდა საქმიანობა და დათხოვი-ლი ჰყავდა თანამშრომლები. მან შუამდგომლობას დაურთო წი-

ნამდებარე განჩინების 14.2. პუნქტში აღნიშნული მტკიცებულებები. საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მომჩივანმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა სახელმწიფო პაჟის გადახდის გადავადების თხოვნით და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა აღნიშნული მტკიცებულებები და ემსჯელა გადავადების თაობაზე სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად.

14.5 საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მომჩივანმა სსსკ-ის 59-ე და 63-ე მუხლებიდან გამომდინარე დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან ხარვეზის შევსების საპროცესო ვადაში მან წარადგინა შუამდგომლობა სახელმწიფო პაჟის გადახდის გადავადების თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობის წარდგენა მომჩივანის საპროცესო უფლების განხორციელების საშუალებაა და ამ უფლების გამოყენება არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვა საპროცესო ვალდებულების (ხარვეზის შესების) განუხორციელებლობის საფუძვლად. სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა შუამდგომლობის თაობაზე და მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მიეცა დამატებითი საპროცესო ვადა ხარვეზის შესავსებად.

15. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ჯ-ნ ი-ტ გ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

### გადაცემის შემთხვევა საქართველოს სახელით

№სა-330-315-2015

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიერიშვილი,  
ნ. ბაქაევი

დავის საგანი: განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

ო. მ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს ს.კ. „ზ-ის“ მიმართ  
სახელფასო დავალიანების, ასევე წარმომადგენლის დახმარე-  
ბის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უა-  
რის თქმა მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 სექ-  
ტემბრის გადაწყვეტილებით ო. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა  
ნაწილობრივ, შპს ს.კ. „ზ-ს“ ო. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სა-  
ხელფასო დავალიანების – 2 800 ლარის, ასევე დაყოვნების ყო-  
ველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის – 2013 წლის  
6 მაისიდან 2014 წლის 6 მაისამდე – 632,6 ლარის გადახდა. მო-  
პასუხეს ი. მ-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა, 2014 წლის 6  
მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, დაყოვნებული სა-  
ხელფასო დავალიანების ყოველი დღისათვის 2 800 ლარის  
0,07%-ის – 1,96 ლარისა და წარმომადგენლის დახმარებისათ-  
ვის ხარჯის ანაზღაურება დაკმაყოფილებული მოთხოვნის 4%-  
ის – 137,3 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკ-  
მაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრეს მხარებმა, მოსარჩელემ მოითხოვა ახალი გა-  
დაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო  
მოპასუხებ – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ო. მ-ის საა-  
პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს ს.კ. „ზ-ის“ სააპელა-  
ციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გა-

დაწყვეტილება შპს ს.კ. „ზ-თვის“ ო. მ-ის სასარგებლოდ 137,3 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ო. მ-ის მოთხოვნა შპს ს.კ. „ზ-თვის“ წარმომადგენლის მომსახურებისათვის საჭირო ხარჯის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 1 თებერვალს ო. მ-მ და შპს ს.კ. „ზ-მა“ დადეს შრომითი ხელშეკრულება და ო. მ-მ დაიკავა კლუბის ექიმის თანამდებობა;

ხელშეკრულების თანახმად, ო. მ-ს, გადასახადების ჩაუთვლელად, ყოველთვიურად უნდა მიეღო ხელფასი 1 000 ლარი;

2013 წლის 18 თებერვალს კლუბმა ო. მ-ს გადაუხადა 1 500 ლარი, გარდა ამისა, 2013 წლის 4 თებერვალსა და 2013 წლის 4 აპრილს კლუბმა მოსარჩელეს გადაუხადა 500-500 ლარი. ამ პერიოდში კლუბს ო. მ-თვის სულ გადახდილი ჰქონდა 2 500 ლარი;

2013 წლის 1 ივნისამდე ო. მ-ე შრომით მოვალეობებს ასრულებდა, ხოლო 2013 წლის 1 ივნისს საფეხბურთო კლუბის პერსონალი, მათ შორის, ო. მ-ც გავიდნენ შევებულებაში;

შევებულება დასრულდა 2013 წლის 10 ივლისს, თუმცა, არც ამ დროს და არც ამის შემდეგ ო. მ-ე კლუბში აღარ გამოცხადებულა და შრომითი მოვალეობები არ შეუსრულებია.

გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოსარჩელეს ეკუთვნოდა შრომის ანაზღაურება მხოლოდ 2013 წლის 9 ივლისის ჩათვლით. ამის შემდეგ კი, მისი მოცდენა გამოწვეული იყო თავად დასაქმებულის ბრალით. 2013 წლის 10 ივლისიდან ო. მ-ს შრომითი მოვალეობები არ შეუსრულებია.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის 32-ე მუხლით და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა დამსაქმებლის ბრალით დასაქმებულის იძულებით მოცდენას, ასევე იმას, რომ შევებულების გასვლის შემდგომ დასაქმებული გამოცხადდა სამსახურში და იგი სამუშაოზე არ დაუშვეს. პალატის შეფასებით, 2013 წლის 10 ივლისს კლუბის მიერ შრომითი ხელშეკრულების სხვა ექიმთან გაფორმება, დამსაქმებლის ბრალით მოსარჩელის იძულებითი მოცდენას არ ამტკიცებდა, ამასთან, ო. მ-ს სასამართლო-სათვის არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულება წარუდგენია, რომ კლუბის მიერ მისთვის გადახდილი 1 500 ლარი იყო არა ავანსად გაცემული ხელფასი, არამედ, პრემია. კლუბის მიერ დასაქმებულისათვის გადახდილი 1 500 ლარის ჯილდოდ გადაცემას გამორიცხავდა ის გარემოებაც, რომ შრომის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კლუბს და-

საქმებულის მიერ მისალები თანხიდან ზედმეტად გადახდილის გამოქვითვის უფლება წარმოეშობოდა.

არ იქნა გაზიარებული საფეხბურთო კლუბის პოზიცია მო-სარჩელისათვის ივნისისა და ივლისის თვის ხელფასის ნაწილის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგანაც, სამოქალა-ქო კოდექსის 50-ე მუხლისა და 51-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს არ დაუდასტურებიათ ის გარემოება, რომ მათ შორის არსებული შრომითი ურთიერთობები ხელშეკ-რულების ვადის გასვლამდე, კანონით დადგენილი წესით, შენ-ყდა. შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გა-მომდინარე, რადგანაც, მოსარჩელის შვებულებაში ყოფნის გა-მო, 2013 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 9 ივლისის ჩათვლით ამა-ვე კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თა-ნახმად, შეჩერებული იყო შრომითი ურთიერთობა, ო. მ-ე უფ-ლებამოსილი იყო, 2013 წლის პირველი ივნისიდან 2013 წლის 9 ივლისის ჩათვლით შრომითი მოვალეობები არ შეესრულებინა, ხოლო კლუბი ვალდებული იყო, გადაეხადა ანაზღაურება.

გაზიარებულ იქნა კლუბის სააპელაციო პრეტენზია წარმო-მადგენლის მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში. პალა-ტამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ამ ნორმის შესაბამისად, ანაზ-ღაურებას ექვემდებარება მხარის მიერ უკვე გაწეული და არა გასაწევი ხარჯი. სადაც არ იყო, რომ ო. მ-ს წარმომადგენლის მომსახურების საფასური გადახდილი არ ჰქონდა, რის გამოც მოწინააღმდეგე მხარისათვის ამ თანხის გადახდის დაკისრე-ბის საფუძვლები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-სით გაასაჩინორა ო. მ-მ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაემაყოფი-ლება, ასევე წარმომადგენლის მომსახურების თანხის – 137,3 ლარის მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება შემდეგი და-საბუთებით:

მოპასუხეს, მართალია, გადახდილი აქვს 2 500 ლარი, თუმცა ამ თანხიდან 1 500 ლარი წარმოადგენდა პრემიას, ამონანერში ამ თანხის დანიშნულებად მითითებული არ არის ხელფასი, მაშინ, როდესაც ყველა სხვა ჩარიცხული თანხის დანიშნულებად მითი-თებულია სწორედ ხელფასი. ამდენად, მოპასუხეს გადასახდე-ლი აქვს თებერვლისა და მარტის ხელფასის სახით 500-500 ლა-რი, მაის-ივნისში – 1 000-1 000 ლარი, ხოლო 1 ივლისიდან 9 ივლი-სის ჩათვლით – 300 ლარი, სულ – 3 800 ლარი. ასევე არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ კასატორი სა-

კუთარი ინიციატივით არ გამოცხადებულა კლუბის შეკრებაზე. როგორც წესი, შვებულების დასრულების შემდგომ, კლუბი თი-თოვეულ ფეხბურთელსა და კლუბის დანარჩენ წევრებს აწვდის ინფორმაციას, სად და როდის იკრიბებიან. ეს ინფორმაცია მიე-წოდა კლუბის ყველა წევრს, გარდა კასატორისა, რის გამოც ო. მ-ე შეკრებაზე თავის ბრალის გარეშე ვერ გამოცხადდა.

კასატორის შეფასებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, 31-ე მუხლი, პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი და 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან საქმეში არსებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, იურიდიული მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნას კლიენტის სარჩელის დაკამაყოფილების შემდეგ, შესაბამისად, ხელშეკრულების ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ მომსახურების ხარჯები გადაიხდება საქმის დასრულების შემდეგ და არა წინასწარ, აქედან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯი – 137,3 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინებით ო. მ-ის საკასაციო საჩივარი წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო სახელფასო დავალიანების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, იურიდიული მომსახურების ხარჯების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ო. მ-ის მოთხოვნა ამ ნაწილში უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებულისათვის იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ მოსარჩელის ამ მოთხოვნის დაკამაყოფილებაზე უარი იმ საფუძვლით განაცხადა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით ანაზღაურებას ექვემდებარება მხარის

მიერ უკვე გაწეული და არა გასაწევი ხარჯი, ხოლო, რადგანაც ო. მ-ს წარმომადგენლის მომსახურების ხარჯი საქმის განხილვის იმ დროისათვის არ ჰქონდა გადახდილი, არ არსებობდა მოწინააღმდეგე მხარისათვის ამ თანხის დაკისრების საფუძველი.

კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ დასკვნას არ ეთანხმება და განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, მას, როგორც წარმოდგენილ პირს, ეკისრებოდა ადვოკატის მომსახურების ხარჯის გადახდა დავვის დასრულების შემდეგ და არა წინასწარ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სამართლის ხორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე იურიდიული მომსახურების განვის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ე.ი.ჯ-მა“ იყისრ გალდებულება, ო.მ-ოვის გაეწია მომსახურება. ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრულია ანაზღლაურების წესი და პირობები, კერძოდ, 3.2 პუნქტით დადგენილია, რომ იურიდიული მომსახურების საფასური გადახდილ უნდა იქნას კომპანიის მიერ კლიენტის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. საქმეში ასევე წარმოდგენილია ო. მ-ის მიერ ო. ქ-ის სახელზე სანოტარო წესით დამოწმებული რჩმუნებულება და შპს „ე.ი.ჯ-ის“ მიერ ო. ქ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომლითაც განსაზღვრულია ო. ქ-ის ვალდებულება, დაიცვას ო. მ-ის ინტერესები შპს ს.კ. „ზ-ის“ მიმართ არსებულ დავაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა

აუცილებელი ხარჯები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებული მხარის სა-სარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების და-კისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საპროცე-სო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სა-სარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სა-ხელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზია-რებს კასატორის პრეტენზიას ოურიდიული მომსახურების ხარ-ჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასა-მართლოს გადაწყვეტილების უსწორობის თაობაზე და მოიხ-მობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკიდ-რებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქ-მეზე, სადაც მხარეს წარმომადგენლის მომსახურებისათვის გა-ნებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარდგენილი, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების დასკვნა, რომ არსებობდა მოგებული მხა-რისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების წინა-პირობები. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯე-ბის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძ-ველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შე-უძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათ-ვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფ-ლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადა-მინის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასა-მართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილი-ყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევ-როპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართვე-ლოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზ-ღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფი-ლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

თვლის, რომ სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ლირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. სუსგ №ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008 წელი).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდგენილ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დათქმას (3.2 პუნქტი) ანაზღაურების წესის თაობაზე და განმარტავს, რომ მოსარჩელესა და შპს „ე.ი.ჯ-ს“ შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სკ 709-ე მუხლი), სამოქალაქო კოდექსის 710-ე მულის პირველი წანილის თანახმად კი, მარნმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამდენად, რადგანაც ირკვევა მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, ასევე ის გარემოება, რომ მარნმუნებელს მომსახურების ხარჯის გადახდის ვალდებულება დავის დასრულების შემდგომ წარმოეშობა, პალატა მიიჩნევს, რომ ო. შ-ის პრეტენზია ადვოკატის მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია. თავის მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მართლმსაჯულების განხორციელების გამო მოგებული მხარის ინტერესების დაცვის პროცენტულ ზღვარს და კანონმდებლობით გათვალისწინებულია, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი დავისას იურიდიული მომსახურების ხარჯის გონივრული და სამართლიანი ოდენობის განსაზღვრის კრიტიკული. 53-ე მუხლის პირველი წანილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმტეს დავის საგნის ლირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან სახეზე არაა საქმის ქვემდგომი სასა-

მართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, პალატა მიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება, რომ ო. მ-ის სასარჩევო მოთხოვნა დაქმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს ს.კ.ზ.-ს ო. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 2 800 ლარის, მისი გადახდის დაყოვნებისათვის 2013 წლის 6 მაისიდან 2014 წლის 6 მაისამდე – 632,60 ლარის, ხოლო 2014 წლის 6 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველი დაყოვნებული დღისათვის – 2 800 ლარის 0,07%-ის (1,96 ლარის) გადახდა. კასატორი იურიდიული მომსახურების ხარჯის სახით მოითხოვს 137,3 ლარის ანაზღაურებას, რაც საკასაციო პალატის შეფასებით, კანონიერია და არსებობს ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. ო. მ-ის საკასაციო საჩივარი იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაქმაყოფილდეს.

2. შპს ს.კ.ზ.-ს (ს/№.....) ო. მ-ის (ვ/№.....) სასარგებლოდ დაეკისროს იურიდიული მომსახურების ხარჯის – 137,3 ლარის ანაზღაურება.

3. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

### გადაცემული საქართველოს სახელით

№ას-1350-1387-2014

27 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ  
ბათილად ცნობა და უძრავი ქონების მიკუთვნება

#### აღნერილობითი ნაწილი:

გ. ჩ-მა თელავის რაიონულ სასამართლოში ა. ჩ-ის მიმართ წა-  
რადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა თელავის რაიონის სო-  
ფელ გ-ში მდებარე 800 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 285,9 კვ.მ საც-  
ხვერბელი სახლის (საკადასტრო კოდი: ...) ნასყიდობის შესახებ  
2008 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების ბა-  
თილად ცნობა ნასყიდობის საგინის 1/2-ის განკარგვის ნაწილში  
და შესაბამისი ქონების მესაკუთრედ ცნობა.

#### სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

გ. ჩ-ი დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ გ-ში მამის – ა. დ-ის ძე  
ჩ-ის კომლში. 1984 წლის 24 თებერვლის გაყრილობის აქტით  
კომლს გამოყო გ. ჩ-ის ძმა – გ. ჩ-ი. 1986-2000 წლების საკომლო  
წიგნის ჩანაწერების მიხედვით, გ. ჩ-ი ირიცხებოდა ა. დ-ის ძე ჩ-ი  
კომლში და ცალკე მიწის ნაკვეთი არ მიუღია. ა. დ-ის ძე ჩ-ი  
გარდაიცვალა 2008 წლის მაისში. მის სახელზე რიცხულ მიწის  
ნაკვეთსა და გაყრილობის აქტით მიკუთვნებულ ოთახებს  
ფლობს გ. ჩ-ი. ქონებაზე უფლების რეგისტრაციის მიზნით, მი-  
მართა რა საჯარო რეესტრს, გ. ჩ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ  
ეს ქონება ირიცხება ა. გ-ს ძე ჩ-ის სახელზე 2008 წლის 19 თე-  
ბერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძ-  
ველზე, რომლითაც იგი მოსარჩელის მამაშ – ა. დ-ის ძე ჩ-მა გა-  
ასხვისა. აღნიშნული ხელშეკრულება ა. დ-ის ძე ჩ-ის ნამდვილი  
ნების გამოვლენის შედეგადაც რომ იყოს გაფორმებული, მას  
არ ჰქონდა უფლება, გაესხვისებინა კომლის ქონება, ვინაიდან  
ის არ იყო კომლის ერთადერთი წევრი.

ა. ჩ-მა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმა მოითხოვა იმაზე მითითებით, რომ გ. ჩ-ი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, მინის რეფორმის დროს აღარ იყო კომლის წევრი, რის გამოც, კომლის ქონების მიღება-ჩაბარების აქტი მხოლოდ ა. დ-ის ძე ჩ-ის სახელზე გაიცა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩელი დაემაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 19 თებერვალს ა. დ-ის ძე ჩ-სა და ა. გ-ს ძე ჩ-ს შორის დადებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №....., მის: თელავის მინიციპალიტეტი სოფელი გ-) ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 წილზე და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის გზით დადგინდა აღნიშნულ 1/2 წილზე მოსარჩელე გ. ჩ-ის მესაკუთრედ რეგისტრაცია.

თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაემაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა და თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ შემდეგი გარემოებები მიიჩნია დადგენილად:

მოსარჩელე გ. ჩ-ი არის 2008 წლის 6 მაისს გარდაცვლილი ა. დ-ის ძე ჩ-ის შვილი;

მოპასუხე ა. გ-ს ძე ჩ-ი არის მოსარჩელე გ. ჩ-ის ძმის შვილი; თელავის რაიონის სოფელ გ-ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ დადასტურებული, 1984 წლის 28 თებერვლის გაყრილობის აქტის თანახმად, ა. დ-ის ძე ჩ-ის კომლის ქონება გადაუნაზილდა, ერთი მხრივ, ა. დ-ის ძე ჩ-ს, მის მეუღლესა და ორ შვილის, ხოლო მეორე მხრივ – გ. ა-ს ძე ჩ-ს;

1986-1990 საკომლო წიგნების თანახმად, ა. დ-ის ძე ჩ-ის კომლის წევრებინ არიან: ა. დ-ის ძე ჩ-ი – ოჯახის უფროსი; თ. შ-ს ასული ჩ-ი – ცოლი, ხაზი აქვს გადასმული, გარდაიცვალა; გ. ა-ს ძე ჩ-ი – შვილი, მინაწერი აქვს – წასულია თელავში საცხოვრებლიდან ამოუნერავად;

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ: საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფა, საკოლმეურნეო კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვა, კომლის გაყრა და ა.შ ხდებოდა იმ დროისათვის მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის, სამოქალაქო სა-

მართლის კოდექსის 126-ე, 127-ე, 128-ე მუხლების საფუძველზე. თითოეული ზემოთ მითითებული მოქმედება ხორციელდებოდა გარკვეული პროცედურების დაცვით, რაც შემდეგში აისახებოდა საკომლო ჩანაწერებში, ანუ ყოველი საკომლო ჩანაწერი გამომდინარებდა გარკვეული წინაპირობებიდან. შესაბამისად, მსგავსი ურთიერთობის მოწესრიგებისას არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულებას წარმოადგენს საკომლო წიგნის ჩანაწერები. განსახილველ შემთხვევაში, დავის კანონიერად გადაწყვეტას განაპირობებს მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება. 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას სამი წლის განმავლობაში ზედიზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი არ მონაწილეობდა მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში განვევის, სასანავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო. ალნიშნული ნორმით განსაზღვრული გარემოებების დადგენისას მტკიცების ტვირთი ნაწილდება სხვადასახვაგვარად, კერძოდ: ა) ნორმის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ფაქტის, ანუ, იმის დადგენისას, აქვს თუ არა პირს დაკარგული კომლის ქონებაზე უფლება, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც მიუთითებს ამ გარემოებაზე (მოცემულ შემთხვევაში, სწორედ, მოპასუხე აპელირებდა, რომ, რადგან მოსარჩელე წასულია ქალაქში საცხოვრებლად, ის არ შეიძლება, ჩაითვალოს კომლის ქონების მესაცუთრედ); ბ) თუკი ამ ნორმის პირველი წინადადებით მტკიცებაზე ვალდებული პირ შეძლებს იმის დადასტურებას, რომ კომლის შრომისუნარიანი პირი კომლის მეურნეობაში 3 წლის განმავლობაში მონაწილეობას არ იღებს, ამის შემდეგ უკვე კომლის ქონების წილზე საკუთრების უფლების დაკარგვის გამომრიცხავი გარემოების დამტკიცების ტვირთი ინაცვლებს იმ პირზე, ვისაც გააჩნია მოთხოვნა კომლის ქონებაზე. განსახილველ დავაში მოპასუხის შესაგებელი, სწორედ იმ გარემოებას ემყარება, რომ მოსარჩელეს დაკარგული აქვს კომლის ქონებაზე საკუთრების უფლება. მართალია, ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ 3-წლიან ვადას არ მიუთითებს, მაგრამ, შინაარსობრივად მოპასუხის შედავება, სწორედ კომლის ქონებაზე მოსარჩელის უფლების დაკარგვას ეფუძნება. ზემოთ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ლოგიური და სამართლიანი განაწილება მტკიცების ტვირთისა იმას გულისხმობს, რომ მოპასუხემ უნდა ადასტუროს მოსარჩელის მი-

ერ კომლის ქონებაზე უფლების დაკარგვის განმაპირობებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ მოსარჩელე ზედიზედ 3 წლის განმავლობაში არ იღებდა კომლის საერთო მეურნეობაში მონაწილეობას. ამგვარი მტკიცების ტვირთი მოპასუხეს 128-ე მუხლიდან გამომდინარე, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით გააჩნია, რომ საკომლო წიგნების ჩანაწერებით, მართალია, მოსარჩელე წასულია თელავში, მაგრამ საცხოვრებლიდან ამოუწერავად, ანუ მოსარჩელე თავის მტკიცებას იმთავითვე იმაზე აფუძნებდა, რომ იგი ჩაწერილია კომლში და არ ამოწერილა ამ კომლიდან. მოპასუხე კი, მარტოოდენ ამ გარემოების უარყოფით შემოიფარგლა, მიუთითა რა, რომ მოსარჩელე მონაწილეობას არ იღებდა კომლის საქმიანობაში. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ შესაგებელში აღნიშნული გარემოების გაცნობის შემდეგ მოსარჩელემ დამატებით განმარტა, რომ იგი კომლის ქონების განვითარებასა და კომლში არსებული უძრავი ქონების მშენებლობაში უშუალოდ მონაწილეობდა, მოპასუხემ კი, ამის შემდგომაც არ წარმოადგინა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 128-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებანი. ამიტომ პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მასზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-105-ე მუხლებით დაკისრებული მტკიცების ტვირთის ფარგლებში, სასამართლოს წარმოუდგინა საკომლო წიგნის ჩანაწერები, რომლის შესაბამისადაც, იგი იყო კომლის წევრი და არ ამოწერილა საკომლო წიგნიდან, მოპასუხემ კი, ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება და იმის დადასტურება, რომ მოსარჩელეს კომლის ქონებაზე დაკარგული აქვს უფლება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ შეუწყვეტია სამართლებრივი კავშირი ა. დ-ის ძე ჩ-ის კომლთან.

სააპელაციო პალატის მითითებით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 122-ე და 125-ე მუხლების თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ, ამასთან, კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნოდათ.

პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისად: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბ-

ჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაციი და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასცლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის მოსპობის შემდეგ დარჩენილი ქონების გაყოფა წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით. ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის ნევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ნევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა ნევრს, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიძმნა კომლის ყოფილ ნევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 ივლისის განჩინება, №ას-988-1242-05). ამდენად, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და, ამავე დროს, კომლის ნევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას და იგი არის კომლის ყოფილ ნევრთა საერთო საკუთრება თანაბარი წილით, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ გ. ჩ-ი წარმოადგენდა კომლის ნევრს და, ამდენხად, სადავო უძრავი ქონებაზე გააჩნდა თანასაკუთრების უფლება კომლის სხვა ნევრებთან ერთად. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 19 თებერვალს ა. დ-ის ქ ჩ-სა და ა. გ-ს ქ ჩ-ს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 წილზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მართლზომიერად (ცნო ბათილად).

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ჩ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინება განსხვავდება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რომლის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარისა და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია გ. ჩ-ის კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ 2004 წლიდან გ. ჩ-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს თელავი, რაც გამორიცხავს სოფელ გ-ის კომლის დამხმარე მეურნეობაში მის მონაწილეობას, სადაც საკითხი სასამართლომ მოსარჩელის საარგებლოდ უსაფუძვლოდ გადაწყვიტა;

საქმეში არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტებით – 1995 წლის 29 აპრილის №68 მიღება-ჩაბარების აქტითა და 2008 წლის 13 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ სადაც კონების ერთადერთ მესაკუთრეს ა. დ-ის ძე ჩ-ი წარმოადგენდა, საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმაციიდან გამომდინარე კი, კასატორი კეთილსინდისიერი შემძინია. აღნიშნული გარემოებებისა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის (№ას-980-1243-05 განჩინება) უგულებელყოფით სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 19 თებერვლის ხელშეკრულება მიიჩნია ბათილ გარიგებად;

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის პრეტენზიაზე, რომლის შესაბამისად, პირველის ინსტანციის სასამართლომ მას არასწორად დააკისრა მოსარჩელისათვის ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიის ნაწილში მიჩნეული იქნა დასაშვებად, ხოლო დანარჩენ ნაწილში, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა რა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარის საფუძვლები, იურიდიული მომსახურების

ხარჯების მხარისათვის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთებულობა, მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ის პრეტენზია გასაჩივრებული განჩინების ამ ნაწილზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გ. ჩ-მა თელავის რაიონულ სასამართლოში ა. ჩ-ის მიმართ წარდგენილი სარჩელით მოითხოვა თელავის რაიონის სოფელ გ-ში მდებარე 800 კვ.მ მინის ნაკვეთისა და 285,9 კვ.მ საცხოვრებელი სახლის (საკადასტრო კოდი: ..... ) ნასყიდობის შესახებ 2008 წლის 19 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა ნასყიდობის საგნის 1/2-ის განკარგვის ნაწილში და შესაბამისი ქონების მესაკუთრედ ცნობა;

მოსარჩელე გ. ჩ-მა სადავო უძრავი ქონების – თელავის რაიონის სოფელ გ-ში მდებარე მინის ნაკვეთისა და მასზე არსებული საცხოვრებელი სახლის 1/2-ის ღირებულებად მიუთითა 5000 ლარი ამ ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის შესაბამისად;

მოსარჩელე სარჩელს დაურთო ბანკის სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლის შესაბამისად, ლ. ჩ-ის ანგარიშზე გადასარიცხად გ. ჩ-მა შეიტანა 420 ლარი, როგორც ჰონორარი;

ლ. ჩ-ი იყო გ. ჩ-ის ნარმომადგენელი და ნარმოდგენდა მის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (2014 წლის 13 მარტის, 10 აპრილის, 29 აპრილის, 3 მაისის სხდომის ოქმები);

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით გ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 19 თებერვალს ა. დ-ის ქე ჩ-სა და ა. გ-ს ქე ჩ-ს შორის დადგებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №....., მის: თელავის მინიციპალიტეტი სოფელი გ-ი) ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 წილზე და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის გზით დადგინდა აღნიშნულ 1/2 წილზე მოსარჩელე გ. ჩ-ის მესაკუთრედ რეგისტრაცია. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს სრულად დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი ბაზის – 150 ლარისა და განეული ადვოკატის ხარჯის – 420 ლარის ანაზღაურება;

თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. გარდა ამისა, აპელანტმა მიუთითა, რომ სასამართლომ მას არასწორად დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემ-

ბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად;

მოსარჩელისათვის ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებასა და მისი ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კასატორის პრეტენზის შესაბამისად, დავის საგნის ლირებულების – 5000 ლარის 4% არ ის 420 ლარი, რის გამოც არასწორია მისთვის 420 ლარის ოდენობით ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ შხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაკავისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ლირებულების 4 პროცენტისა.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების გამო მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მიეღო მის მიერ განეული ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება დავის საგნის ლირებულების – 5000 ლარის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 200 ლარს. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 420 ლარის ოდენობით ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში და მისი ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოტანილია კანონის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძველი, რის გამოც, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბერის განჩინება უნდა გაუქმდეს ა. ჩ-ისათვის გ. ჩ-ის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯის – 420 ლარის ანაზღაურების დაკავისრების შესახებ თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით შესაბამის ნაწილში უნდა გაუქმდეს თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ა. ჩ-ს გ. ჩ-ის სასარგებლოდ

უნდა დაეკისროს ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ადვოკატის ხარჯის დაკისრე-  
ბის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის  
განჩინების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014  
წლის 17 ნოემბერის განჩინება ა. ჩ-ისათვის გ. ჩ-ის სასარგებ-  
ლოდ ადვოკატის ხარჯის – 420 ლარის ანაზღაურების დაკის-  
რების შესახებ თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის  
30 მაისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში და ამ  
ნაწილში თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების  
შეცვლით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ჩ-ს გ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ადვოკატის ხარ-  
ჯის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით;

4. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ  
გასაჩივრდება.

## 2. საპროცესო ვალის გასვლის შედეგები

### განხილვა

№ას-1143-1075-2015

4 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
მოსამართლე: ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „კ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – ზ. ც-ის, მ. გ-ის, მ. გ-ისა და დ. გ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 31 ივლის გადაწყვეტილებით შპს „კ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხებს – ზ. ც-ეს, მ. გ-ეს, მ. გ-ესა და დ. გ-ეს შპს „კ-ს“ სასარგებლოდ დაკისრათ ძირითადი თანხის – 1196.49 აშშ დოლარის, პროცენტის – 82.65 აშშ დოლარის, სიცოცხლის დაზღვევისათვის გადასახდელი თანხის – 7.85 აშშ დოლარისა და პირგასამტებლის – 59.82 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ც-ებ და მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის უზრუნველყოფისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ზ. ც-ის სააპელაციო საჩივრა დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ც-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

აღნიშნული განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ზ. ც-ეს პირადად ჩაბარდა 2015 წლის 18 ნოემბერს. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში კერძო საჩივრის ავტორს და ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ც-ის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია სასამართლო შეტყუბინება მხარეს ჩაბაროს აგრეთვე ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული ტიპის შეტყუბინების ნამდვილობისათვის კანონმდებელი მოითხოვს, რომ საქმეში წარმოდგენილი იყოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი სატელეფონო შეტყუბინების მხარისათვის ჩაბარების თაობაზე (სსკის 73.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლო დამოუკიდებლად წყვეტს ადრესატს შეტყუბინება რა ფორმით ჩაბაროს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი კერძო საჩივრის ავტორს პირადად ეცნობა სატელეფონო შეტყუბინებით 2015 წლის 18 ნოემბერს, საქმეში მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე (იხ. სატელეფონო შეტყყობინების აქტი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგინდილი ხუთდღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 19 ნოემბერს და ამოინურა ამავე წლის 24 ნოემბერს, ვინაიდან 23 ნოემბერი იყო არასამუშაო დღე – საეკლესიო დღესასწაული „გიორგობა“. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გა-

მომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოქმედება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, მისი კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 284-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ც-ის კერძო საჩივარი დარჩეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სააროვესო ვალის გასვლის შედეგები

## განხილვა

№ას-1130-1063-2015

9 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. ბაქაქური,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. ლ. თ-მა სარჩელი აღმრა თბილისის საქალაქო სასამართლო-ში შპს „პ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის უსაფუძ-ვლო გამდიდრებით მიღებული სარგებლის – 38 400 ლარის და-კისრება.

2. მოპასუხებ სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით სარჩე-ლი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააპელა-ციი საჩივარი წარადგინა ლ. თ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ლ. თ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 აპრილის გადაწ-ყვეტილებაზე დარჩა განუხილველად სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 16 სექტემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ლ. თ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება და ხარვეზის აღმოფხვრისათვის დამატები-თი ვადის მიცემა.

7. კერძო საჩივარი დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითი-თებით, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელა-ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26

ივნისის განჩინება ლ. თ-ს გაეგზავნა რეგისტრირებულ მისამართზე და 2015 წლის 12 აგვისტოს ჩაბარდა მის დედას – ნ. ბ-ეს.

ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარების დროისათვის ლ. თ-ი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ ბათუმში, სადაც ერთ კვირას დაყოვნდა.

ნ. ბ-ეს (კერძო საჩივრის ავტორის დედას) ასაკის გამო აქვთ ჯანმრთელობასა და მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის არსებობის შესახებ ლ. თისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ თბილისში დაბრუნების შემდეგ, რასაც უკავშირდება მის მიერ საპროცესო ვალის გაშვება.

კერძო საჩივრის ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ მას არ დაუკარგავს სასამართლებრივი ინტერესი საქმისადმი და დროულად შეტყობის შემთხვევაში აღმოფხვრიდა ხარვეზს.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკაყიფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

10. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისის განჩინებით ლ. თ-ს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე და განესაზღვრა 10 დღის ვადა მის შესავსებად.

11. ხარვეზის დადგენის შესახებ ზემოაღნიშნული განჩინება თ-ს გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, ე. ქუჩა №4, კორპუსი 1, სადარბაზო 3, ბინა 58 და ჩაბარდა ადრესატის დედას – ნ. ბ-ეს 2015 წლის 12 აგვისტოს. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, მიიჩნევა განჩინების კასატორისათვის ჩაბარებად.

12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების

უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოთმოხმობილ ნორმათა კომპლექსური ანალიზი გვაძლევს ერთმნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველს მასზე, რომ საპროცესო სამართალურთიერთობის ყოველი მონაწილე ვალდებულის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს საპროცესო მოქმედება, რომელიც მას განჩინებით დაევალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს დავალებული საპროცესო მოქმედების შემდგომ შესრულების უფლებას.

13. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და სასამართლოსათვის არც შეუესებლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტანილობის პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

15. მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუესებლობას იმით ხსნის, რომ განჩინება ჩაბარდა პირს (მის დედას), რომელმაც ჯანმრთელობა-სა და მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ვერ შეძლო ადრესატისათვის გზავნილის დროულად გადაცემა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს გაშვებული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევის საფუძველს გამომდინარე იქიდან, რომ მითითებული გარემოება საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, ხოლო მარტოოდენ მხარის განმარტება განჩინების გაუქმებასა და საპროცესო ვადის აღდგენას საფუძვლად ვერ დაედგება.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკამაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრი-

ვი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. თ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 სექტემბრის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

### 3. სასამართლო უცყვების ჩაპარება

#### განხილვა

№ას-557-528-2014

6 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საიჯარო ქირის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

6. ა-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ტ.ე-ს“ მიმართ 2013 წლის ივლისამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანების – 92 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2010 წლის 1 იანვარს, ერთი წლის ვადით, მხარეთა შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 6. ა-მ მოპასუხეს გადასცა ქ. ბათუმში, მდებარე 100 კვ.მ ფართი ოფისის მოსაწყობად. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. მხარეთა შეთანხმებით, თუკი ისინი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არ გამოთქვამდნენ მისი შეწყვეტის სურვილს, ვადა ავტომატურად გაგრძელდებოდა მომდევნო ერთი წლით.

2010 წლის 1 ნოემბერს მხარეთა შორის დამატებით გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა 2010 წლის 1 იანვრის იჯარის ხელშეკრულებაში და ცვლილების შეტანიდან საიჯარო ქირა განისაზღვრა 3 300 ლარით.

მოპასუხება ხელშეკრულებით ნაკისრი ქირის გადახდის ვალდებულება დაარღვია და მისი დაგროვილი დავალიანება შეადგენს 92 400 ლარს. მიუხედავად არა ერთი შეხსენებისა, მოპასუხე დავალიანებას არ იხდის.

2012 წლის დეკემბერში მოსარჩელემ წერილობით გააფრთხილა მოპასუხება, გადაეხადა იმ დროისათვის არსებული დავალიანება – 69 300 ლარი, თუმცა მოპასუხე შეტყობინებას არც კი გამოეხმაურა.

შპს „ტ.ე-ს“ სარჩელი ნაწილობრივ ცნო. მოპასუხის განმარტებით, მხარეთა შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომე-

ლიც წერილობით არ გაფორმებულა, თუმცა მოპასუხეს დაგროვილი დავალიანებიდან გადახდილი აქვს 10 000 ლარი. მოპასუხის განმარტებით, მის მიერ გადახდილი 10 000 ლარი უნდა გამოაკლდეს სარჩელით მოთხოვნილ თანხას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაემაყოფილდა, შპს „ტ.ე-ს“ ნ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის ივლისამდე არსებული საიჯარო ქირის დავალიანების – 92 400 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 14 მარტს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ტ. ე-ს“ სააპელაციო საჩივარი დავმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს „ტ. ე-სთვის“ ნ. ა-ის სასარგებლოდ 92 400 ლარიდან 10 000 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ნ. ა-ის სარჩელი შპს „ტ. ე-თვის“ 10 000 ლარის დაკისრების ნაწილში ორ დაკმაყოფილდა, ნ. ა-ს შპს „ტ. ე-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივრის-თვის შპს „ტ. ე-ს“ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით წინასწარ გადახდილი 400 ლარის გადახდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა ნ. ა-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო საჩივრის ჩაბარების შემდეგ საჩივრის ავტორისათვის უცნობი იყო შესაგებლის სასამართლოსათვის წარდგენის სავალდებულობისა და იმ შედეგების შესახებ, რომელიც იწვევდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. საჩივრის ავტორი იმ შერიოდში იმყოფებოდა ავად და ფიზიკურად არ შეეძლო შესაგებლის წარდგენა.

შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რადგანაც სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა, რადგანაც საქმის არ მოპოვებოდა მტკიცებულება 10 000 ლარის გადახდის შესახებ. სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა და დამტკიცებულად ჩათვალა აპელანტის ზეპირი განმარტება თანხის გადახდის შესახებ, ამდენად არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 აპრილის განჩინებით ნ. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 14 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად ცნო, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ტ. ე-ს“ ნ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2013 წლის ივლისამდე არსებული საიჯარო დავალიანების – 92 400 ლარის გადახდა. შპს „ტ. ე-ს“ ნ. ა-ის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მოსარჩელის მიერ სარჩელის განსახილველად წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2 772 ლარის ანაზღაურება;

92 400 ლარიდან 10 000 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილება გაასაჩივრა შპს „ტ. ე-მ“ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხიდან 10 000 ლარი მას გადახდილი ჰქონდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი საქმის მოსამზადებელ ეტაპზევე ცნო;

სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით შპს „ტ. ე-ს“ სააპელაციო საჩივარი მიიღო განსახილველად და მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებლის წარმოსადგენად განუსაზღვრა 5 დღის ვადა;

სააპელაციო საჩივრის ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა ნ. ა-ს. გზავნილით სასამართლომ ადრესატს განუმარტა, რომ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილების შესახებ;

სასამართლოს გზავნილი ნ. ა-ის ოჯახის სრულწლოვან წევრს, ძმისმგილ ს. ა-ს ჩაპბარდა 2014 წლის 13 თებერვალს, შესაბამისად, შესაგებლის წარდგენის ვადა მოწინააღმდეგი მხარეს ამოენურა 2014 წლის 18 თებერვალს 24:00 საათზე;

ნ. ა-მ შესაგებელი სასამართლოს წარუდგინა 2014 წლის 7 მარტს.

არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობის სამართლებრივი შედეგები მისთვის უცნობი იყო, რადგანაც სასამართლოს გზავნილში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით, რომელიც ჩაპბარდა საჩივრის ავტორის

## ოჯახის სრულწლოვან წევრს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით, 70-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ ოჯახის წევრები არიან ის პირები, ვინც მუდმივად ცხოვრობენ ერთად და ეწევიან საერთო მეურნეობას, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup> მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის ოჯახის წევრებად ითვლებიან მისი მეულლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები სხვა პირი, „ოჯახში ძალადობის ადგვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ოჯახის წევრები არიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეულლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეულლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეულლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეულლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურეები. სასამართლოს დასკვნით, მისი ეს განმარტება შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

პალატის განმარტებით, ძმის შვილი, თუ იგი მხარესთან მუდმივად ცხოვრობს, მისი ოჯახის წევრია, ხოლო ის, რომ ს. ა-ე მასთან ერთად არ ცხოვრობს ან არასრულწლოვანია, საჩივრის ავტორს არც მიუთითებია და არც დაუმტკიცებია, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს გზაგნილი საჩივრის ავტორს ჩაჰპარდა კანონით დადგენილი წესით და შესაგებლის წარმოუდგენლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ იგი გაფრთხილებული იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, არ იქნა გაზიარებული საჩივრის ავტორის მტკიცება, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო ვალდებული იყო, შეეფასებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შხარის მსჯელობის საპირისპიროდ, დამტკიცებულად მიიჩნეოდა, რომ შპს „ტ. ე-მ“ 6. ა-ს საიჯარო ქირის ნაწილი – 10 000 ლარი გადაუხადა და სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ამ ნაწილში, მისი ვალდებულება შეწყდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და ვინაიდან 82 400 ლარის მოთხოვნის ნაწილში მოპასუხე სარჩელს მომზადების ეტაპზევე დაეთანხმა, მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, მისთვის საპროცესო ხარჯის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები არ არსებობდა.

რაც შეეხებოდა ავადმყოფობის ფაქტს, საჩივრის ავტორს

ამ გარემოების დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-მ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდგები დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე, 232<sup>1</sup>, 74-ე მუხლები და არასწორად არ გაიზიარა სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის განმარტება, რომ მისი ძმისი მისი მისვილი ს.ა. არ ცხოვრობს მასთან და არ არის მისი ოჯახის წევრი.

იმის გამო, რომ ოჯახის წევრს სასამართლო შეტყობინება არ ჩაბარებია, ნ. ა-თვის მოგვანებით გახდა ცნობილი ამ შეტყობინების თაობაზე და ამან განაპირობა შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევა, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ შესაგებელი სასამართლოში მანამ წარადგინა, ვიდრე სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ამასთანავე ნ. ა-ე იყო ავად, მკურნალობდა ექიმის მეთვალყურეობის გარეშე და ვერ შეძლო სამედიცინო ცნობის წარდგენა სასამართლოში. ამდენად, მხარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, არ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს მოთხოვნას, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 28 თვის დავალიანება მოპასუხეს არ გადაუხდია, საპელაციო საჩივრით მხარე სადაცვოდ ხდიდა 92 000 ლარიდან 10 000 ლარის გადახდას, რაც სასამართლომ ისე გაიზიარა, რომ მოპასუხეს საქმეში არ ჰქონია წარდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც 10 000 ლარის გადახდას დაადასტურებდა, ამდენად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მით უფრო, როდესაც თანხის გადახდის ფაქტის დადასტურება მხარემ სასამართლო სხდომაზეც ზეპირი ფორმით სცადა. სასამართლოს მსჯელობა ენინა-აღმდეგება ფულადი ვალდებულების შესრულების მატერიალური სამართლის ნორმებით დადგენილ რეგულაციას, ასეთ ვითარებაში კი, სასამართლო ვალდებული იყო, გამოეკვლია ამ ვალდებულების შესრულების ნამდვილობა და დაენიშნა მთავარი სხდომა.

კასატორის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, არ-

სებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები, გარდა აღნიშნულისა, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მატერიალური სამართლით დაგენილ ფულადი ვალდებულების შესრულების წესს, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი საფუძვლიანობა, ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი და თვლის, რომ იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოები გამო:

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს ამ საკითხის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი წარმოადგენს სააპელაციო სამართალნარმოების მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას, რომელიც არეგულირებს მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს სააპელაციო სასამართლოში, ნორმის პირველი ნაწილი ადგენს აპელანტის, ხოლო მე-2 ნაწილი – მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა იგი არ არის ამომწურავი და მე-3 ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს ამ რეგულიკისაგან განსხვავებული ყველა იმ წესის გამოყენებას, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ამგვარ წესს განეკუთვნება სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) შეტანის ვადის დარღვევისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები, კერძოდ, მოპასუხის (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის) მიერ შესაგებლის შეტანისათვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ არსებობს კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამარ-

თლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისავან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ნორმის დისპოზიციის ანალიზით დასტურდება შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობა:

1. მოპასუხე (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი (სააპელაციო საჩივარი) და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე.

2. მოპასუხემ (მოწინააღმდეგე მხარემ) ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა კი, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვე-

ტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგი მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

თავის მხრივ, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ასევე ამომწურავადაა რეგლამენტირებული კანონში და შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიჩნეულია შემდეგი: ა) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომელსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; ბ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; გ) არსებობს სხვა საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის (სსს 241-ე მუხლი).

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიიჩნევს შემდეგს: სასამართლო შეტყობინების მიმღები პირი არის კასატორის ძმისშვილი და იგი ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის სუბიექტად; შესაგებლის წარდგენის დროისათვის კასატორი იყო ავად, მკურნალობდა ექიმის მეთვალყურეობის გარეშე და მას ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია; სასამართლომ არასწორად გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული 10 000 ლარის გადახდის ფაქტი, რადგანაც საქმეში მოპასუხეს არ წარმოუდგენია ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მატერიალური ნორმით დადგენილი რეგულაციიდან გამომდინარე კი, სასამართლო ვალდებული იყო თანხის გადახდის ფაქტი გამოეკვლია და ამგვარად დაედგინა სადაცო გარემოება, შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა იურიდიულად არ არის დადასტურებული; ამ დარღვევების გამო, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და დაენიშნა სხდომა.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს „ტ. ე-ს“ სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით მიიღო განსახილვე-

ლად, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით აპე-ლანტის მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებლის წარდგენის საპ-როცესო ვადა განესაზღვრა 5 დღით, ხოლო მე-4 პუნქტი შეი-ცავს ამომწურავ განმარტებას შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევის წევატიური შედეგების თაობაზე.

განჩინების შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილ გზავნილ-ში, რომლითაც ნ. ა-ს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი, ზედმი-ნევნითაა ასახული სასამართლოს დავალება (შესაგებლის წარ-დგენის ვადა, მისი წარუდგენლობის შედეგები და სხვა).

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყუბინების თანახმად, სარჩელში მოსარჩელის მიერვე მითითებულ მისამართზე კო-რესპონდენცია 2014 წლის 13 თებერვალს ჩაბარდა ადრესატის ძმისშვილ ს. ა-ს, მითითებულია მიმღები პირის პირადი ნომერი, ხელმოწერა და აღნიშვნა – „ოჯახის წევრი“.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ ს. ა-ე არ არის მისი ოჯახის წევრი. ამ კუთხით პალატა მიუ-თითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირ-ველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსახახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აპარებს მას-თან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, უწყე-ბის მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩაბა-როს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პი-რისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩა-ბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწ-ყების მიმღების ხელმოწერით.

მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავი – სასამართლო შეტყუბინება და დაბარება არ იძლევა განსაზღვრე-ბას ამ თავის მიზნებისათვის თუ ვინ შეიძლება იქნას მიჩნეული ოჯახის წევრად, თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 70-ე-78-ე მუხლების ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის სა-ფუძველს, რომ ოჯახის წევრად განიხილება ყველა ის პირი, ვინც ცხოვრებს მხარის მიერ მითითებულ საკუთარ მისამართზე. მი-სამართის მითითებისას რისკი იმისა, რომ შეიძლება შეტყობი-ნება არაუფლებამოსილ პირს ჩაბარდეს, ეკისრება მისამართის მიმთითებელს, შესაბამისად, მასვე ევალება იმ გარემოების სარ-წმუნო მტკიცებულებებით დადასტურება, რომ შეტყობინების მიმღები არ არის მასთან მცხოვრები ის პირი, ვინც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის მიზნებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ოჯახის წევრად.

მოცემულ შემთხვევაში ამ კუთხით მხარეს არც რაიმე მტკი-

ცებულება წარმოუდგენია და არც სარწმუნო ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებია, რის გამოც კასატორის ეს პრეტენზია ვერ იქნება გაზიარებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, შეტყობინება ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა როგორც უშუალოდ მისთვის, ისე 74-ე მუხლის სუბიექტისათვის გადაცემისას.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების დასკვნას 6. ასთვის შეტყობინების 2014 წლის 13 თებერვალს გადაცემის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შესაგებლის წარდგენის 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2014 წლის 14 თებერვალს და ამოინურა 18 თებერვალს, საქმის მასალების თანახმად კი, შესაგებელი მხარემ ფოსტას 2014 წლის 7 მარტს ჩაბარა.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ იგი ავად იყო და ამან განაპირობა საპროცესო ვადის დარღვევა. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 წანილზე, რომლის თანახმადაც, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესტულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი თავადვე აღიარებს რა, რომ არ გააჩნია ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულება, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მის მტკიცებას ავადმყოფობის შესახებ, რადგანაც კანონი, როგორც აღინიშნა, ამ ფაქტის დადასტურებას მხოლოდ სპეციალური მტკიცებულების – სამედიცინო ცნობის წარდგენით ითვალისწინებს.

არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარუდგენლობის გამო, როგორც აღინიშნა, საპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დამტკიცებულებად მიიჩნევა, იმგვარად, რომ სასამართლო არ იკვლევს მტკიცებულებებს, რაც სრულიად გამორიც-

ხავს კასატორის პრეტენზიის გაზიარების შესაძლებლობას, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთების შემოწმების მიზნით კი, პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა რა 6. ა-ის სარჩელი, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 2010 წლის 1 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება და ყოველთვიური ქირის ღირებულება განისაზღვრა 625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, 2010 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული დამატებითი შეთანხმებით ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში და საიჯარო ქირა განისაზღვრა თვეში 3300 ლარით;

მოპასუხებ დაარღვია იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და არ გადაიხადა საიჯარო ქირა, ბოლო გადახდა დადასტურდა 2011 წლის მაისში და სარჩელის სასამართლოში შეტანის დროისათვის 28 თვის დაგროვილი დაგალიანება შეადგენდა 92 400 ლარს.

სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა რა გადაწყვეტილებას, მისი გაუქმება ითხოვა ნაწილობრივ. საჩივრის თანახმად, საქალაქო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა მოპასუხის მიერ 10 000 ლარის გადახდის ფაქტი, ხოლო 82 000 ლარის დაკისრების ნაწილში მოპასუხებ სარჩელი ცნო, სარჩელის ცნობის პროპორციულად კი, მას სახელმწიფო ბაჟი აღარ უნდა დაკისრებოდა.

საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ მატერიალური სამართლის ნორმის – 427-ე მუხლის თანახმად, 10 000 ლარის მოთხოვნის ნაწილში დგინდება თანხის გადახდის გზით ფულადი ვალდებულების შეწყვეტა.

რაც შეეხება სარჩელის ცნობის ფაქტს, ამ ნაწილში ასევე კანონშესაბამისია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგანაც საამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაემაყოფილებს საკასაციო საჩივრას, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად

არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გა-დაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გა-დაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესა-ხებ განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი არ შეი-ცავს დასაბუთებულ პრეტენზიას, რის გამოც არ არსებობს მი-სი დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ლ ა:**

1. 6. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მარტის დაუსწრე-ბელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატო-ვების შესახებ 2014 წლის 25 აპრილის განჩინება.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-რდება.

## 4. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

### მტკიცების ტვირთი

#### განხილვა

№ას-726-691-2015

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ო. ო. კ-ს“ (O. O. C. LTD, შემდეგში: „მიმწოდებელი“) და შპს „კ. ე. პ. თ. ი-ს“ (C. E. P. LTD, შემდეგში: „მყიდველი“, ან ტვირთმიმდები“) შორის 2014 წლის 20 თებერვალს გაფორმდა გამხსნელის – საზღვაო საწვავის (დიზელის MGO), ნასყიდობის ხელშეკრულება №020/2014 მიწოდების პირობით CPT (ი-სი 2010) შპს შ. ზ-ს ტერმინალამდე (ყ-ს ტერმინალი). მიმწოდებელს ევალებოდა, ტვირთი მიეწოდებინა მყიდველისათვის ყულევის ტერმინალში. ტვირთმიმდები კი, თავის მხრივ, კისრულობდა ვალდებულებას, მიელო ტვირთი, ანუ დაეცალა ვაგონები.

2. შპს „შ. ზ-ს ტ-ი“ 2014 წლის 27 თებერვლის წერილით გადამზიდველს უდასტურებდა მზადყოფნას მარტში თავის რეზერვუარებში მიეღო საუდის არაბეთის 370 ტონა საზღვაო დიზელი. ტვირთის მიმღები იყო „C. E. P. LTD“.

3. 2014 წლის მარტში სს „სა-ს რკ-ასა“ (შემდეგში: „გადამზიდველი, მოსარჩელე ან კასატორი“) და შპს „ო. ო. კ-ს“ საქართველოს წარმომადგენლობას შორის (შემდეგში: მოპასუხე, ტვირთგამგზავნი ან მონინააღმდეგე მხარე“) დაიდო პ.1-ში მითითებული ტვირთის ქ. ფოთიდან რკინიგზის სადგურ „ფართო წყლამდე“ (კოლხეთ-ყულევის უბანი) გადაზიდვის ხელშეკრულება, [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 668-ე მუხლი გადაზიდვის დავალება №394056].

4. 2014 წლის 5 მარტს მოსარჩელემ გადაზიდვის დავალებისა და საგზაო უწყისის საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტში მდებარე სარკინიგზო სადგურის „ფართო წყლის“ მე-5 ლიანდაგზე ტვირთგამგზავნს მიაწოდა ექვსი დახურული ტიპის ვაგონი,

რაზეც გაიხსნა საერთო ფორმის აქტი №132701 და სამახსოვრო ბარათი №229139 [საქართველოს საკუნიგზო კოდექსის, 22.1 მუხლი].

5. 2014 წლის 7 მარტს წინამდებარე განჩინების პ.4-ში მითითებული ვაგონები ყულევის შავი ზღვის ტერმინალში იყო განთავსებული, სადაც შპს „შ. ჯ-ის“ წარმომადგენელმა აწარმოა მათი აზომვა.

6. 2014 წლის 27 მაისს მოსარჩეულებ ფოთის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ. სარჩელის აღძვრის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ტვირთგამგზავნმა („ო. ო. კ“) დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მან ვერ უზრუნველყო შესაბამის ვადებში ვაგონების დაცლა, რამაც გამოიწვია ვაგონების დაყოვნება სადგურ „ფართო წყალში“ და, შესაბამისად, მათი მოცდენა. ამის გამო მან მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა 29 500 ლარის გადახდა 24 სთ-ზე მეტი მომსახურების გაწევისათვის [სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მეშვიდე, 23-ე მუხლის პირველი, 26-ე მუხლის მეშვიდე და 36-ე მუხლის მეათე ნაწილები.]

7. მოპასუხებ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

7.1. მათ ვაგონები არ დაუყოვნებიათ, რადგანაც ვაგონ-ცისტერნები 2014 წლის 7 მარტისათვის უკვე ყულევის შავი ზღვის ტერმინალში იყო შესული, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ შპს „შ. ჯ-მ“ აზომა ვაგონები. შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცება, რომ ვაგონები სადგურ „ფართო წყალში“ მოცდა, არასწორია.

7.2. მოცდების საფუძვლად მოყვანილი საერთო ფორმის აქტი არ შეიცავს სრულ და უტყუარ ინფორმაციას და, შესაბამისად, მის საფუძველზე დაანგარიშებაც არასწორია.

7.3. გადაზიდვის ურთიერთობებში ვაგონების მოცდენაზე პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე არ დგება. ყ-ს შ. ზ-ს ტერმინალში ტვირთის შესვლის შემდეგ მის დროულ დაცლაზე და ვაგონების დაბრუნებაზე პასუხისმგებელი იყო ტვირთის მიმღები. სწორედ ის იყო ვალდებული, მიეღო ტვირთი. ამის შესაძლებლობას ადასტურებდა ტერმინალის ხელმძღვანელობის მიერ 2014 წლის 27 თებერვალს მოსარჩელისათვის გაგზავნილი წერილიც.

8. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 29 500 ლარის გადახდა.

8.1. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის ბრალით მოცდა ვაგონები, კერძოდ: მოსარჩელემ მოპასუხეს 2014 წლის მარტში №394056 გადაზიდვის დავალების და საგზაო უწყისის საფუძველზე მიაწოდა ექვსი დახურული ტიპის ვაგონი რკინიგზის სადგურ „ფართო წყლის“ მე-5 ლიანდაგზე, რაზეც გაიხსნა საერთო ფორმის №132701 აქტი და №229139 სამახსოვრო. მან ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დროულად არ დაცალა ვაგონები, რის გამოც, მოცემულ პერიოდში, დანიშნულების სადგურში მიტანილი ვაგონები მოცდა.

8.2. მოსარჩელის დარიცხვისა და გადახდის აღრიცხვის ცენტრის გადაანგარიშების ცხრილით №129039, ვაგონების მოცდენისათვის ჯამში გადასახდელი თანხა, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენდა 29 500.00 ლარს.

8.3. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სარკინიგზზო კოდექსის 22-ე მუხლის მეშვიდე და 23-ე მუხლის პირველი ნაწილები, 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქებულებები, 36-ე მუხლის მეათე და 44-ე მუხლის მეორე ნაწილები, სსკ-ის 402-ე მუხლი.

9. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელზე უარის თქმა. კერძოდ:

9.1 სასამართლომ არასწორად დაადგინა და სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. საქმეზე დაიკითხა მოწმე (სადგურ ფართო წყლის დირექტორი), რომელმაც დაადასტურა ის გარემოება, რომ ვაგონები დასაცლელად მიეწოდა ტერმინალს, როგორც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ტრანზიტული ტვირთი. მიწოდება განხორციელდა ტერმინალის კუთვნილი თბომავლის მეშვეობით. ტერმინალი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ზონაა და არ წარმოადგენს მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიას. ვაგონების ტერმინალში ყოფნას ადასტურებს 2014 წლის 7 მარტს შედგენილი სარკინიგზზო ტანკერების აზომვის ანგარიში.

9.2. სამახსოვროს მონაცემები უტყუარი ვერ იქნება. მას ხელს არ აწერს მოპასუხის წარმომადგენელი. შესაბამისად, არ არის დადასტურებული მასში შეტანილი მონაცემების სიზუსტე. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სარკინიგზზო კოდექსის 25.4-ე, 22.7 მუხლები, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევას არ არეგულირებს. იმავე კოდექსის 23-ე მუხლის 36-ე მუხლთან კომბინაცია ადგენს ტვირთმიმღებისა და არა გამგზავ-

ნის პასუხისმგებლობას.

9.3 გარდა ამისა, ვაგონების მოცდენა რომც დადასტურებულად მიგვეჩნია, მაინც არ იარსებებდა მოთხოვნილი თანხის დაკისრებას საფუძველი, რადგანაც მისი მოცულობა არ შეესაბამებოდა მოსარჩევის მიერ დადგენილი სატვირთო გადაზიდვების ტარიფებისა და დამატებით საფასურების მე-VIII მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტებს. ვაგონები, რომელთა მოცდენისთვისაც მოითხოვს მოსარჩევე თანხის დაკისრებას, საკუთრივ რკინიგზის პარკის იყო და ფორთის სადგურიდან სადგურ ფართო წყალში გავიდნენ, რაც ზემოაღნიშნული რეგულაციის თანახმად გამორიცხავდა ერთი ვაგონის მოცდენისათვის 500 ლარის დაკისრებას თითოეულ დაყოვნებულ დღე-ლამეზე.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ფორთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კასატორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა:

10.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ტვირთგამგზავნის შხრიდან ვაგონების მოცდენის ფაქტი 24 სთ-ზე მეტი დროით. პალატამ განმარტა, რომ სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა დასტურდებოდეს კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. მოცემულ შემთხვევაში გადამზიდველი ტვირთგამგზავნის იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ დოკუმენტად მიუთითებდა საერთო ფორმის აქტზე, თუმცა ამ აქტიდან არ დგინდებოდა მოსარჩევის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება – 24 საათზე მეტი ვადით ვაგონების მოცდენა.

10.2. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ თუნდაც დადასტურებულიყო ვაგონების მოცდენა, მოთხოვნილი თანხა არ შეესაბამებოდა დადგენილ ტარიფს სს „სა-ს რკ-ის“ სატვირთო გადაზიდვების ტარიფებისა და დამატებით საფასურების მე-VIII მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის საფუძველზე. სასამართლოს მიერ უდავოდ იქნა დადგენილი, რომ ვაგონები, რომლებიც მოცდა, საკუთრივ რკინიგზის პარკის ვაგონებს წარმოადგინდა და ფორთის სადგურიდან სადგურ „ფართო წყალში“ გაჩერდნენ, რაც ზემოაღნიშნული რეგულაციის თანახმად გამორიცხავს ერთი ვაგონის მოცდენისათვის 500 ლარის

დაკისრებას თითოეულ დაყოვნებულ დღე-დამეტე.

11. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გადამზიდველმა. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

11.1. გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, დასაბუთება იმდენად არასარულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რითაც დარღვეულია სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე<sup>1</sup>“ მუხლების მოთხოვნები. ვაგონების მოცდენის ფაქტი დასტურდებოდა საერთო ფორმის №132701 აქტითა და სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების №229139 სამახსოვროთი. სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა და შეაფასა აღნიშულ დოკუმენტებში მითითებული ფაქტები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

11.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 668-ე, საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლის მეშვიდე, 23-ე მუხლის პირველი, 26-ე მუხლის მეშვიდე, 36-ე მუხლის მეათე ნაწილები და 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულაციები.

11.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს გამოიტანოს დასკვნა საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

13. ტვირთვამგზავნსა და გადამზიდველს შორის 2014 წლის 1 მარტს დაიდო საზღვაო საწვავის (დიზელის) ქ. ფოთის პორტიდან რკინიგზის სადგურ ფართო წყლამდე გადაზიდვის ხელშეკრულება. [სსკ-ის 668-ე მუხლი].

14. 2014 წლის 5 მარტს მოსარჩელემ ხობის მუნიციპიპალიტეტში მდებარე სარკინიგზო სადგურის „ფართო წყლის“ მე-5 ლიანდაგზე ტვირთვამგზავნს დასატვირთად მიაწოდა დახურული ტიპის ექვსი ვაგონი, რაზეც გაიხსნა საერთო ფორმის აქტი №132701 და სამახსოვრო ბარათი №229139. გადამზიდველის მტკიცებით, ვაგონები მოცდა სადგურ „ფართო წყალში“ და ამაში ბრალი მიუძღვით ტვირთვამგზავნს.

15. გადამზიდველი ტვირთვამგზავნზე 24 სთ-ზე მეტი მომსახურების განევისათვის 29 500 ორის დაკისრების ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებდა იმაზე, რომ ამ უკანასკნელმა ხობის მუნიციპალიტეტში მდებარე სარკინიგზო სადგურის „ფართო წყლის“ მე-5 ლიანდაგზე ვაგონები დააყოვნა 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში. ამ გარემოების დასაბუთებისას იგი ეყრდნობოდა საერთო ფორმის აქტს №132701 და სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების №229139 სამახსოვროს. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ მითითებული დოკუმენტები ურთიერთვამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავდნენ და მათი ვამყენება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად არ შეიძლებოდა. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვაგონების მოცდენის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს (გადამზიდველს) ეკისრება. ამ გარემოების დასაშვებ მტკიცებულებად კანონმდებელი განიხილავს კანონით დადგენილი წესით შედგენილ საერთო აქტს [სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე და სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილები]. საერთო აქტის შედგენის წესი განსაზღვრულია „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ მონაწილეობა უფლება მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას (წესები დამტკიცებულია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2003 წლის 16 აპრილის №26 ბრძანებით). შხარეებმა საქმის საკასაციო განხილვისას დაადასტურეს, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ ზემოაღნიშნული წესებით. წესების მიხედვით, საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური აღინიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე დაყოვნების ფაქტობრივი დრო [იხ. წესები მუხლი 440. „ა“]; გადამზიდველის მიერ შედგენილი საერთო აქტი №132701 კი ამ თვალსაზრისით არ ნარმოადგენს სამართლებრივად დასაშვებ მტკიცე-

ბულებას, რადგანაც სრულყოფილ და საკმარის ინფორმაციას არ შეიცავს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დასადასტურებლად წარმოდგენილი საერთო აქტით № 132701, მიწოდებული ვაგონების დაყოვნების დრო დაახლოებით 18 საათია და არა 24 საათზე მეტი, როგორც ამას ამტკიცებს კასატორი. აქტის მიხედვით, ვაგონები 2014 წლის 5 მარტს 18:43 წუთზე დადგა სადგურ „ფართო წყლის“ მეხუთე ლიანდაგზე ტვირთმიმღების მოლოდინში, ხოლო მოცდენა დასრულდა იმავე წლის 6 მარტს 11:40 წუთზე (საერთო აქტის მტკიცებულებითი ლირებულება ასევეა განმარტებული სასამართლო პრაქტიკითაც იხ. საქმე №ას-1033-968-2012, 11.10.2012 წელი და საქმე №ას-455-769-09 3.12.2009 წელი). საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს კასატორის პოზიციის უსაფუძვლობასთან მიმართებით საქმის ფურცელ 83-ზე წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებაზე, რომლითაც დგინდება, რომ წინამდებარე განჩინების პ.4-ში მითითებული ვაგონები 2014 წლის 7 მარტისათვის სადგურ „ფართო წყალში“ აღარ იდგნენ და ისინი ყულევის შავი ზღვის ტერმინალში იყვნენ განთავსებული, სადაც ისინი შპს „შ. ჯ-ის“ წარმომადგენელმა გაზომა.

16. საკასაციო პალატა ეთანხმება საპატიო სასამართლოს იმპიც, რომ არც სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების №229139 სამახსოვრო არ გამოდგება სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა ვაგონების მოცდენის გარემოების დამადასტურებელი ერთადერთი დასაშვები მტკიცებულება საერთო აქტია. შესაბამისად, სამახსოვროს მონაცემები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო აქტის მონაცემებს, მეორეც, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ მიხედვით, სამახსოვრო როგორც წესი, განკუთვნილია ტვირთმიმღებისა და არა ტვირთგამგზავნისათვის (იხ. წესების 355-ე მუხლი). გარდა ამისა, იგი ხელმოწერილი უნდა იყოს არა მარტო რკინიგზის წარმომადგენლის, არამედ ტვირთმიმღების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერაც. ტვირთმიმღებს კი, მოცემულ შემთხვევაში მყიდველი წარმოადგენდა (C. E. P. LTD). საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ სამახსოვროს მონაცემები ვაგონების მიწოდება-მოცდენასთან დაკავშირებით არ ემთხვევა საერთო აქტის მონაცემებს. შესაბამისად, მასზე დაყრდნობით ტვირთგამგზავნის ბრალით ვაგონების მოცდენზე დასკვნის გამოტანა არ შეიძლება.

17. ამრიგად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გა-

დაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლის გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 408-ე და 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩეს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მტკიცების ტვირთი**

### **განცილება**

№ას-361-343-2015

14 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიერიშვილი,  
ე. გასიჭაშვილი

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

#### **1. სასარჩელო მოთხოვნა:**

ს. კ-იმ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „G-ისა“ და თ. ბ-ის (შემდგომში – მოპასუხეები) მიმართ შპს „G-ისათვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ 85 000 აშშ დოლარის დაკისრებისა და თანხის ამოღების მიზნით შპს „ი-ის“ სანქსდებო კაპიტალში თ. ბ-ის კუთვნილი გირავნობით დატვირთული 30%-იანი წილის რეალიზაციის მოთხოვნით.

#### **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოთხოვნის განხორცი-ელების შემაფერხებელი შესაგებლის ფარგლებში სადაცო გა-ხადეს სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების მოსარჩელეს-თან, როგორც ფიზიკურ პირთან დადება. შპს „G-მა“ განმარტა, რომ მას თანხა არ გადარიცხვია, როგორც ეს ხელშეკრულება-შია მითითებული, ხოლო მის ანგარიშზე ჩარიცხული თანხები შეეხებოდა მას და „A-ს“ შორის არსებულ ნასყიდობის სამარ-თლებრივ ურთიერთობას. 2012 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრუ-ლების გაფორმების მიზანი იმ ვალდებულების დაფიქსირება იყო, რაც პროდუქციის (ტყვიის შენადნობი) მიწოდების ფარ-გლებში ჰქონდა მოპასუხეს „A-თან“. გარდა აღნიშნულისა, მო-პასუხეებმა სადაცო გახადეს უვადოდ დადებული სესხის ხელ-შეკრულების შეწყვეტის კანონიერების საკითხი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩე-ლი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა შისი გაუქმება და სარ-ჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით სააპელაციო სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვე-ტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამარ-თლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ აპელანტი შპს „R-ის“ დირექტორი და მისი 100%-იანი წილის მფლობელია.

5.1.2. შპს „G“ წარმოადგენს ტყვიის შენადნობის გადამამუ-შავებელ საწარმოს, რომელიც 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორ-მებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, თავის საქმია-ნობას ეწევა შპს „ი-ის“ კუთვნილ საწარმოში.

5.1.3. თ. ბ-ე შპს „ი-ის“ 30%-იანი წილის მფლობელია.

5.1.4. 2012 წლის 16 დეკემბერს, მოსარჩელესა და შპს „G-ს“ შორის გაფორმდა სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრუ-ლება, რომლის უზრუნველსაყოფად თ. ბ-ემ დააგირავა მისი კუთვნილი 30%-იანი წილი შპს „ი-ის“ საწესდებო კაპიტალში. მი-

თითებული ხელშეკრულებით მოსარჩევემ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, მსესხებელ შპს „G-ს“ მისი მოთხოვნისთანავე დამატებით გადასცეს სესხის თანხა, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ამასთან, მხარეებმა აიღეს ვალდებულება, რომ სესხად მიღებული თანხა გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ შპს „G-ის“ საქმიანობისათვის. მხარეები შეთანხმდნენ სესხის დაბრუნების საშუალებებზე, კერძოდ, სესხის დაფარვა უნდა მომხდარიყო შპს „G-ის“ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხით, ასევე, მოპასუხის მიერ შეძებილი უძრავ-მოძრავი ქონებით ან/და მის მიერ ნაწარმოები პროდუქციით. მხარეებმა ასევე აიღეს ვალდებულება, ერთმანეთისათვის ნარედგინათ ყველა სათანადო საბუთი სესხის თანხის მიზნობრივი გახარჯვის დასადასტურებლად.

5.1.5. შესასყიდი პროდუქციის ღირებულების გადარიცხვას შპს „G-ის“ ანგარიშზე ახდენდა უშუალოდ შპს „A.“, ს. კ-ი, როგორც შპს „A-ის“ ნარმომადგენელი, ასევე როგორც შპს „R-ის“ დირექტორი და მისი 100%-იანი წილის მფლობელი, ფიზიკური პირი ბ. მ-ა.

5.1.6. აპელანტის შეფასებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ დადგენილად გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს, მოპასუხისათვის, სადაც სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 85 000 აშშ დოლარი, საბანკო ანგარიშზე არ გადაურიცხავს. აპელანტის მტკიცებით, მართალია, აგვისტოში არ მომხდარა ამ თანხის სრულად გადარიცხვა და ამ პერიოდისათვის მხოლოდ 10 000 აშშ დოლარი გადასცა მოსარჩელემ მოპასუხეს, მაგრამ სადაც თანხიდან 75 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადარიცხულია საბანკო გადარიცხვით 2012 წლის 17 სექტემბერს, რომლის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთიც ნარმოდგენილი საქმის მასალებში. პალატამ, საკითხის სწორად შეფასების მიზნით, მნიშვნელოვნად მიიჩნია, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შინაარსის, ამ გარიგების დათქმებისა და მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებამდე არსებული ურთიერთობების შეფასება, ასევე, იმ გარემოების დადგენა, თუ რა მტკიცებულებებით დასტურდება ამ გარიგების საფუძველზე ფიზიკური პირის – ს. კ-ის მიერ, მოპასუხე შპს „G-ისათვის“ სესხის სახით 85 000 აშშ დოლარის გადაცემა. მხარეთა შორის 2012 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით კონკრეტულად გაიწერა იმდაგვარი ვალდებულებები, როგორიცაა: სესხად მიღებული თანხის კონკრე-

ტული დანიშნულება, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ შპს „G-ის“ საქმიანობისათვის, უფრო მეტიც, მხარეებმა აიღეს ვალდებულება, ერთმანეთისთვის წარედგინათ ყველა სათანადო საბუთი სესხის თანხის მიზნობრივი გახარჯვის დასადასტურებლად; ხელშეკრულების მიხედვით, სესხი იყო უპროცენტო, შესაბამისად, ყოველთვიურად არ ერიცხებოდა სარგებელი; რაც შეეხებოდა ვადას, სესხის დაბრუნება უნდა მომზდარიყო მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მათ მიერ განსაზღვრულ პერიოდში; ხელშეკრულებაში ასევე მითითებული იყო სესხის დაბრუნების საშუალებებზე. პალატამ ხელშეკრულების სწორი შეფასების მიზნით აღნიშნა, რომ შპს „G“ საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდა და მის ინვესტირებასაც ახორციელებდა კომპანია „A-ი“. კონკრეტულად კი, შპს „G-ის“ საქმიანობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი გადაამუშავებდა ნედლეულს, ანარმოებდა ტყვიის შენადნობს და ინვესტირების ფარგლებში, გადახდილი თანხის სანაცვლოდ, დამუშავებულ პროდუქციას მისაღებ ფასად ანვდიდა კომპანია „A-ს“, ამ უკანასკნელის სახელით კი, პროდუქციის გატანას ახორციელებდა მოსარჩევე ს. კ-ი. მოპასუხებ სადაც გახადა ს. კ-ს, როგორც ფიზიკურ პირსა და შპს „G-ს“ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა და სესხად გადაცემული 85 000 აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება, ვინაიდან მოპასუხის განმარტებით, 2012 წლის 16 დეკემბრის სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზანი იყო იმ ვალდებულებების დაფიქსირება, რაც პროდუქციის მიწოდების ფარგლებში ჰქონდა მოპასუხეს კომპანია „A-ის“ მიმართ; მოპასუხე მხარე, ორივე ინსტანციის სასამართლოში, როგორც წერილობით, ასევე, ზეპირ განმარტებებში არაერთგზის მიუთითებდა, რომ ამ მიზნით (სესხის სახით) თანხის მოსარჩელის მიერ მოპასუხე სანარმოსათვის გადაცემას ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, მოსარჩელე ამ გარემოების სანინააღმდეგოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, საქმეზე ვერ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება.

5.1.7. სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების, 327-ე, 623-ე მუხლების თანახმად, გამსესხებლის ძირითადი ვალდებულება არის სესხის (ფულადი ერთეულის) გადახდა (გადარიცხვა, გადაცემა); მსესხებლის ძირითადი ვალდებულება კი, სესხის მიღება და ამასთანავე, თუ შეთანხმებულია, უზრუნველყოფის წარდგენა, პროცენტის გადახდა. იმ პირობებში, როდესაც სადაც სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებაში მოხსენიებული თანხის – 85 000 აშშ დო-

ლარის მოსარჩელის, როგორც ფიზიკური პირის მიერ, მოპასუნისათვის სესხის სახით გადაცემის ფაქტი, თანხის გადაცემა მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, რაც, განსახილველ შემთხვევაში, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით, ვერ განახორციელა ს. კ-იმ. მოპასუხე არ უარყოფდა მოსარჩელის მიერ მისთვის კონკრეტული თანხების გადარიცხვას, თუმცა, მიუთითებდა, რომ აღნიშნული თანხები წარმოადგენდა კომპანია „A-ის“ მიერ პროდუქციის შეძენის საფასურს. ამ მხრივ აპელანტი სადავოდ ხდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ საქმის განხილვისას გააკეთა ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით მოხდა სადაო თანხის გადაცემა მოპასუხისათვის. ხელშეკრულების 3.5. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მსესხებლის ვალდებულება მოგირავნის ნინაშე წარმოიშვა, გამსესხებლისა და მოგირავნის მიერ მსესხებლის – შპს „G-ის“ სასარგებლოდ სესხის გაცემის საფუძველზე (მსესხებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით), კერძოდ, ორი ათას თორმეტი წლის ოც აგვისტოს, ს. კ-იმ, რომელიც მოხსენიებულია როგორც მოგირავნე (გამსესხებლი) მსესხებელ შპს „G-ს“, რომელიც ხელშეკრულებაში წოდებულია, როგორც მსესხებელი, ასესხა 85 000 აშშ დოლარი. როგორც დასახელებული ხელშეკრულების დათქმა ცხადყოფს, იგი ასახავს მანამდე (ხელშეკრულების გაფორმებამდე) არსებულ ურთიერთობას და მიუთითებს, რომ სესხის თანხის მსესხებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა განხორციელდა 2012 წლის 20 აგვისტოს, შესაბამისად, მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ რიცხვში მართლაც განხორციელდა მოპასუხე საწარმოს ანგარიშზე სადავო თანხის სრული იდენტობით, ან მისი ნაწილის გადარიცხვა, უნდა წარედგინა მოსარჩელეს, ვინაიდან, ფიზიკური პირის – ს. კ-ისაგან, სესხის სახით, აღნიშნული თანხის მიღების შესახებ გარემოებას, უარყოფდა მოპასუხე.

5.1.8. არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი საბანკო ამონანერებით დასტურდებოდა მის მიერ სესხის სახით 85 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის გადარიცხვა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი საბანკო ამონანერები სს „პ-იდან“ მოიცავდა 27.08.2012წ.-29.03.2013წ. პერიოდს, რომელიც არ ასახავდა ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღს – 20.08.2012წ. შესაბამისად, ხელშეკრულებაში მითითებულ დროს თანხის გადარიცხვის შესახებ გარემოების დასადასტურებლად, მითითებული

საბანკო ამონანერები ვერ იქნებოდა მიჩნეული სათანადო მტკი-ცებულებად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის არ მოიცავდა სადაც ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღს (20.08.2012წ.). ასევე არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება იმის შესა-ხებ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 85 000 აშშ დო-ლარის გადაცემა მოხდა ნაწილ-ნაწილ, კერძოდ, აგვისტოში გა-დაცემულ იქნა 10 000 აშშ დოლარი ხელზე, ხოლო, 2012 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა დარჩენილი ნაწილის 75 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადარიცხვა ბანკის მეშვეობით. პალატის მითითებით, მოპასუხე არ ადასტურებდა მოსარჩელი-საგან სესხის სახით 10 000 აშშ დოლარის ხელზე მიღების ფაქტს, ხოლო მოსარჩელე, გარდა საკუთარი განმარტებისა, ამ გარე-მოების დასადასტურებლად შესაბამის მტკიცებულებაზე ვერ მიუთითებდა, რაც შეეხებოდა 75 000 აშშ დოლარის ნაწილში სესხის სახით თანხის გადაცემის მტკიცებას, ჰირველ ტომში, საქმის ფურცელ 104-ზე განთავსებულ შპს „G-ის“ საბანკო ან-გარიმის ამონანერით დასტურდებოდა მოპასუხის ანგარიშზე, მოსარჩელის მიერ 2012 წლის 17 სექტემბერს თანხის – 123 375.00 ლარის ჩარიცხვის შესახებ გარემოება, თუმცა თანხის დანიშნულებაში ასახული იყო ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ მითითებული თანხა წარმოადგენდა საქონლის საფასურს და არა სესხის სახით გადაცემულ თანხას, რის გამოც, აღნიშნული ამო-ნანერი ვერ იქნებოდა მიჩნეული 2012 წლის 16 დეკემბრის სეს-ხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბული სესხის თანხის – 85 000 აშშ დოლარის ნაწილის, მოსარჩე-ლის მიერ მოპასუხისათვის გადაცემის დამადასტურებელ მტკი-ცებულებად.

5.1.9. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს, როგორც ფიზიკურ პირს, სადაც ხელშეკრულებაში მოხსენიებული თანხა მოპა-სუხე შპს „G-ისთვის“ სესხის სახით არ გადაუცია. ამ მხრივ, სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანი იყო საქმის გან-ხილვისას თავად მოსარჩელის (ორივე ინსტანციის სასამართლო-ში) არაერთმნიშვნელოვანი განმარტებები: იგი ცალსახად ვერ მიუთითებდა, თუ რა ფორმით და რა ოდენობით განხორციელ-და ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადაცემა მო-პასუხისათვის. ერთი მხრივ, ს. კ-ი აღნიშნავდა, რომ ხელშეკ-რულებით განსაზღვრული თანხა გადაცემულ იქნა ნაწილ-ნა-წილ, ჯერ 10 000 აშშ დოლარის, ხოლო შემდგომ დარჩენილი 75 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, მეორე მხრივ, სადაც ხელ-შეკრულებაზე მითითებით აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს ერ-

თჯერადად გადასცა 85 000 აშშ დოლარი. ურთიერთგამომრიცხავი იყო ასევე მოსარჩელის მითითება ზემოაღნიშნული თანხის გადაცემის ფორმასთან დაკავშირებით – განხორციელდა ეს საბანკო გადარიცხვის მეშვეობით, თუ მხარისათვის რეალურად გადაცემით. სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, აპელანტმა სასამართლოს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რა იყო მის მიერ მოწინააღმდეგ მხარისათვის გადარიცხული თანხის დანიშნულება (მიზანი), აღნიშნა, რომ ეს იყო ინვესტიცია და, შესაბამისად, გადარიცხვის შესახებ დანიშნულებაშიც მიეთითა საქონლის შესყიდვა (13.01.2014წ. სასამართლო სხდომის ოქმი, 13.52.35სთ; 13.52.42სთ). მოსარჩელე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეში წარდგენილ წერილობით მოსაზრებებში განმარტავდა, რომ ეთანხმება შპს „G-ის“ შემდეგ პოზიციას – „ს. კ-ის მიერ გადარიცხული თანხები იყო მისაწოდებელი საქონლის საავანსო ღირებულება“ აქვე მხარე მიუთითებდა, რომ „ეს სულ სხვა ურთიერთობის ნაწილია და საერთო არ აქვს სესხის ხელშეკრულებასთან“, შესაბამისად, თუკი მოსარჩელე მხარეც მიიჩნევდა და ადასტურებდა, რომ მის მიერ გადარიცხულ თანხებს გააჩნდა „საქონლის საავანსო ღირებულების“ დანიშნულება და იგი სულ სხვა ურთიერთობის ფარგლებში იქნა მოპასუხისათვის გადახდილი, მით უფრო, მას უტყუარად უნდა დაედასტურებინა სასესხო ურთიერთობის ფარგლებში და ამ მიზნით მოპასუხისათვის თანხის გადახდის ფაქტობრივი გარემოება. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საქმის განხილვისას უდავოდ დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ შპს „G-სათვის“, სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა გარკვეული თანხების გადარიცხვას, აღნიშნული ასევე დასტურდებოდა საქმეზე წარმოდგენილი საბანკო ამონანერებით, თუმცა, მხარეთა შორის არსებობდა გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობაც, კერძოდ, შპს „G-ის“ მიერ ხორციელდებოდა ტყვიის შენადნობის წარმოება, რომელსაც იგი, თანხის სანაცვლოდ, მხარისათვის მისაღებ ფასად აწვდიდა კომპანია „A-ს“ და ამ კომპანიის სახელით პოდუქციის გატანას ახორციელებდა მოსარჩელე.

5.1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლისა და მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის მიერ დავის საგნის განსაზღვრა დისპოზიციურობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა და თავისი გადაწყვეტილებით მია-

კუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე იგი მოითხოვდა (სს.კ-ის 248-ე მუხლი). განსახილველი სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „G-სათვის“ ს. კ-ის სასარგებლოდ 85 000 აშშ დოლარის დაკისრება, რომელიც მოსარჩელის მტკიცებით, მხარეთა შორის 2012 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სესხის სახით მოსარჩელემ გადასცა მოპასუხეს. შესაბამისად, განსახილველი სარჩელის ფარგლებში, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს მოპასუხისათვის სადაცო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სესხად გადაცემას, არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მხარის მიერ თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებების თავისიუფალი განკარგვის დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, სარჩელის შინაარსის, მხარის მიერ აღნერილი დავის ფაქტობრივი გარემოებების, სასარჩელო მოთხოვნისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, პალატამ აღნიშნა, რომ არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა სხვა ურთიერთობის ფარგლებში სადაცო ხელშეკრულების გაფორმებამდე, შპს „G-ისათვის“ გადაცემულ თანხებზე.

5.1.11. არ იქნა გაზიარებული აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სასამართლომ იმსჯელა ისეთი მოთხოვნის შესახებ, რომელიც მხარეს არ დაუყენებია სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, არ დარღვეულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობის საფუძველი გახდა მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი.

5.1.12. აპელანტი ასევე მიუთითებდა, რომ მოპასუხეს უნდა გამოყენებინა სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 431-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებები. პალატის შეფასებით, მითითებული პრეტენზია იმ შემთხვევაში იქნებოდა გასაზიარებელი, თუკი მხარეთა შორის სადაცოდ იქნებოდა გამხდარი მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი, 2012 წლის 16 დეკემბრის სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მოპასუხე კომპანიისათვის გადაცემის დამტკიცება, ასევე, მოპასუხე უარყოფდა მითითებული თანხის მიღებას, არ არსებობდა მოპასუხის მიერ ზემოთ მითითებული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება.

## 6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-  
ასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-  
დაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### 6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა  
იმ გარემოებას, რომ მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს არც  
წერილობითი და არც ზეპირი შეჯიბრებისას არ მიუთითებიათ  
იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი 75 000 აშშ დოლა-  
რის ეკვივალენტი ლარის 2012 წლის 17 სექტემბერს გადარიც-  
ხვის ქვითარი არ წარმოადგენდა შხარეთა შორის 2012 წლის 16  
დეკემბერს დადებულ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული  
თანხის გადაცემის დამადასტურებელ მტკიცებულებას. მოსარ-  
ჩელემ განმარტა, რომ თანხის სრულად გადაცემა, მართალია,  
არ მომხდარა აგვისტოში, ამ პერიოდისათვის გადახდილი იყო  
მხოლოდ 10 000 აშშ დოლარი, თუმცა, დარჩენილი თანხა – 75  
000 აშშ დოლარი გადარიცხულ იქნა 2012 წლის 17 სექტემბერს  
და ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმე-  
შია წარმოდგენილი. 85 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის გა-  
დაცემის დამადასტურებელი მტკიცებულებაა, ასევე, თვით მო-  
პასუხის მიერ თანხის მიღებიდან 4 თვის შემდეგ ხელმოწერილი  
ხელშეკრულება, რომელიც 2012 წლის 16 დეკემბერს დამინ-  
დდა ნოტარიუსის მიერ, ასევე, მიღებული სესხის უზრუნველ-  
ყოფის ღონისძიების შეთავაზება მოსარჩელისათვის და უზრუნ-  
ველყოფის საგნის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვ-  
ნათა შესაბამისად, ს. კ-ის, როგორც ფიზიკური პირის სასარ-  
გებლოდ დატვირთვა.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის გაფორმე-  
ბული ხელშეკრულება არასწორად არ შეაფასა სესხის სამარ-  
თლებრივ ურთიერთობად. ამ კუთხით წინააღმდეგობრივია სა-  
სამართლოს მსჯელობა, როდესაც, ერთი მხრივ, შეფასებას აძ-  
ლევს მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, ხოლო,  
მეორე მხრივ, ადგენს, შპს „A-ისათვის“ მოპასუხის მიერ გადა-  
ცემული საქანლის ღირებულების მოსარჩელის მიერ ანაზღაუ-  
რებას. სასამართლოს ამგვარი მსჯელობა ენინააღმდეგება, რო-  
გორც საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობას, ისე კერ-  
ძო სამართლის სამართალსუბიექტობის ძირითად პრინციპებს.

6.1.3. უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ მოსარჩელე ფი-  
ზიკური პირია, მოპასუხებ კი, უკვე მიღებული სესხის გამო,  
ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ფიზიკური პირის წინაშე. იგი,  
როგორც იურიდიული პირი, ვალდებულია, სამოქალაქო ბრუნ-  
ვაში მეტი წინდახედულობა გამოიჩინოს, ვიდრე ფიზიკურმა

პირმა.

6.1.4. სააპელაციო სასამართლომ ცალმხრივი შეფასება მისცა სადაც ხელშეკრულების მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქმის პირველ ტომში, ასევე, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის განმარტებას, ს. კის, როგორც ფიზიკური პირის, მიერ თანხის გადაცემის თაობაზე. მოსარჩელემ სწორედ ამ მოტივით გაამახვილა ყურადღება 2012 წლის 17 სექტემბრის გადარიცხვის ქვითარების დანიშნულებაზე, ეინაიდან თანხა მხოლოდ პროდუქციის შეძენის და არა სხვა მიზნით გადაეცემოდა მოპასუხეს. სასამართლომ დაარღვია მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი, როდესაც იმსჯელა, ერთი მხრივ, მოსარჩელის, როგორც იურიდიული პირის ნარმომადგენლის და არა როგორც ფიზიკური პირის მიერ სადაც თანხის გადარიცხვაზე, მეორე მხრივ, აღნიშნულით სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს. სასამართლომ ისე იმსჯელა მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენის ნაკლასა და მოპასუხის, როგორც იურიდიული პირის მიერ ნების გამოვლენის ნამდვილობაზე, რომ მოპასუხეს ამ გარემოების თაობაზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არ დაუყენებია, ასევე არ უსარგებლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დარღვევით სასამართლომ სადაც ურთიერთობა მიიჩნია შპს „G-სა“ და „A-ს“ შორის დადებულ იმგვარ გარიგებად, რომლის მიზანიც პროდუქციის ნარმოება და მიწოდება იყო, რომლის გატანასაც ახორციელებდა მოსარჩელე. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებულ სათანადო მოსარჩელის საკითხზე მსჯელობაც.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი სა-

ფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2. განსახილველი დავის საგანს ნარმოადგენს სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სესხის გადაცემის ფაქტი, ხოლო ხელშეკრულებაში ასახული ურთიერთობა შეეხდოდა არა მოსარჩელეს, როგორც ფიზიკურ პირსა და მოპასუხებს შორის დადგებულ სესხს, არამედ, იგი ასახავს მოპასუხებს „G-სა“ და „A-ს“ შორის არსებულ ურთიერთობას, სადაც მოსარჩელე „A-ის“ სახელით რიცხავდა გარკვეულ თანხებს მოპასუხე „G-ის“ ანგარიშზე და ორგანიზებას უწევდა ამ უკანასკნელის მიერ მიწოდებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანას.

1.3. კასატორი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს ამ მსჯელობას და პრეტენზიას გამოთქვამს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც დისპოზიციურობის პრინციპის, ისე სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლების დარღვევისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის მოპასუხის განმარტებების არასწორად შეფასების თაობაზე. საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს რამდენიმე პრაქტიკულ საკითხზე, როგორიცაა: სარჩელის ფორმალური გამართულობა, მოპასუხის შედავების არსებითობა და მტკიცებულებების, მათ შორის, მხარეთა განმარტებების მნიშვნელობა დავის კვალიფიკაციის კუთხით.

1.3.1. როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს, ერთი მხრივ, ს. კ-ისა და, მეორე მხრივ, შპს „G-ის“ დირექტორსა და თ. ბ-ეს შორის 2012 წლის 16 დეკემბერს დადგებულ ხელშეკრულებაზე, რომლის ფარგლებშიც მსესხებლის (შპს „G-ის“) ვალდებულება მოგირავნის (ს. კ-ის) წინაშე წარმოიშვა მოსარჩელის მიერ შპს „G-ის“ სასარგებლოდ სესხის გაცემის საფუძველზე (მსესხებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით), კერძოდ, 2012 წლის 20 აგვისტოს ს. კ-იმ შპს „G-ს“ ასესხა 85 000 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ წასესხები თანხა უნდა გამოყენებულიყო შპს „G-ის“ საქმიანობისათვის. სესხი იყო უსარგებლო, მას არ დაერიცხებოდა პროცენტი, ხოლო მისი დაბრუნება მოხდებოდა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მათ მიერ განსაზღვრულ პერიოდში. ხელშეკრულების თანახმად, „თანხის დაბრუნება მოხდება იმ დროისათვის შპს „G-ის“ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობით ან/და შპს „G-ის“ მიერ წარმოები საქონლით (ამასთან,

მხედველობაში მიიღება მსესხებლის მიერ იმ დროისათვის გაცემული სესხის თანხა, ასევე შპს „G-ის“ მიერ შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონება ან/და მის მიერ ნაწარმოები პროდუქცია), მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, ერთმანეთისათვის წარედგინათ ყველა სათანადო საბუთი (მათ შორის, ნებისმიერი ქვითარი და სხვა) სესხის თანხის მიზნობრივი გახარჯვის დასადასტურებლად. მითითებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად გირავნობით დაიტვირთა ო. ბ-ის კუთვნილი 30%-იანი წილი შპს „ი-ის“ საწესდებო კაპიტალში. მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად ზეპირი თუ წერილობითი მოთხოვნისა, მოპასუხე არ აბრუნებს თანხას.

1.3.2. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლის თანახმად, შპს „G-მა“ სადაცვოდ გახადა, როგორც სესხის ხელშეკრულებიდან გასვლის (შეწყვეტის) მართლზომიერება, ისე თავად სესხის გადაცემის ფაქტი და განმარტა, რომ მოსარჩელეს თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია, მან თავადვე დაურთო შესაგებელს მოპასუხე საწარმოს საბანკო ამონანერები და აღნიშნა, რომ გადახდილი თანხები ასახავდა მოპასუხესა და „A-ს“ შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე გადახდებს, რაც დასტურდებოდა გადარიცხვის დოკუმენტში მითითებული გადახდის დანიშნულებით. შპს „G-ის“ წარმომადგენელმა დამატებით მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.5. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, სესხის დაბრუნება მოხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მათ მიერ განსაზღვრულ პერიოდში. ო. ბ-ე ასევე დაეთანხმა შპს „G-ის“ შედავებას და აღნიშნა, რომ ის მოსარჩელეს, როგორც ე.წ ინდური მხარის წარმომადგენელს განიხილავდა, რადგნაც, როგორც „A-თან“, ისე შპს „R-თან“ ურთიერთობაში მხარეს წარმოადგენდა ს. კ-ი. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხემ სადაცვო გახადა ხელშეკრულების მოშლისა და თანხის გირავნობის საგნის რეალიზაციით დაბრუნების მართლზომიერება.

1.3.3. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულება ასახავდა მოსარჩელის მიერ მითითებულისაგან განსხვავებულ ურთიერთობას. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, მხოლოდ შპს „G-ის“ საქმიანობისათვის თანხის გამოყენებაზე შეთანხმება განაპირობებდა 2012 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების შპს „G-სა“ და „A-ს“ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებად მიჩნევას, რომლის მიზანიც იყო პრო-

დუქციის წარმოება და მისი მინოდება კომპანიისთვის, რომლის გატანას ახორციელებდა ს. კ-ი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებაში შპს „G-ის“ მიერ ს. კ-ი აღქმულ იქნა როგორც „A-ის“ წარმომადგენელი და არა დამოუკიდებელი ფიზიკური პირი. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მითითებულ დასკვნას და აღნიშნავს, რომ ორ იურიდიულ პირს შორის არსებულ ურთიერთობაზე მსჯელობისას არ შეფასებულა საკითხი იმის თაობაზე, მოპასუხე შეეცილა თუ არა ხელშეკრულებაში გამოვლენილ ნებას. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლებისა და მოპასუხეთა განმარტებების შესწავლის შედეგად ირკვევა ის, რომ ისინი კონტრაპენტის პიროვნებაში შეცდომაზე მიუთითებენ (სკ-ის 74.1 მუხლი), რომელიც გარიგების საცილოობაზე მითითებას წარმოადგენს, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განიმარტოს შეცილების ინსტიტუტის თავისებურება, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა და არ არის შეუზღუდავი. კანონი შეცილების უფლებას განსაზღვრულ დროის ხარჩოებში აქცევს, რომელთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხასიათის ქმედება უდევს საფუძვლად საცილო გარიგების დადებას (შეცდომის შემთხვევაში, შეცილების ვადის საკითხი რეგულირდება სკ-ის 79.1 მუხლით). სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის, სახეზე უნდა იყოს სამართლებრივად ნამდვილი შეცილება, რამდენადაც შეცილების ვადით განსაზღვრის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ თუ უფლებამოსილი პირი არ ისარგებლებს კანონმდებლობით განსაზღვრული ამ საშუალებით (შეცილებით), საცილო გარიგება ნამდვილი გახდება და სამართლებრივ ძალას შეიძენს. შეცილების, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობა მეორე მხარის მიერ მის შეცნობასთანაა დაკავშირებული. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომ სასამართლოებს, მიუხედავად შედავების არსებობისა, არ გამოუკვლევიათ ფაქტობრივი გარემოებები კონტრაპენტის პიროვნებაში შეცდომის თაობაზე შედავების ნამდვილობის კუთხით და არ უმსჯელიათ, სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული სათანადო მოსარჩელის საკითხის გარკვევის წინაპირობა. ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე მოპასუხის მიერ მიცემული განმარტებაც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულება შინაარსობრივად სწორია და ამიტომ არ აღიძრა შეგებებული სარჩელი, უბ-

რალოდ მასში არასწორად მიეთითა ს. კ-ი (იხ. 17:44:27 სთ.).

1.3.4. საკასაციონ პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებების არასწორი გამოკვლევისა და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სადაცო გარემოებების არასრული შეფასების (ამის მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს სააპელაციო საჩივრის იმ პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც თანხის გადაცემის გარემოება თავის ახსნა-განმარტებაში აღიარა მოპასუხემ) თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლით დადგენილია სააპელაციო პალატის მსჯელობის ფარგლები და ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ სააპელაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს შეჯიბრებითობის, ასევე დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას და განამტკიცებს სასამართლოს მხრიდან სადაცო გარემოებათა თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შესაძლო უსწორობების შემონმების შესაძლებლობას აპელანტის პრეტენზიათა გათვალისწინებით. სწორედ ამ პრეტენზიების კვლევით სასამართლომ დასაბუთებულად უნდა განსაზღვროს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

1.3.5. ვინაიდან სარჩელი ფორმალურად გამართულია, დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციონ პალატა ყურადღებას მტკიცების ტვირთის განანილების წესზე გააჩვილებს. სამოქალაქო კოდექსის 623-ე-624-ე მუხლების თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება და ხელშემკვრელ მხარეთა უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების საგნის მოვალისათვის რეალურად გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, თავის მხრივ, იგი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, თუმცა, ფორმის არჩევა მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს. საკასაციონ პალატის შეფასებით, სესხის ხელშეკრულების დადების სადაცონობისას,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. განსახილველ შემთხვევაში, ვიდრე მოპასუხის შედავების არსებითობის საკითხს გადავწყვეტდეთ, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სარჩელზე დართულ სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულებაზე, რომელიც რთული სანოტარო ფორმითაა შედგენილი და რომლის შინაარსიც იძლევა იმ პრეზუმუციის დაშვების საფუძველს, რომ ს.კ-იმ შპს „G-ს“ ასესხა 85 000 აშშ დოლარი, ამასთან, სადავო ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვალდებულების კაუზალური აღიარება, ვინაიდან, ხელშეკრულების 3.5. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ირკვევა, რომ „მსესხებლის“ ვალდებულება „მოგირავნის“ წინაშე წარმოიმავა გამსესხებლისა და „მოგირავნის“ მიერ „მსესხებლის“ – შპს „G-ს“ სასარგებლოდ სესხის გაცემის საფუძველზე (მსესხებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით), კერძოდ: 2012 წლის 20 აგვისტოს ს. კ-იმ, რომელიც მოხსინებულია როგორც „მოგირავე“ („გამსესხებელი“), „მსესხებელს“ – შპს „G-ს“, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში წოდებულია, როგორც „მსესხებელი“, ასესხა 85 000 აშშ დოლარი. უფრო მეტიც, ამ ვალდებულებისათვის გამოყენებულია მესამე პირის სანივთო უზრუნველყოფა – გირავნობა. სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძნეს უფლებას, დაიკავიოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. პალატა განმარტავს, რომ პრეზუმუცია, როგორც ამა თუ იმ ფაქტის არსებობის ვარაუდი, მტკიცებას არ ექვემდებარება და მისი სარჩმუნოდ გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება იმ მხარეს, ვის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს ვარაუდი.

1.4. თანხის გადაცემის ნამდვილობის (სესხის ხელშეკრულების რეალურად დადების) თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია შპს „G-ის“ პოზიცია და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – საბანკო ამონანერები, რომლებითაც მოპასუხეს სურს დაადასტუროს, რომ სესხის თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და მასში მითითებულ ვადაში მოსარ-

ჩელეს, როგორც, ფიზიკურ პირს, მოპასუხე საწარმოს ანგარიშზე არ გადაურიცხავს. ამ შესაგებლით, შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხემ გარკვეულწილად ეჭვქვეშ დააყენა გამსესხებლის სასარგებლოდ დაშვებული პრეზუმუტციის ნამდვილობა თანხის გადაცემის თაობაზე, თუმცა, მიუხედავად ხელმექრულების ჩანაწერისა, თანხის ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე, სასესხო ვალდებულების ნამდვილობაზე გავლენას ვერ იქონიებს გამსესხებლის მიერ თანხის სხვა წესით, მაგალითად, მოვალისათვის ხელზე გადაცემის ფაქტი. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების მტკიცების ტეირთი (თანხის გადაცემა) კვლავ მოსარჩელეს ეკისრება. ამ თვალსაზრისით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად არ შეიძლება იქნას მიჩნეული მოსარჩელის ნარმომადგენლის წერილობით განმარტება, რომლითაც იგი ეთანხმება მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ს. კ-ის მიერ გადარიცხული თანხები იყო მისაწოდებელი საქონლის ღირებულება, რადგანაც, ამავე განცხადებამი მისი აგტორი განმარტავს, რომ ეს სულ სხვა ურთიერთობაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სესხის ხელშეკრულებასთან. საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 ივლისის სხდომაზე მანვე მიუთითა, რომ თანხა მოპასუხეს გადაცა აგვისტოში, მაგრამ არა საბანკო ანგარიშსწორებით, ეს თანხა გადახდილია ხელზე და გაურკვეველია, რატომა ხელშეკრულებაში მითითებული გადარიცხვის თაობაზე (იხ: 15:52:13 სთ.). პალატა აქვე აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომელიც შეეხება ახალი ადვოკატით შეცვლის გამო წინა ნარმომადგენლის მიერ მიცემული განმარტებების უარყოფას, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მინიშვნელობას. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს და ხაზგასმით არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ 75 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დასტურდება საქმეში არსებული 2012 წლის 17 სექტემბრის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთით და სესხის მიზნობრიობიდან გამომდინარე მიეთითა მასში გადარიცხვის დანიშნულება. საბანკო ამონანერის თანახმად, 2012 წლის სექტემბერში შპს „G-ის“ ანგარიშზე ს. კ-იმ თანხა გადარიცხა დანიშნულებით – „საქონლის საფასური“ და არა „სესხი“, ქვემდგომმა სასამართლებმა კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, საკეთი სწორად არ მიიჩნევს ეს მტკიცებულება სადაც სამართალურთიერთობის ნამ-

დვილობის განმსაზღვრელად.

1.5. საკასაციო პრეტენზიათა ფარგლებში პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის აღიარების სამართლებრივი მნიშვნელობა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 132-ე მუხლების თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკასაციო მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. საპროცესო სამართლის თეორიაში აღიარების განსაკუთრებული მნიშვნელობა განმარტებულია იმგვარად, რომ ფაქტს, რომელსაც უნდა ადასტურებდეს დავის სუბიექტი, ადასტურებს მისი მონინაალმდევე მხარე. ფაქტის აღიარების დროს მხარე ცნობს დავის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რაც სასამართლომ შეიძლება საკასაციოს საფუძვლად მიიჩნიოს გადაწყვეტილების გამოტანისას და დაეყრდნოს ამ აღიარებას.

1.6. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტიცავით ნაწილის 1.3.4. პუნქტში აღინიშნა, ქვემდგომ სასამართლოს, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, არ შეუფასებია და არ უმსჯელია მოპასუხის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების წინაალმდევ წარდგენილ საჩივრასა და შესაგებელში მითითებულ განმარტებებზე. შპს „G-ის“ საჩივრის თანახმად, მოპასუხე მხარე არ უარყოფს ს. კ-ისთან სასესხო ურთიერთობას, რომლის ფარგლებშიც ს. კ-ი წარმოადგენდა პოტენციურ ინვესტირს, გასცემდა სესხს საარგებლის გარეშე, ხოლო მოპასუხე თავის მიერ წანარმოებ ტყვიის შენადნობს შეღავათიან ფასში აწვდიდა იმ კომპანიას, რომლის წილებსაც ფლობდა და დირექტორი იყო ს. კ-ი. ხელშეკრულების მხარეები დაინტერესებული იყვნენ პროდუქციის წარმოებითა და მოსარჩელის კომპანიისათვის მიწოდებით, მათ შორის გაფორმდა სესხისა და წილის გირავნობის ხელშეკრულება და სწორედ ამ მიზნით დაიტვირთა თ.ბ-ის კუთვნილი წილი შპს „ი-ში“. შპს „G-ის“ განმარტებით, მას უკვე მიღებული ჰქონდა 85 000 აშშ დოლარის ეკვივა-

ლენტი ეროვნულ ვალუტაში 2012 წლის 20 აგვისტოს (საყურადღებოა, რომ სწორედ 20 აგვისტოს დაიდო იჯარის ხელშეკრულება 2-წლიანი ვადით შპს „ი-სა“ და შპს „G-ს“ შორის, რაც მოწმობს იმას, რომ ს. კ-ი წარმოადგენდა ინვესტორს, მის მიერ გადაცემული თანხა ხმარდებოდა ბიზნესის განვითარებას და ორ სუბიექტს შორის ურთიერთობა გრძელვადიან ხასიათს ატარებდა). გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების უმართებულობას მხარე ასაბუთებდა იმით, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შპს „G“ პარალიზებული და გადახდის უნარის არძქონე იქნებოდა და მომავალ მოსარჩელეს მოუწევდა საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება წილით და სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, მოძრავი ქონებით, წაცვლად იმისა, რომ მოსარჩელეს მიეღო ფულადი თანხის ის ოდენობა, რაც მას ეკუთვნოდა გაცემული სესხისა და უკან მიღებული საქონლის პროდუქციის შეფარდების შედეგად. საჩივრის ავტორი ასევე განმარტავდა, რომ პროდუქციის რეალიზაციით მოზიდული თანხებით შესაძლებელი იქნებოდა ს. კ-ის წინაშე არსებული დაგალიანების რეალური ოდენობის დაფარვა და საზოგადოებისათვის გარკვეული მოგების დარჩენაც. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლის თანახმად, შპს „G“ განმარტავს, რომ სადაც ხელშეკრულება წარმოადგენს ინვესტირების ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იყო საინვესტიციო სახსრების მოპასუხისათვის გადაცემა.

1.7. საკასაციო სამართალწარმოების ბუნებიდან გამომდინარე, ვნაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად შეაფასოს მოხმობილი განმარტებები საპროცესო აღიარების კუთხით, ამასთანავე, მითითებული საკონსის კვლევისას სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს მოპასუხის აღიარების გაქარნებაზე, მათ შორის მხედველობაში უნდა მიიღოს საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის მიერ მიცემული განმარტებები (რომლებიც სსსკ-ის 102.2 მუხლის თანახმად, დასაშვები მტკიცებულებაა), რამდენადაც, მოსარჩელე, ერთ შემთხვევაში, აცხადებს, რომ 85 000 აშშ დოლარი ხელზე გადასცა მოპასუხეს (იბ. 23.10.2013წ. სხდომის ოქმი 18:00:00სთ), მეორე შემთხვევაში, განმარტავს, რომ თანხის ერთი ნაწილი ხელზე იქნა გადაცემული, ხოლო, მეორე ნაწილი გადარიცხა მოპასუხის ანგარიშზე (იბ. 06.11.2013წ. სხდომის ოქმი, 15:45:30 სთ; 29.01.2014წ. სხდომის ოქმი, 17:26:04 სთ.), მესამე შემთხვევაში, განმარტავს, რომ მხარეთა შორის არაერთი თანხა გადაცემულა და ბალანსის შედეგად გაირკვა, რომ მას

ეეუთვნოდა 85 000 აშშ დოლარი (იხ. იმავე ოქტომბერი 17:38:06 სთ; 17:58:12სთ).

1.8. საკასაციო პალატის შეფასებით, თუკი ქვემდგომი სასა-მართლო სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიერა იმ დასკვნამდე, რომ სესხის თანხა რეალურად გადაეცა მოპასუხეს, შეფასება უნდა მიეცეს შესაგებლის პოზიციას ხელ-შეკრულებიდან გასვლის მართლზომიერების თაობაზე (სკ-ის 626-ე მუხლი). მოსარჩელის განმარტებით, სესხის დაბრუნების ვადა მხარეებს არ განუსაზღვრავთ, ხოლო მოპასუხეს მითითებით, ხელშეკრულების 3.5. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სესხის დაბრუნება მოხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მათ მიერ განსაზღვრულ პერიოდში. შესაფასებელია ხელ-შეკრულების აღნიშნული პირობა ხომ არ გამოხატავს მხარეთა ნებას თანხის დაბრუნების შესახებ დამოუკიდებელი შეთანხმების აუცილებლობაზე ხელშეკრულების მიზნობრიობიდან გა-მოდინარე. მითითებული შესაგებელი სარჩელის საფუძვლია-ნობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და იგი არ სებითია თ.პ-ის შედავების ფარგლებშიც, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექ-სის 263-ე მუხლის თანახმად, დამგირავებელს, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მო-ვალე, შეუძლია მოგირავნეს წაუყენოს ის შესაგებლები, რომ-ლის წაყენების უფლებაც აქვს პირად მოვალეს, მათ შორის, ისე-თი შესაგებლები, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვა-ლემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ.

1.9. პალატა დამატებით განმარტავს, რომ „ადამიანის უფ-ლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონ-ვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სა-მართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვე-ტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე, როგორც სა-ზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილე-ბის მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასა-მართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომ-ლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასა-მართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრუ-ლი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულე-ბას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვე-ტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრე-

ბის უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფასაც, ხოლო დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმგვარად, რომ სასამართლომ სწორედ მხარის შედავების საფუძვლიანობის კვლევით, მოტივირებული მსჯელობით, დაარწმუნოს მხარე მისი პოზიციის მართებულობა-უმართებულობაში.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევებითავ დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემული ნორმის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვიდრე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, საორჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხის უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## მომსახულებათა გამოკვლევა და შეფასება

### განხილვა

№ას-641-607-2015

25 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოღლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიჭაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. 2010 წლის 1 ივნისს სს „ქ. პ. მ-სა“ (შემდეგში: „გამქირავებელი ან მოსარჩევე, ან კასატორი“) და შპს „ი-ს“ (შემდეგში: „დამქირავებელი, პირველი მოპასუხე, ან მოწინააღმდეგე მხარე“) შორის ხუთი წლის ვადით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ იქირავა ქ. ქუთაისში, ...-ს ქ. №274-ში მდებარე გამქირავებლის კუთვნილი მაცივარი და საწყობი [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 531-ე მუხლი].

2. ყოველთვიურად გადასახდელი ქირა 1300 ლარით განისაზღვრა; გარდა ამისა, ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებდა 0,2%-ის პირგასამტებლის, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის [სსკ-ის 553-ე მუხლის პირველი ნაწილი, 417-418-ე მუხლები]. დამქირავებელი ვალდებული იყო გამქირავებლის სალაროში თანხის შეტანის გზით, ყოველი თვის 10 რიცხვისთვის გადაეხადა მოხმარებული ელექტროენერგიის, გაზისა და ნელის ღირებულება.

3. 2010 წლის 1 ივნისს გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც პირ-

ვეღ მოპასუხეს დროებით სარგებლობაში გადაეცა მოსარჩეულის კუთვნილი საცხობი საამქროს შენობა. ყოველთვიური ქირა 3000 ლარი იყო, ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კი, ხელშეკრულება ითვალისწინებდა 0,2%-ს პირგასამტებლოს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ხელშეკრულების თანახმად, დამტკირავებლის ვალდებულებას წარმოადგენდა გამქირავებლის სალაროში თანხის შეტანის გზით ყოველი თვის 5 რიცხვისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის ღირებულების გადახდა.

4. 2012 წლის 11 იანვარს პირველმა მოპასუხემ წერილობით აცნობა მოსარჩელეს, რომ ვადაზე ადრე წყვეტდა საწყობისა და მაცივრის 2010 წლის 1 ივნისის ხელშეკრულებას, რასაც დაეთანხმა მოსარჩელეც და იმავე წლის 31 იანვარს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც გაქირავებული ნივთი დაუბრუნდა გამქირავებელს [სსკ-ის 564-ე მუხლი].

5. მოსარჩელის კუთვნილ 29.646 კვ.მ მინის ნაკვეთზე [მდებარე ქ. ქუთაისში, წე-ს ქ. №274-შე] 2004 წლიდან 2014 წლის 24 ივნისამდე განთავსებული იყო მი-ლ ჯო-ის [შემდეგში: „მეორე მოპასუხე, ან მეორე მონინააღმდეგე მხარე“] კუთვნილი „მაერსკის“ ფირმის 25-ტონიანი მაცივარ-კონტეინერი.

6. მაცივარ-კონტეინერის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას მოსარჩელის კუთვნილი მრიცხველისაგან დამოუკიდებლად ცალკე განთავსებული ელექტრომრიცხველი აღრიცხავდა.

7. 2014 წლის 28 მაისის მდგომარეობით მოსარჩელეს ელექტროენერგიის მომწოდებლის წინაშე დავალიანება არ ერიცხებოდა.

8. მოსარჩელემ 2014 წლის 29 მაისს სარჩელი აღძრა მოპასუხების წინააღმდეგ და მოითხოვა:

8.1. მოპასუხებზე მათ მიერ ერთობლივად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების – 14061,25 ლარისა და პირგასამტებლოს – 255,33 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

8.2. მეორე მოპასუხებისათვის მაცივარ-კონტეინერის შენახვის ხარჯების – 9000 ლარის – დაკისრება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე სსკ-ის 763-ე, 764-ე, 775-776-ე მუხლებზე მიუთითებდა.

9. პირველმა მოპასუხემ შესაგებელი დაამყარა მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებაზე და მიუთითა, რომ ის მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს დადგენილი წესით უხდიდა მოსარჩელეს ამ უკანასკნელის მიერ წარმოადგენილი ანგარიშფაქტურების მიხედვით. მის მიერ გადახდილია 42 668 ლარი. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ 2011 წლის მაისამდე მოთხოვნა ხან-

დაზმულიც იყო.

10. მეორე მოპასუხემ კი შესაგებელი დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელესთან მიბარების სახელშეკრულებო ურთიერთობა რა არსებობდა. მოსარჩელე მის კუთვნილ 25 ტონიანი მაცივარ-კონტეინერ „მაერსკის“, მიუხედავად მისი არაერთგზის მოთხოვნისა, უკან არ უბრუნებდა.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ სრულად გაიაზიარა მოპასუხეთა შესაგებელი და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ წარუდგინა სასამართლოს მათი მოთხოვნების დამადასტურებელი მტკიცებულებები. [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები].

გარდა ამისა, სასამართლომ 14061,25 ლარის ნაწილში მოთხოვნა 2011 წლის აპრილის ჩათვლით ხანდაზმულად ჩათვალა სსკ-ის 129-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 130-ე მუხლის საფუძველზე.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა აპელაციის წესით.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22 აპრილის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

14. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგით: განჩინება კანონის დარღვევითაა მიღებული, რადგანაც იგი მდენად არასრულადაა დასაბუთებული, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებები.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასე-ვე მიღებული განჩინების იურიდიული დასბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასა-მართლოს შესაძლებლობას აძლევს გამოიტანოს დასკვნა გასა-ჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი გან-ხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაო-ბაზე. სახელდობრ:

17. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემ-დეგი ფაქტები:

17.1. მხარეთა შორის მაცივრისა და საწყობის ქირავნობითი ურთიერთობა არსებობდა 2010 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 31 იანვრამდე.

17.2. მოსარჩელის კუთვნილ 29.646 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2014 წლის 24 ივნისამდე განთავსებული იყო მეორე მოპასუხის კუთ-ვნილი 25-ტონიანი მაცივარ-კონტეინერი „მაერსკი“. როგორც მაცივარ-კონტეინერის, ისე პირველი მოპასუხის მიერ ნაქირა-ვები მაცივრისა და საწყობის მიერ მოხმარებულ ელექტროე-ნერგიას, მოსარჩელის კუთვნილი მრიცხველისაგან დამოუკი-დებლად, ცალკე განთავსებული ელექტრომრიცხველი აღრიც-ხავდა.

17.3. მოსარჩელე მოპასუხეებს არ უგზავნიდა ანგარიშ-ფაქ-ტურებს მაცივრის, მაცივარ-კონტერინერისა და საწყობის მი-ერ მოხმარებული ელექტროენერგიის შესახებ. ისინი (მოპასუ-ხეები) ოვითონ აღრიცხავდნენ ამ მონაცემებს ორივე მხარის ნარმომადგენლის თანდასწრებით და შემდგომში ამ მონაცემებს პირველი მოპასუხისათვის გაგზავნილ ანგარიშფაქტურებში ბუ-ლალტერი ასახავდა.

17.4. მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის მაცივარ-კონტერინერის მიბარების ხელშეკრულება არ ყოფილა დადე-ბული.

18. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასები-სას სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა მოპასუხეთა შე-საგებელი დავალიანებისა და მიბარების ხელშეკრულების არ არ-სებობის შესახებ, რომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტუ-რად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები [სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი], რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე. კერძოდ:

18.1. მოსარჩელე თავის მოთხოვნას მოპასუხეებისათვის ერ-თობლივად მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის

14061,25 ლარისა და პირგასამტებლოს – 255,33 ლარის სოლი-დარულად დაკისრების თაობაზე ამყარებდა პირველ მოპასუ-ხესთან 2010 წლის 1 ივნისის ქირავნობის ხელშეკრულების დე-ბულებებზე და მეორე მოპასუხესთან ზეპირი ფორმით დადე-ბულ მიბარების ხელშეკრულებაზე. ქირავნობის საგანი იყო 535 კვ.მ.-ზე განთავსებული მაცივარი და საწყობი.

18.2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასა-მართლომ არასწორად გაანაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო სსსკ-ის 102-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი [„თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელმდებაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“], რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩეულებ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარე-მოება, რომელიც მოთხოვნის ნარმოშობას განაპირობებს, ხო-ლო მოპასუხებ მოთხოვნის გამომრიცხავი, შემწყვეტი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები. ქირავნობის ხელშეკრულების 2.6. პუნქტის თანახმად, პირველი მოპასუხე იყო ვალდებული დაემონტაჟებია ქირავნობის ადგილზე წყლის, გაზისა და დენის მრიცხველები, რითაც დამოუკიდებლად აღი-რიცხებოდა პირველი მოპასუხის მიერ მოხმარებული წყლის, გა-ზისა და ელექტრონურერგიის რაოდენობა (მოცულობა.) მოსარ-ჩელე, ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მის ტერიტორიაზე არსებული ელექტროგამანაწილებელი ჯი-ხურიდან მარაგდებოდა როგორც გაქირავებული მაცივარი და საწყობი, ისე მეორე მოპასუხის კუთვნილი 25-ტონიანი „მარ-სკი“ მაცივარ-კონტეინერიც. ელ.ჯიხურის შესასვლელში კი, დამონტაჟებული იყო ორი ცალი „აქტიური ელექტროენერგიის მრიცხველი“, რომელთაგან ერთი №648082 განკუთვნილი იყო ორივე მაცივრის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის აღსაღრიც-ხვად. რადგანაც მოპასუხები სარჩელისგან თავს იცავდნენ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოხმარებული ელ.ენერგიის ღი-რებულება სრულად გადახდილი ჰქონდათ, სწორედ მათ ვალ-დებულებას წარმოადგენდა წარედგინათ სასამართლოსათვის ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები; კერძოდ: რა რაო-დენობის (მოცულობის) ელექტროენერგია მოიხმარეს სადავო პერიოდის განმავლობაში და გადაუხადეს თუ არა მისი ღირე-ბულება მოსარჩელეს, რომლისგანაც, მათივე განმარტებით, ისინი „ყიდულობდნენ“ ელ.ენერგიას.

18.3. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა თუ რა სახის ურთიერთობა ედო საფუძვლად 2004 წლიდან 2014 წლის 24 ივნისამდე მეორე მოპასუხის კუთვნილი 25 ტონიანი

„მაერსკის“ მაცივარ-კონტეინერის განთავსებას მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზე. მხარეთა შორის მიბარების სახელშეკრულებო ურთიერთობის არ არსებობს დადგენა არ იყო საკმარისი სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად. დავის იურიდიულ კვალიფიკაციას (სამართლებრივ შეფასებას) სასამართლო დამოუკიდებლად ახდენს, რა დროსაც იგი არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით [სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები]. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მოთხოვნის ყველა საფუძველი, ანუ მან უნდა დაადგინოს ის ნორმა/ნორმები, რომლებიც შეიცავენ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მაცივარ-კონტეინერის მოსარჩელის ტერიტორიაზე განთავსების დადგენის შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა კანონიდან გამომდინარე შეიძლებოდა ყოფილიყო, და სასამართლოს უნდა ემსჯელა ხომ არ იყო განხორციელებული სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილით [სელყოფის კონდიცია: „პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი“.] გათვალისწინებული შედეგის განმაპირობელი სამართლებრივი წინაპირობები.

19. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სწორად უნდა გაანანილოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის [სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი], სრულყოფილად და ობიექტურად განიხილოს საქმე და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. თუ დაადგენს, რომ მოსარჩელემ მოპასუხების ნაცვლად გადაიხადა მათ მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის საფასური, მაშინ მან უნდა იქონიოს მსჯელობა, ხომ არ სცილდება ეს სახელშეკრულებო მოთხოვნის ფარგლებს; შესაბამისად, ხომ არ მოჰყვა ამას მოპასუხების უსაფუძვლო გამდიდრება და ხომ არ არსებობს სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა [„პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება“.].

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და

საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ქუ-ის პუ-ს მი-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მთკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება

### განხილვა

№ას-898-860-2014

9 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაეური

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

ჭ. ი. ნ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა შპს „ჯ. ი. ჰ-ისათვის“ (შემდგომში – მოპასუხე) 2010 წლის 24 მარტის სა-  
რეკლამო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სა-  
ფასურის – 27 500 ევროს დაკისრება.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხებ სარჩელის წინააღმდეგ წარადგინა როგორც მოთ-  
ხოვნის შემწყვეტი, ისე მისი განხორციელების შემაფერხებე-  
ლი შესაგებელი და აღნიშნა, რომ 2010 წლის 24 მარტის ხელშეკ-  
რულებასა და 2010 წლის 31 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქ-  
ტზე არსებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის, რაც მხარეთა შო-  
რის სახელშეკრულები ვალდებულების წარმოშობას გამორიც-  
ხავდა, ამასთანავე, სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმუ-  
ლად და ითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-  
ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარ-  
ჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ  
დაეკისრა 27 500 ევროს გადახდა.

**4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩინორა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარ-  
ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**  
თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

#### **6. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

6.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშვა 2010 წლის 24 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების (სარეკლამო კონტრაქტი) საფუძველზე, რომლითაც მოსარჩელემ აიღო ვალდებულება, საქართველოს შესახებ გამოექვეყნებინა ორგვერდანი რეკლამა ვებგვერდზე bizguides, რის სანაცვლოდან მოპასუხეს უნდა გადაეხადა 27 500 ევრო შეთანხმებაზე ხელმონერიდან 20 დღის განმავლობაში.

6.2. 2010 წლის 31 აგვისტოოთ დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, აპელანტის სანარმოს დირექტორმა ხელი მოაწერა რეკლამის მიღება-ჩაბარების აქტს.

6.3. არ იქნა გაზიარებული მოპასუხის პოზიცია მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არარსებობისა და კონტრაქტსა და მიღება-ჩაბარების აქტზე კომპანიის დირექტორ მ. თ-ის ხელმონერის არარსებობის თაობაზე, ამ თვალსაზრისით პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინებით დაინიშნა სასამართლო კალიგრაფიული ექსპერტიზა 2010 წლის 24 მარტის შეთანხმებასა და 31 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტზე მ. თ-ის ხელმონერის ნამდვილობის დასადგენად. ექსპერტს გამოსაკვლევად დაესვა კითხვა: 2010 წლის 24 მარტის სარეკლამო მომსახურების შესახებ შეთანხმებაზე (შესრულებული ინგლისურ ენაზე) და 2010 წლის 31 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტზე (შესრულებული ინგლისურ ენაზე) არსებული ხელმონერა შესრულებული იყო თუ არა მ. თ-ის მიერ. სსპ „ლევან სამხარაულის“ სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 26 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო გამოსაკვლევი ხელმონერის მოკლე მარტივი აგებულებისა და ინფორმაციული ნიშნების სიმცირის გამო. ექსპერტიზის დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, შეთანხმებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმონერის გამოკვლევისა და მ. თ-ის ხელმონერის ნიმუშთან შედარებით დადგინდა თანადამთხვევა გამომუშავებაში, ზომასა და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშნებში; მოძრაობის ფორმა და მიმართულება, ხელრთვის შესრულებისას სწორხაზოვანი იყო, მი-

მართული ქვემოდან ზემოთ. თანადამთხვევებთან ერთად გამოვლინდა განსხვავებები დახრაში, ნაწილობრივ ტრანსკრიპციაში და შემდეგი ვარიანტის კერძო ნიშანში; მოძრაობის ფორმა ასრ „მ-ს“ პირველი ელემენტის შესრულებისას, გამოსაკვლევი ნიმუშისაგან განსხვავებით, რკალური, გარდამავალი მარყუჟისებრში. ამდენად, გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ ექსპერტიზის დასკვნით უარყოფილი ვერ იქნა სადაც დოკუმენტებზე მოპასუხე კომპანიის დირექტორის ხელმოწერის არსებობა, ხოლო მოპასუხე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც ცალსახად გამორიცხავდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას.

6.4. პირველი ინსტანციის სასამართლოში სადაც არ გამხდარ ის გარემოება, რომ დამზადებულია და ინტერნეტ ვებგვერდზე Ebizguides, გამოქვეყნებულია ორგვერდიანი რეკლამა საქართველოს შესახებ.

6.5. 2010 წლის 24 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეკლამის განთავსებისათვის შეთანხმებული თანხა მოპასუხეს არ გადაუხდია.

6.6. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით, 629-ე, 649-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ 2010 წლის 24 მარტის ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთმა შესრულებული სამუშაო მიიღო 2010 წლის 31 აგვისტოს, თუმცა, რეკლამის განთავსებისათვის შეთანხმებული თანხა არ გადაუხდია, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა მენარდის სარჩელი დაწევთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულების დაკისრების თაობაზე.

6.7. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ დასაბუთებული პრეტენზია აპელანტის მიერ სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი არ ყოილა.

## 7. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხები, მოითხოვა მისა გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### 7.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგა-

ნაც მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა, შესაბამისად, არც კასატორს წარმოშობია თანხის გადახდის ვალდებულება.

7.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ იხელმძღვანელა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით, რომლიც რეკლამის დამზადების შედეგად ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს, შესაბამისად, პალატამ სადავო ურთიერთობა არასწორად შეაფასა ნარდობის ხელშეკრულებად, გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე და 129-ე მუხლებით, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სარჩელი აღმოჩენილია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით. ამ თვალსაზრისით სასამართლოს მსჯელობა არ არის დასაბუთებული, იგი ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რომ სარჩელი ფოსტის მეშვეობითა გაგზავნილი და ადრესატამდე მის მიტანას ერთი დღე დასჭირდებოდა, ამასთანავე, თავად ადგენს სადავო კონვერტზე ფოსტის ბეჭდის არარსებობის ფაქტს.

7.1.3. სააპელაციო სასამართლომ, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ექსპერტიზის ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი დასკვნა, არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლით, რათა დაენიშნა დამატებითი ექსპერტიზა, ხოლო ამავე კოდექსის 102-ე მუხლის უხეში დარღვევით სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა. საგულისხმოა, რომ თავად ექსპერტის დასკვნა არ არის შესწავლილი სათანადოდ.

7.1.4. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის იმ მითითებაზე, რომლის თანახმადაც, მიღება-ჩაბარების აქტს აკლია სავალდებულო რეკვიზიტი – თარილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გა-

რემონტები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის), შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

1.2. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ:

1.2.1 მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშვა 2010 წლის 24 მარტს.

1.2.2. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება საქართველოს შესახებ გამოექვეყნებინა ორგვერდიანი რეკლამა ვებგვერდ Ebizguides-ზე, რის სანაცვლოდაც მოპასუხეს უნდა გადაეხადა 27 500 ევრო შეთანხმებაზე ხელმოწერიდან 20 დღის განმავლობაში.

1.2.3. 2010 წლის 31 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მოპასუხემ (დირექტორმა) ხელი მოაწერა რეკლამის მიღება-ჩაბარების აქტს.

1.2.4. მოპასუხეს ხელშეკრულებით წაკისრი 27 500 ევროს გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია.

1.3. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მას ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი არ მოუწერია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხების ხელმოწერის არარსებობის ფაქტზე მხარემ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელშივე მიუთითა, ხოლო მოსარჩელის მიერ ამ დოკუმენტების საქმიდან ამორიცხვის მოთხოვნის ფაქტი საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 წანილის თანახმად, მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადაც საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო შეამოწმებს საბუთის წამდგილობას, რისთვისაც შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები.

1.4. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 27 მაისის განჩინებით დანიშნა კალიგრა-

ფიული ექსპერტიზა სადავო დოკუმენტებზე შპს „ჯ. ი. ჰ-ის“ დირექტორ მ. თ-ის ხელმოწერის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენის მიზნით. სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 1 აგვისტოს დასკვნის თანახმად, შეუძლებელი იყო დასკვნის გაცემა იმის თაობაზე, სადავო დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერები შესრულებული იყო თუ არა მ. თ-ის მიერ, გამოსაკვლევი ხელმოწერის მოკლე, მარტივი აგებულებისა და ინფორმაციული ნიშნების სიმცირის გამო. ამდენად, ხელმოწერის სიყალზე ექსპერტს არ დაუდგენია, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად შეაფასა სადავო მტკიცებულებები (ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი) საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

1.5. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას, რომ ექსპერტის დასკვნით არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ. თ-ს ხელი არ მოუწერია ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე და მხარეთა შორის სახელშეკრულები ურთიერთობა არ არსებობდა, ამ თვალსაზრისით სასამართლოს მსჯელობა შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნებს, ხოლო გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნები დამაჯერებელია და არ არსებობს კასატორის პრეტენზიათა გაზიარების წინაპირობები.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც ექსპერტს ხელმოწერის ადრესატისათვის კუთვნილების საკითხი კატეგორიული დასკვნით არ უარყოფია, ეს გარემოება იძლევა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პრეზუმფციის (ვარაუდის) დაშვების საფუძველს, რომლის გაქარწყლებაც იმ მხარეს ეკისრება, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს ეს ვარაუდი, ამდენად, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა ხელშეკრულების ნამდვილობის გამაბათილებელი მტკიცებულებები, არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებს და, კონკრეტულ შემთხვევაში, არც სასამართლოს წარმოუშობდა ვალდებულებას, დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა.

1.7. სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის იმ არგუმენტსაც, რომლის თანახმადაც, მიღება-ჩაბარების აქტს არ გააჩნია სავალდებულო რეკვიზიტი – თარიღი, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი, როგორც ინგლისურენოგანი, ისე მისი სანოტარო წესით დამოწმებული მიღება-ჩაბარების ქართულ თარგმანზე თვალნათლივაა მითითებული თარიღი – „31/08/2010“,

რაც კასატორის მტკიცების გაზიარებას გამორიცხავს.

1.8. რაც შეეხება სადაც ხელშეკრულების არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე კასატორის შედავებას, პალატა მას ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილ სარეკლამო კონტრაქტის პირობების თანახმად, მოსარჩევემ იკისრა რეკლამის გამოქვეყნება. ხელშეკრულების 1.4. მუხლით მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეცა მაკეტები (ფოტომაბლონები) ან გამოსაყენებელ რეკლამასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სარეკლამო მასალები, ხოლო 1.5. პუნქტის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, მოსარჩელე კისრულობდა ვალდებულებას, თავად დაემზადებინა საჭირო მასალები და ტექნიკური საშუალებები, ხოლო დამკვეთი ვალდებული იყო, მიეღო რეკლამა კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობებით. მითითებული გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს დასკვნის შესაძლებლობას, რომ მხარეები სამუშაოს შესრულებაზე შეთანხმდნენ, შესაბამისად, ქვემდგომშა სასამართლოებმა სწორად არ იხელმძღვანელეს „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით მართებულად დაკვალიფიცირეს სადაც ურთიერთობა ნარდობის ხელშეკრულებად. საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლი გასამრჯელოს გადახდას სამუშაოს მიღების შემდეგ (მიღებისთანავე) ითვალისწინებს, თუმცა ნორმა იმპერატიული ხსიათის არ არის და დასაშვებია, არსებობდეს მხარეთა იმგვარი შეთანხმება, როდესაც შემკვეთს შეუძლია მენარდეს სამუშაოს მიღებამდე გადაუხადოს ნარდობის სრული ღირებულება.

1.9. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხის არასწორად გამოკვლევის თაობაზე და განმარტავს შემდეგს: მოპასუხებ წარადგინა მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი, კერძოდ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა მისი ნარდგენის ვადის დარღვევაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის თაობაზე მოპასუხის შესაგებელი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ხანდაზმულობა კრედიტორული მოთხოვნის არსებობას არ სპობს, არამედ ამ მოთხოვნის იძულებით განხორციელებას აცლის სამარ-

თლებრივ საფუძველს.

1.10. სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 3 წელს შეადგენს, რომლის დენაც მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ იმ დროიდან იწყება, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სკ-ის 130-ე მუხლი). როგორც 2010 წლის 24 მარტის ხელშეკრულების შინაარსიდან ირკვევა, მხარეებმა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის გადახდა 20 დღეში – 2010 წლის 13 აპრილის ჩათვლით განსაზღვრეს. დადგენილია, რომ მოპასუხეს თანხა არ გადაუხდია, შესაბამისად, მოსარჩელემ უფლების დარღვევის თაობაზე 2010 წლის 14 აპრილს შეიტყო (სკ-ის 123.1 მუხლი). ამ დღიდან 3-წლიანი ვადის უკანასკნელ დღეს 2013 წლის 14 აპრილი წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, დასვენების დღეს, კვირას დაემთხვა, სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად კი, სარჩელის წარდგენის უკანასკნელ დღედ მიჩნეული უნდა იქნას მომდევნო სამუშაო დღე – 2013 წლის 15 აპრილი.

1.11. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2013 წლის 16 აპრილს, თუმცა სასამართლოს დასკვნით, სარჩელი ფოსტას ჩაბარდა ვადის უკანასკნელ დღეს – 15 აპრილს, რაც არ არის დასაბუთებული, რადგან არ ეყიდვა საქმის მასალების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით კვლევას. საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილია და სააპელაციო პალატამაც გაიზიარა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კონკრეტზე არსებული თარიღი – 2013 წლის 15 აპრილი შესრულებულია გამგზავნის მიერ და მასზე არ არის საფოსტო ბეჭედი, მიუხედავად მოპასუხის პრეტენზისა, რაიმე მტკიცებულება, რაც სარჩელის ფოსტის სამუალებით გაგზავნას დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარუდგენია სასამართლოში, ხოლო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რო მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ სარჩელის გაგზავნისათვის ისარგებლა ფოსტის მომსახურებით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ იმ ვარაუდის დაშვება, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ფოსტის ადრესატამდე მიტანას სჭირდება მინიმუმ ერთი დღე, სარჩელის ხანდაზმულობის ვადის დაცვით წარდგენის საფუძველი ვერ გახდება.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამარ-

თლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, ხოლო სადაც საკითხის ზუსტად განსაზღვრისათვის (მიმართა თუ არა მოსარჩელემ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელ დღეს) საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, საქმეში წარმოადგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების შედეგად უნდა განსაზღვროს ხანდაზმულობის საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. შპს „ჯ. ი. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. სარჩელის უზრუნველყოფა

### განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

#### განცხადება

№ას-69-63-2015

19 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქ-  
მის ბათილად ცნობა

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

6. ჩ-მ და 6. ს-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ბმა „ს. მ-ს“, 6. გ-ის, 6. ლ-ის, თ. ხ-ს, ზ. კ-ის, მესამე პირების: თ. პ-ს, დ. კ-სა და ლ. ხ-ს მიმართ, ბმა „ს. მ-ს“ წევრთა 2012 წლის 24 ივლისის კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ბმა „ს. მ-მა“ თავდაპირველად სარჩელი ცნო, მოგვიანებით კვლავ მიმართა სასამართლოს შესაგებლით და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე არ ცნეს სარჩელი სხვა მოპასუხებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბმა „ს. მ-ს“ 2012 წლის 24 ივლისის კრების ოქმი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბმა „ს. მ-მა“, 6. გ-მა, 6. ლ-მ და ზ. კ-მა.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს დავის დასრულებამდე ქ. თბილისის მერიის სსიპ „თ. ა. ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №..... ბრძანების მოქმედების შეჩერება, რომლითაც შეთანხმდა ქ. თბილისში, რეკონსტრუქციის პროექტი (№.....), ასევე ითხოვეს მოპასუხების დავალდებულება, შენყვიტონ ნებისმიერი სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო მოქმედებები ქ. თბილისში, მდებარე სახლზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა აღნიშნული განცხადება მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნად და 2014

წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა იგი, 6. გ-ს, 6. ლ-ს, თ. ს-სა და ზ. კ-ს აეკრძალათ ქ. თბილისში, მდებარე საცხოვრებელ სახლში ქ.თბილის მერიის სსიპ „თ. ა. ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №... ბრძანებით შეთანხმებული რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო მოქმედებების განხორციელება დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლზე, 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 198-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც, შესაძლოა, გამოხატულ იქნას მოპასუხისათვის საკუთარი ქონების ან ფულადი სასტრების განკარგვის უფლების შეზღუდვით, მისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვით და სხვა. უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს დროებითი ღონისძიების მნიშვნელოვან მექანიზმს, რაც საშუალებას იძლევა, თავიდან იქნას აცილებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გაფიანურება ან აღუსრულებლობა, მოსარჩელეს კი, ევალება განცხადებაში მიუთითოს იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოსარჩელის ინტერესის დაცვას ემსახურება, რომელიც სასამართლოს მიერ გამოყენებული იმგვარი დროებითი ღონისძიებაა, რომელიც ხელს შეუწყობს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის დაცვის აუცილებლობიდან. ამ მიზნის ფარგლებში კი, სასამართლომ დაცვის ადეკვატურ და საკმარის საშუალებად დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მოპასუხისათვის სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო მოქმედების განხორციელების აკრძალვა მიიჩნია, შესაბამისად, ჩათვალა, რომ განცხადება ქ.თბილისის მერიის სსიპ „თ. ა. ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №..... ბრძანების მოქმედების შეჩერების მოთხოვნის ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

6. გ-მა, 6. ლ-მ, თ. ხ-მა და ზ. კ-მა საჩივრით მიმართეს სასა-

მართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისა და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

საჩივრის ავტორთა განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას შენარჩუნებული უნდა იყოს მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსი და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატური უნდა იყოს. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენს ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხოლო მოსარჩელეთა ნამდვილი იურიდიული ინტერესი ამ მოთხოვნის მიმართ არ იყვნეთება, ასევე არასწორია ლიფტის შახტის ამაღლების თაობაზე განმცხადებლების მსჯელობა, რადგანაც იგი დიდი ხნის წინაა დაწყებული, ხოლო მოსარჩელებთან მორიგება ვერ ხერხდება, გაურკვეველია, კორპუსზე დაშენება, რომელსაც ანარმოებს მთელი კორპუსი რატომ უშლის ხელს მე-4 სართულზე მცხოვრებ პირებს, ამასთანავე, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 7 ნოემბრის ბრძანებით საჩივრის ავტორთა განცხადება მშენებლობის ვადის გაგრძელების თაობაზე დაემაყოფილდა. ამ ვადის დასრულებამდე სამშენებლო მოქმედებების განუხორციელებლობა გამოიწვევს მოპასუხეების დაჯარიმებას. ამ თვალსაზრისით მოპასუხეებმა მიუთითეს ადმინისტრაციული სამართლის სფეროსათვის განკუთვნილ კანონმდებლობაზე. ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება განმცხადებლების სასარგებლოდ გამოიტანა დავის მათი წარმატებით დასრულებაზე არ მიუთითებს, რაც დეტალურადა აღნერილი მოპასუხეების მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარში. გარდა აღნიშნულისა, ქ. თბილისის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2014 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებით, ბმა „ს. მ-ს“ გამოეყო ლიფტის შეკეთებისათვის საჭირო თანხის 70% და სამუშაოების 2014 წლის 31 დეკემბრამდე დაუსრულებლობა ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას გამოიწვევს, რაც ამხანაგობის წევრებს მეტად დააზარალებს.

საჩივრის ავტორთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვალდებულებას არ წარმოადგენდა, მერიის არქიტექტურის სამსახურს წარუდგინეს ექსპერტიზის დასკვნა რეკონსტრუქციის უსაფრთხოების თაობაზე, ამასთანავე, არქიტექტურის სამსახურის აქტი წარმოადგენს აღმტურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის შეჩე-

რეპაც დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მხარეს, რაც სახეზე არაა. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს, თუ რა შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლწარმოების ობიექტი და სამოქალაქო წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასების უფლება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას არ გააჩნდა, რომელმაც, მიღებული განჩინებით, ფაქტობრივად შეაჩერა იგი.

2013 წლის 17 ივნისს ნ. ს-ის წარმომადგენელმა საქალაქო სასამართლოს მიმართა განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად თბილისის არქიტექტურული სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე, რაც საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის განჩინებით არ დაკამაყოფილდა, 2014 წლის 14 ოქტომბრის განცხადებით მოსარჩელეებმა განმეორებით ითხოვეს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ოქტომბრის ბრძანების შეჩერება და მოპასუხეებისათვის სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მოქმედების შეზყვეტის დავალდებულება, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განცხადება განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ნ. გ-ის, ნ. ლ-ის, თ. ხ-სა და ზ. კ-ის საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, დაუსაბუთებლობის გამო განსახილველად გადმოეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. გ-ის წარმომადგენელმა და დამატებით განმარტა, რომ სადავო ფართები დიდი ხანია გასხვისებულია მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა ექსპლუატაციაში არაა მიღებული. ფართებს ჰყავს მესაკუთრები, რომლებიც არ არიან ამხანაგობის წევრები. განმცხადებლის განმარტებით, ნ. ს-ს მოცემული დავის მიმართ ინტერესი ალარ გააჩნია, რასაც მოწმობს საქმეში არსებული განცხადება, ამასთანავე, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სარჩელის უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპებიდან.

წარმოდგენილ განცხადებას ერთვის კომუნალური გადასახადების ქვითრებისა და საჯარო რეესტრის ამონანერების ასლები 12 ფურცლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება, ნ. გ-ის, ნ. ლ-ის, თ. ხ-სა და ზ. კ-ის საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევებს არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერების შემონმების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ ღონისძიების მართებულობის ფარგლებში დადგენილ რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებაზე:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელები, რომლებიც მოითხოვნ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობას, არიან ამავე ამხანაგობის წევრები;

კრების გადაწყვეტილებით კი, მოპოვებულია თანხმობა ქ. თბილისში, ჩ-ის ქ. №...-ში მდებარე კორპუსის თავზე ერთიანი პროექტის ფარგლებში ერთი სართულის დაშენების თაობაზე;

სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მოპოვევისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დარღვევა წარმოადგენს;

უდავოა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და კრების სადაცო გადაწყვეტილება ბათილადაა ცნობილი;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა. სწორედ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მიმართეს სააპელაციო სასამართლოს

მოსარჩელეებმა და ითხოვეს შემდეგი:

- ა) დავის დასრულებამდე ქ.თბილისის მერიის სსიპ „თ.ა.ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №..... ბრძანების მოქმედების შეჩერება, რომლითაც შეთანხმდა ქ.თბილისში, ..... რეკონსტრუქციის პროექტი (№ .....);
- ბ) მოპასუხების დავალდებულება, შეწყვიტონ ნებისმიერი სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო მოქმედებები ქ. თბილისში, მდგრად სახლზე.

მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ნ. ჩ-სა და ნ. ს-ის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება, სამართლებრივი თვალსაზრისით, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგინდილი წესის შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუწინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკამაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებულ ნორმაში, მართალია, საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გა-

დაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ლონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმავრულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ლონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახელვე გვევლინება.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელთა არგუმენტი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე გაიზიარა და მიიჩინა, რომ ქმედების განხორციელების აკრძალვა აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის დაცვის საკმარის ზომას წარმოადგენდა იმგვარად, რომ მშენებლობის მარეგულირებელი აქტების მოქმედების შეჩერების მოთხოვნის მართებულობაზე მსჯელობა საჭიროდ აღარ მიიჩინა.

აპელანტების საჩივრის შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მხარეები გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ძირითად საფუძვლებად მიუთითებენ შემდეგს:

ა) მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ არ არის დასაბუთებული, რაც გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების საფუძველი გახდა, ამასთანავე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, გაგრძელდა მშენებლობა

ბის ვადები და ამ ვადების დაუცველობის შემთხვევაში მოპასუხებს დაეკისრებათ ჯარიმები, გარდა აღნიშნულისა, მათ ადგებათ ზანი (გამოყოფილი კომპენსაციის გამოუყენებლობა);

ბ) მოსარჩელეებს არ დაუსაბუთებიათ პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი, მაშინ, როდესაც მშენებლობის ნებართვა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და მისი შეჩერება დაიშვება მხოლოდ ზიანის მიყენებისას, გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო სამართალნარმოების ფარგლებში არ შეიძლებოდა ადმინისტრაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული აქტების კანონიერების შემოწმება;

გ) მოსარჩელეებს ამავე საფუძვლით მოთხოვნილი ჰქონდათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და სააპელაციო სასამართლოს ნაცვლად განცხადების დაკმაყოფილებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ამ არგუმენტებს და აღნიშნავს, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო ხელმძღვანელობს განმცხადებლის მითითებით და ფორმალური თვალსაზრისით აფასებს მოთხოვნის მართებულობას, სწორედ ამაზე მიუთითებს 191-ე მუხლის დათქმა, რომ სასამართლოს ვარაუდი მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას გავლენას ვერ ახდენს. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება დაწყებული მშენებლობის დემონტაჟის საკითხი და ამ გზით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება გართულდება, ამასთანავე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი ასეთ ვითარებაში არ მიიჩნევა დარღვეულად, რადგანაც კანონმდებელი იცავს რა მოსარჩელის უფლებას, მოითხოვოს სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, მოპასუხის უფლებადამცავ ნორმას ნარმოადგენს საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილითაც დადგენილია შემდეგი: თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხა-

რეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

რაც შეეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შეჩერებისა და ამ გზით სასამართლოს მიერ განსჯადობის წესების დარღვევასა თუ სხვას, საკასაციო პალატა უპირველესად განმარტავს იმას, რომ გასაჩირებული განჩინებით სასამართლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეუჩერებია, ამ ნაწილში განცხადება არ დაკმაყოფილებულა, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, აქტის მოქმედების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, პირდაპირაა გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და ამ დროს აქტის კანონიერება კი არ მონმდება სამოქალაქო სამართლწარმოების გზით, არამედ სასამართლო კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით აჩერებს აქტის მოქმედებას, როგორც უზრუნველყოფის დროებით ღონისძიებას.

რაც შეეხება განცხადების განუხილველად დატოვების ნაწილში წარმოდგენილ პრეტენზიას, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს მას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

საქმის მოსამზადებელ ეტაპზე წარმოდგენილია ნ. ს-ის განცხადება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად მოსარჩელე მოითხოვდა სსიპ „თ.ა.ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №.... ბრძანების მოქმედების შეჩერებას დავის დასრულებამდე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის განჩინებით ნ. ს-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხებად დავაში არ იყვნენ ჩაბმული ის პირები, ვინც მშენებლობას ახორციელებდნენ.

განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. 2014 წლის 13 ოქტომბრის განცხადებით, მართალია, ნ. ჩ-თან ერთად ნ. ს-მა კვლავ მოითხოვა სსიპ „თ. ა. ს ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №.... ბრძანების მოქმედების შეჩერება, რაც შესაძლოა ამ ნაწილში განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი გამხდარიყო, თუმცა საპელაციო სასამარ-

თლომ გასაჩივრებული განჩინებით განცხადება ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა, რის გამოც, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული საპროცესო დარღვევით აპელანტთა უფლება არ დარღვეულა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის (გადაწყვეტილების აღსრულების) უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საჩივრის პრეტენზიების უსაფუძვლობის გამო, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო პალატამ მართებულად აუკრძალა მოპასუხებს ქ. თბილისში, მდებარე საცხოვრებელ სახლში სსიპ „თ. ა. ს-ის“ 2012 წლის 13 ნოემბრის №..... ბრძანებით შეთანხმებული რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო მოქმედებების განხორციელება დავის საპოლოო გადაწყვეტამდე.

რაც შეეხება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ განცხადებასა და მასზე დართულ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მათ და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ასევე 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, იმგვარად, რომ მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მხარეს ქვემდგომ სასამართლოში არ წარუდგენია, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი ვერ გახდება, მით უფრო მაშინ, როდესაც ეს გარემოება საჩივრის განხილვის ეტაპზე არსებობდა და მხარეს თავის დროზე არ მიუთითებია მათზე, შესაბამისად, ვერც ექსპლუატაციაში მიუღებელი ქონების შესაძლო გასხვისების თაობაზე იმსჯელებს საკასაციო სასამართლო.

პალატა მიიჩნევს, რომ გ-ს უნდა დაუბრუნდეს 2015 წლის 11 თებერვლის №ა-423-15 განცხადებაზე დართული კომუნალური გადასახადების ქვითონებისა და საჯარო რეესტრის ამონანერების ასლები 12 ფურცლად, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოი-  
ღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა  
არა აქვთ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის, ნ. ლ-ის, თ. ხ-სა და ზ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყო-  
ფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უც-  
ვლელად.
3. ნ. გ-ს დაუბრუნდეს 2015 წლის 11 თებერვლის №ა-423-15  
განცხადებაზე დართული კომუნალური გადასახადების ქვით-  
რებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერების ასლები 12 ფურ-  
ცლად.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საპოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

**განცხადება სარჩევის უზრუნველყოფის შესახებ**

**განცხილა**

№ას-459-438-2015

17 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ბლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „M-მა“ სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ბ. პ-ს“ მი-  
მართ და მოითხოვა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების სა-  
ფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459

000 აშშ დოლარის, „ბეს“ ორმაგი ოდენობის – 20 000 აშშ დოლარის, მშენებარე ფართის ლირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის პროცენტის სახით ზიანის – 61 310 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 118575 აშშ დოლარის (წელიწადში 22950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1912.5 აშშ დოლარი), პირგასამტებლის – 41 310 აშშ დოლარისა და იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით) 2010 წლის იანვრიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, კერძოდ, 384 000 აშშ დოლარის და გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში – 8000 აშშ დოლარის გადახდა.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 30 აპრილს მხარეებს შორის გაფორმდა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №... ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ბ. პ-ას“ მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ. ბ-ში, ...-ის ქ. №..-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ლერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170 კვ.მ.) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ძირითადი ხელშეკრულება.

ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მყიდველს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამყიდველისათვის „ბეს“ სახით უნდა გადაეხადა 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რაც ჩაითვლებოდა ნასყიდობის საგნის საფასურში, ხოლო დარჩენილი თანხა – 449 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადახდილიყო შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: 24 000 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 მაისისა; 52250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 ივნისისა; 52250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 ივლისისა; 52250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 აგვისტოს; 52250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 სექტემბრისა. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 25 ივლისისათვის.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მშენებარე ფართის ლირებულება – 459 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი სრულად გადაისადა. მოპასუხემ კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობა არ დაასრულა, 2010 წლის მშენებლობის დასრულების შემდგომაც მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი არ გადასცა და არც მოსარჩელეს

მშენებლობის დასრულების შესახებ არ შეატყობინა, რითაც და-არღვია ნინარე ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის და მე-10 მუხლის მოთხოვნები.

მხარის მითითებით, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადგებისას, კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გა-აჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ.-ის, ისე ბ.-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სარ-თულების დონეზე – ლია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებელია და მოსარჩელის მხრიდან ნასყი-დობის წინარე ხელშეკრულების დადგების მთავარი ინტერესი იყო, ვინაიდან შეძენილ ფართში მოსარჩელეს დაგეგმილი ჰქონ-და ერთ-ერთი ბრენდის – „K-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური პრესტიულული ობიექტის მოწყობა. მოპასუხის მიერ №... კომერციული ფართის ფაქტობ-რივი მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე და ამ უკა-ნასენელის ინტერესების საზიანოდ გააუქმა ფართში შესასვლე-ლი ბ.-ის ქუჩიდან, გააუქმა აგრეთვე საერთო სარგებლობის ფო-იე და მის თავზე არსებული სივრცე იქ მოპასუხის მიერ დამა-ტებითი კომერციული ფართების მოწყობით, რითაც მოსარჩე-ლის კომერციულმა ფართმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება, პოტენციურ მომხმარებელს შეეზღუდა ობი-ექტში თავისუფლად მოხვედრის, გამოფენილი ნიმუშების დათ-ვალიერების შესაძლებლობა და სარეკლამო სივრცე. ნასყიდო-ბის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი დღე-ის მდგომარეობით მდებარეობს გასართობი ცენტრის სარგებ-ლობაში არსებულ ერთიან ფართში და არ შეესაბამება ნასყი-დობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულს. მოპასუ-ხის მიერ განხორციელებული გადაკეთების შედეგად, მოსარ-ჩელეს მოესპონ შეძენილი კომერციული ფართის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა (კომპანია „K-მ“ შეწ-ყვიტა ხელშეკრულება მოსარჩელესთან).

მოსარჩელემ განმარტა, რომ მშენებარე ფართის ღირებუ-ლებას იხდიდა სს „პროერედიტ ბანკიდან“ კრედიტის სახით მი-ღებული თანხით. კრედიტის მიღებისათვის პროცენტის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა 61310 აშშ დოლარი. მოსარჩე-ლემ ვერ მიიღო 459 000 აშშ დოლარის სარგებელი, რასაც მიი-ღებდა მინიმალური ნლიური 5%-იანი საბანკო პროცენტის სა-ხით 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე და ნელიწადში შეად-გენს 22950 აშშ დოლარს, ხოლო სარჩელის სასამართლოში შე-ტანის მომენტისათვის – 118575 აშშ დოლარს. მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გა-

მოც უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს „ბეს“ სახით გადახდილი 10 000 აშშ დოლარის ოდენობით. მოპასუხეს უნდა დაეკისროს პირვასამტებლო 459 000 აშშ დოლარის 0.1% ყოველი ვადაგა-დაცილებული დღისათვის 459 აშშ დოლარი – 90 დღის განმავ-ლობაში, რაც ჯამში 41 310 აშშ დოლარია.

2010 წლის იანვრიდან მოპასუხეს სხვადასხვა სუბიექტებზე, მათ შორის უცხო ფირმებზე (ინდოელებზე) აქირავებდა ფართს, ამჟამად კი ფართი გრძელვადიანი იჯარით გადაცემული აქვს შპს „ნ-სა და შ-ს“. საიჯარო თანხა პირველ ეტაპზე შეადგენდა თვეში 8000 აშშ დოლარს, შემდგომში ზერდის პერსპექტივით. ამდენად, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხე მის ხარჯზე სა-სამართლოში სარჩელის ალბორამდე 384 000 აშშ დოლარით უსა-ფუძვლოდ გამდიდრდა და ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ კომპლექსი „ბ. პ-ა“ შედგება ე.წ. კომერციული და საცხოვრებელი ბლოკები-საგან.

მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდო-ბის წინარე ხელშეკრულება შეეხებოდა კომერციულ ბლოკში განთავსებულ უძრავ ქონებას.

კომერციულ ბლოკში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში – 2009 წლის 25 ივლისისათვის, ხოლო კომპლექსის შიდა სარემონტო და მოსაპირეულებელი სამუშაოები მთლიანად დასრულდა 2010 წელს და ამავე წელს ექსპლუატაციაში შევიდა კომერციული ბლოკი.

ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწი-ნებულია არა მშენებლობის დასრულების შესახებ მყიდველი-სათვის ინფორმაციის მიწოდება, არამედ ნასყიდობის ძირითა-დი ხელშეკრულების დადების შესახებ მზაობის დაფიქსირება.

მოპასუხის მითითებით, მოსარჩელისათვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მშენებარე კომპლექსში უძრავი ქონების შემ-ძენისათვის, ცნობილი იყო სამშენებლო სამუშაოების მიმდინა-რების პროცესისა და მისი დასრულების ფაქტი. მისთვის ცნო-ბილი იყო მოპასუხის მზადყოფნაც, დადებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება ჯერ კიდევ 2011 წლის დასაწყისი-დან. მიუხედავად მოსარჩელის არა ერთი გაფრთხილებისა, გა-ფორმებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, მოსარ-ჩელე თავიდანვე ცდილობდა, თავი აერიდებინა ნასყიდობის ძი-რითადი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ყოველთვის ცდილობ-

და წერილებში დაეფიქსირებინა არარსებული ფაქტები. ხელ-შეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში მოსარჩე-ლისათვის გადასაცემი უძრავი ქონება სრულად შეესაბამებო-და, როგორც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-9 მუხ-ლით, ისე პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ითვა-ლისწინებს არა ხელშეკრულების შეწყვეტამდე უძრავი ქონების მდგომარეობას, არამედ მისი ექსპერტიზის ჩატარების მომენ-ტისათვის (2013 წლის 14 ივლისის) არსებულ მდგომარეობას. მხა-რებებს შორის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება შეწყდა სწო-რედ მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

მოპასუხემ მიიჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან არ ირკვევა სესხის სწორედ კომპლექს „ბ. პ-აში“ არსებული უძრა-ვი ქონების შესაძენად გაცემის ფაქტი. ამასთან, როგორც წესი, უძრავი ქონების შესაძენად აღებული სესხის უზრუნველსაყო-ფად იპოთეკით იტვირთება შესაძენი უძრავი ქონება და შპს „ბ. პ-ა“ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში კლიენ-ტის სესხის უზრუნველსაყოფად ყოველთვის იპოთეკით ტვირ-თავდა ჯერ კიდევ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა.

მხარის მოსაზრებით, მოსარჩელეს 459 000 აშშ დოლარი გა-დახდილი აქვს უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და სარ-გებლის მიღება. მოსარჩელისათვის, როგორც ხელშეკრულებით, ასევე მისთვის გაგზავნილი წერილებიდან ცნობილია მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების პირობები.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნ-ქტის თანახმად, „ბე“ რჩება გამყიდველს და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათ-ვის მიყიდვის შემდეგ. ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვე-ვაში, მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს სხვა-ობა. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მყიდველის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება ჯერ არ წარმოშობილა, რადგან მესამე პირს უძრავი ქონება არ შეუძე-ნია. უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება და-არღვია სწორედ მოსარჩელემ, რის გამოც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულე-

ბა მას ეკისრება. საქმის მასალებით არ დასტურდება იჯარით ქონების გადაცემის ფაქტი, სარჩელზე თანდართული იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 1 ნოემბერს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459 000 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 41 310 აშშ დოლარის გადახდა, სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – მოპასუხეს, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ. პ-ას“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე პირგასამტებლოს – 28 917 აშშ დოლარის გადახდა.

„M-ის“ დირექტორმა მ. ბ-მ 2015 წლის 17 მარტს განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რათა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედოს შპს „ბ. პ-ას“ ქ. ბ-ში, ...-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებას, ასევე, შპს „ბ. პ-ას“ (ს/კ ...) 67% წილს შპს „ბ. ს. დ-ში“ (ს/კ ...), 74,93377000% წილს შპს „კ-ში“ (ს/კ ...), შპს „ბ. პ-ას“ (ს/კ ...) ყველა საანგარიშსნორებო საბანკო ანგარიშებს, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოური ვალუტით, მათ შორის სს ბანკი „ქ-ს“ ბათუმის ფილიალში ბანკის კოდით ..., ა/ა №....

განმცხადებელმა განმარტა, რომ 2014 წლის 15 ივლისს შპს „ბ. პ-ამ“ გაასხვისა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით შპს „M-სათვის“ გათვალისწინებული №... ფართი 400 000 აშშ დოლარად მ. ბ-ზე. შპს „ბ. პ-ამ“ 2014 წლის 5 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით გაყიდა 15 ერთეული უძრავი ქონება, იმავე წლის 9 ოქტომბერს – 1 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო 2015 წლის 6

მარტს – კვლავ 1 ერთეული უძრავი ქონება. აღნიშნული ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხით შპს „ბ. პ-ას“ განმცხადებლისათვის დავალიანება არ გადაუხდია. მითითებული უძრავი ნივთების შპს „ბ. პ-სათვის“ კუთვნილება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით დასტურდება.

განმცხადებელმა მიმართა რეესტრის სამსახურს შპს „ბ. პ-ას“ სახელზე რეგისტრირებული ქონების დასადგენად. ამ სამსახურის 2015 წლის 24 თებერვლის წერილით ეცნობა, რომ შპს „ბ. პ-ას“ საკუთრებაში ერიცხება ქ. ბ-ში, ...-ის ქ. №...-ში 12 საკადასტრო ერთეული კომერციული, არასაცხოვრებელი ფართი და ტერიტორიული სათავსები, აგრეთვე ის არის შპს „ბ-ის“ კაპიტალში 2,02% ნილის მესაკუთრე, შპს „ბ. ს. დ-ის“ კაპიტალის 67% ნილის მესაკუთრე, შპს „კ-ს“ კაპიტალში – 74,93377% ნილის მესაკუთრე. ზემოთ მითითებული 12-ვე უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით, ადევს საგადასახადო იპოთეკა. ამასთან, 2007 წლის 3 მაისის იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკარია სს „ბანკი ქ.“, მესაკუთრე – შპს „ბ. პ-ა“, მსესხებელი – „ბ. ს. ჯ-ი“. იპოთეკით უზრუნველყოფილია 22 000 000 აშშ დოლარი. 2011 წლის 1 ნოემბრის იპოთეკის ხელშეკრულებით გაფორმებული შპს „ბ. პ-ასა“ და „ლ. კ. პ-ები ბ. ვ-ს“ შორის იპოთეკით უზრუნველყოფილია 11 387 819 აშშ დოლარი. რაც შეეხება შპს „ბ. პ-ას“ 2,02% ნილს „ბ-ში“ და 74,93377% ნილს შპს „კ-ში“, აღნიშნულს ადევს ასევე საგადასახადო გირავნობა. ამდენად, განმცხადებელმა მიუთითა, რომ შპს „ბ. პ-ას“ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გამოყენებულია მის მიერ აღებული სოლიდური ფულადი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ქონებას ადევს ასევე საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შპს „ბ. პ-ას“ ვალდებულებები აღემატება მისი ქონების ღირებულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის განჩინებით შპს „M-ის“ დირექტორ მ. ბ-ის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო შპს „ბ. პ-ას“ უძრავ ქონებას ქ. ბ-ში, ქ.-ის ქ. 5-ში: 450.00 კვ.მ, სართული 2, №S 2/1 ს/კ №..., 728,00 კვ.მ, სართული 3, №B 3/1 ს/კ №..., 640.00 კვ.მ კომერციული ფართი, ბლოკი „C“, №S 1/1 ს/კ №..., 1097.00. სართული 1, №S 1/1 ს/კ №..., 170.00 სავაჭრო ცენტრი, სართული 1, S 1/5/1 ს/კ №.... ასევე ყადაღა დაედო შპს „ბ. პ-ას“ (ს/კ ...) 67% ნილს შპს „ბ. ს. დ-ში“ (ს/კ ...), 74,93377000% ნილს შპს „კ-ში“ (ს/კ ...), შპს „M-ის“ განცხადება შპს „ბ. პ-ას“ (ს/კ ...) ყველა საანგარიშსნორებო საბანკო ანგარიშებს, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით, მათ შორის სს ბანკი „ქ-ს“ ბათუმის ფილი-

ალში ბანკის კოდი ..., ა/ა №..., სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში ყადაღის დადების ნაწილში არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

2015 წლის 15 აპრილს შპს „M-ის“ წარმომადგენელმა ა. გ-ამ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, მოითხოვა 2015 წლის 17 მარტის განჩინებასა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა, კერძოდ, განცხადებლის განმარტებით, განჩინებაში და შემდეგ მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცლებში არასწორად არის მითითებული ორი დაყადაღებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდი, რის გამოც დაბრკოლება შეიქმნა საჯარო რეესტრში. მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე დართული იყო ამონანერები საჯარო რეესტრიდან, სადაც მითითებულია ამ ქონებების ზუსტი კოდები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით შპს „M-ის“ განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებაში ყველგან, სადაც მითითებულია „ფართი 170.00 სავაჭრო ცენტრი სართული 1, S 1/5/1 ს/კ №...“ გასწორდა და მიეთითა ფართი 170.00 სავაჭრო ცენტრი სართული 1, S 1/5/1 ს/კოდი №...1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებაში ყველგან, სადაც მითითებულია „ფართი 1097.00. სართული 1, №S 1/1 ს/კ №...“ გასწორდა და მიეთითა „ფართი 1097.00. სართული 1, №S 1/1 ს/კოდი ...“

ანალოგიურად გასწორდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს „ბ. პ-ამ“, მოითხოვა განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ გაუქმება.

საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების დაცვა აღუსრულებლობისაგან, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული ყადაღა ვერ გამოდგება უზრუნველყოფის მთავარი მიზნისათვის – გადაწყვეტილების აღსრულების გართულების ან აღსრულების შეუძლებლობისაგან თავის დასაცავად, რადგან დაყადაღებული უძრავი კონებიდან რამდენიმე

რეალურად არ არსებობს და საჯარო რეესტრმა შეცდომით გასცა რეესტრის ამონანერი შემდეგ უძრავ ქონებაზე: ფართი 1097 სართული 1, №S 1/1 ს/კ №.... მითითებული მონაცემები შეიცავს შეცდომას, უნდა იყოს ს/კ №..., ფართი 170 სავაჭრო ცენტრი სართული 1, S 1/5/1 ს/კ №.... შეცდომა და უნდა იყოს ს/კ №...1.

მხარის მითითებით, „ბ. პ-ას“ ფართის თავდაპირველი განშლა დამტკიცდა შპს „ბ. პ-ას“ 2007 წლის 9 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმით, რომელიც ერთიანად დასარეგისტრირებლად წარედგინა საჯარო რეესტრს. შემდეგ მასშიც ცვლილება იქნა შეტანილი პარტნიორთა კრების 2009 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით არსებულ განშლებში და ჩამოყალიბდა ახალი სახით. შესაბამისად, საკადასტრო კოდებში შეცდომებია და რეესტრის სამსახურს იგი ძველი საკადასტრო კოდით არ უნდა გაეცა. კომპლექსში 1097 კვ.მ აღარ არსებობს და მისგან 640 კვ.მ დარჩა. აღნიშნული დარღვევების შესახებ მხარემ აცნობა რეესტრის სამსახურს და მოხდება მისი გასწორება. ამდენად, დაყადაღებული ქონებიდან ორს სხვა მესაკუთრე ჰყავს და იგი მხოლოდ ქალალდება არსებობს, ამ ქონების დაყადაღება ვერ მოახდენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის კანონმდებლის მიერ დადგენილი ინტერესების დაცვას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით შპს „ბ. პ-ას“ საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეს არ მოუთხოვია. ამდენად უდავოა, რომ სარჩელი დაცული არ იყო და განმცხადებელს გააჩნდა სარჩელის დაცვის ღირსი ინტერესი. მან წარადგინა მოპასუხის დასაყადაღებელი ქონების ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულებაც – აუდიტის დასკვნა, ამონანერები საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დგინდებოდა, რომ შპს „ბ. პ-ამ“ მოახდინა მისი კუთვნილი ფართის გასხვისება. ამასთან, ფართი დატვირთული იყო იპოთეკით, ანუ ქონების გასხვისების საფრთხე დასაბუთებული იყო. „ბ. პ-ას“ ვალები აღემატება მისი ქონების ღირებულებას, ასეთ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ვეღარ აღსრულდება სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან უძრავი ქონება, რომლითაც მოპასუხებ პასუხი უნდა აგოს, მის საკუთრებაში აღარ იქნება ან/და თავდაპირველად დაკმაყოფილდება

სხვა იპოთეკარის მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, ესაა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. განმცხადებელმა კი, შეძლო დაესაბუთებინა ასეთი აუცილებლობა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი დაემაყოფილებულია დაახლოებით 527,569,5 აშშ დოლარის ფარგლებში. შესაბამისად, იგი ამ ფარგლებში იქნა დაცული.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაკავშირებულია უმაღლესი ხარისხის აღპათობასთან, კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სარჩელის დაემაყოფილების შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. გარდა ამისა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ შესაძლებელია, სარჩელი დაემაყოფილდეს.

კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელი დაემაყოფილებულია ნაწილობრივ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გადაწყვეტილების აღსრულებას შეუქმნის სირთულეებს, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ბ. პ-ა“ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ითხოვს ნაწილობრივ, კერძოდ, შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით: 1097 კვ.მ, სართული 1, №S 1/1 ს/კ №.... და 170 კვ.მ სავაჭრო ცენტრი, სართული 1, S 1/5/1 ს/კ №....

საჩივრის ავტორის მიერ განჩინების ნაწილობრივ გაუქმების ძირითად მოტივად მითითებულია ის, რომ დაყადაღებული ორი უძრავი ქონება არ არსებობს მის საკუთრებაში და ქონების საკადასტრო კოდები შეცდომით არის მითითებული.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და განმარტა, რომ „M-მა“ უსწორობის გასწორების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს და 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით დაშვებული უსწორობები გასწორდა როგორც თავად განჩინებაში, ისე – მასზე ამონერილ სააღსრულებო ფურცელ-

ში და ამოინერა ახალი სააღსრულებო ფურცელიც. ამდენად, დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება, რომ ყადაღა დაედო შპს „ბ. პ-ას“ საკუთრებაში არარსებულ ქონებას.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყველის ჩანაწერის უზუსტობა ან უსწორობა დაგენილი არ არის. სასამართლოს მიერ 2015 წლის 17 მარტის განჩინებაში დაშვებული უსწორობა კი, 2015 წლის 17 აპრილს განჩინებით გამოსწორებულია.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ წარმოდგენილი საჩივრი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულ არცერთ გარემოებას არ შეიცავს, შესაბამისად, იგი უსაფუძვლოა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლით და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ. პ-ას“ საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი, დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გაცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაქმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძ

ლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოთხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარეგა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპა-

სუხე შპს „ბ. პ-ას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459 000 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 41 310 აშშ დოლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის განჩინებით კი, შპს „ბ. პ-ას“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე პირგასამტებლოს – 28917 აშშ დოლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო პალატის 2015 წლის 17 მარტისა და 27 აპრილის განჩინებების დასაბუთებას, რომელთა თანახმად დაკმაყოფილდა „M-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, მხედველობაში მიიღო დაგის საგნის მოცულობა, ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები ადასტურებდა დასაყადაღებელი ქონების ღირებულების შესაბამისობას სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებულ თანხასთან მიმართებით, სადავო ქონების შპს „ბ. პ-ასათვის“ კუთვნილების ფაქტს, მოპასუხის ქონებაზე იპოთეკის არსებობას და იმ გარემოებას, რომ შპს „ბ. პ-ას“ ვალები აღმატება მისი ქონების ღირებულებას.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს განმცხადებლის მიერ მითითებულ იმ გარემოებებსაც, რომელთა უარყოფა საჩივრის ავტორს კანონით დადგენილი წესით არ მოუხდენია, რომ 2014 წლის 15 ივნისს შპს „ბ. პ-ამ“ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით შპს „M-სათვის“ გათვალისწინებული №... ფართი 400 000 აშშ დოლარად მიჰყიდა მ. ხ-ს. შპს „ბ. პ-ამ“ 2014 წლის 5 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით გაყიდა 15 ერთეული უძრავი ქონება, იმავე წლის 9 ოქტომბერს – 1 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო 2015 წლის 6 მარტს – კვლავ 1 ერთეული უძრავი ქონება, თუმცა აღნიშნული ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხით შპს „ბ. პ-ას“ განმცხადებლისათვის დავალიანება არ გადაუხდია.

ამდენად, სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია მიზანშეწონილად სარჩელის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განცხადებაში მითითებული ქონების სრული ჩამონათვალის მიმართ. ამასთან, მოპასუხის საკუთრების უფ-

ლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, ნაცვლად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებისა – ყადაღისა, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ქონების გასხვისებისა და იპოთეკით (გირავნობით) დატვირთვის მოპასუხეთათვის აკრძალვის გამოყენება, რაც ამსუბუქებს შპს „ბ. პ-ას“ მდგომარეობას და მოპასუხის კანონიერი უფლებების გამართლებულ შეზღუდვას წარმოადგენს.

სადავო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება შპს „ბ. პ-ას“ არგუმენტი, რომ იმ ქონების მაიდნენტიფიცირებულ მონაცემებში, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი შეზღუდვა, დაშვებული იყო შეცდომები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად დასაბუთებულია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით შპს „M-ის“ განცხადების საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინებასა და მასზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობანი, კერძოდ კი, სწორედ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონების მონაცემებში არსებული შეცდომები გასწორდა. ამდენად, მითითებული უსწორობები მომავალში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას ვერ დააბრკოლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. პ-ას“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 17 მარტისა და 27 აპრილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განცხადება სარჩევის უზრუნველყოფის შესახებ

### განმინდონის განცხადება

№ას-113-106-2015

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღნიშვნის განცხადებითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. შპს „ა. ც-ის“ სარჩევი დაკმაყოფილდა;
2. მოპასუხე შპს „ს. ჯ-ს“ მოსარჩელე შპს „ა. ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების ძირითადი თანხის – 60039.70 ლარის გადახდა;
3. მოპასუხე შპს „ს. ჯ-ს“ მოსარჩელე შპს „ა. ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლოს სახით ყოველ ვადაგადაცი-ლებულ დღეზე დავალიანების ძირითადი თანხის 0.1%-ის გადახდა 2014 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
4. მოპასუხე შპს „ს. ჯ-ს“ მოსარჩელე შპს „ა. ც-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ მედიაციის სამსახურში გადახდილი ბაჟის – 500 ლარისა და სხელმწიფო ბაჟის – 2473.65 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააბელაციო წესით გაასაჩინორა შპს „ს. ჯ-მა“.

2014 წლის 29 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს „ა. ც-ის“ დირექტორმა ი-ემ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით შპს „ს. ჯ-ის“ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულებების, მთლიანობაში 81913. 93 ლარის ფარგლებში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „ს. ჯ-ს“ შპს „ა. ც-ის“ მიმართ გააჩინია შესასრულებლად აუცილებელი სხვა ვალდე-

ბულებები, რომლებიც დადასტურებულია საქალაქო ან/და საა-პელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, აგრეთვე, სამე-დიცინო მედიაციის მიერ. აღნიშნული ვალდებულებების საერ-თო რაოდენობა, 2014 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, 515362.35 ლარს შეადგენს. მოსარჩელის წინაშე არსებული ვალ-დებულებები მოპასუხეს დღემდე არ შეუსრულებია. აღსანიშ-ნავია ისიც, რომ შპს „ს. ჯ-ს“ შპს „ა. ც-ის“ გარდა, შეუსრულებე-ლი ფულადი ვალდებულება გააჩნია შპს „თ. კ-ის“ მიმართაც.

განმცხადებლის მოსაზრებით, შპს „ს. ჯ-ის“ თითოეული ქმე-დება და დაპირება იმას ცხადყოფდა, რომ იგი ვალდებულებას შესრულებას არ აპირებდა, რითაც აზარალებდა, როგორც კ-ის ინტერესებს, ასევე მის მიერ დაზღვეული პაციენტების ჯან-მრთელობას და მათ სიცოცხლეს ეჭვქვეშ აყენებდა.

განმცხადებლის ინცორმაციით, შპს „ს. ჯ-ი“ მძიმე ფინან-სურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ, დიდი ალბათობა არსებობდა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის, მზღვეველის გადახდისუუნარობის გამო გადაწ-ყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდებოდა. აქვე განმცხა-დებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს „ს. ჯ-ის“ საკუთრებაში უძრავი ქონება არ ირიცხებოდა, ხოლო მის საკუთრებაში არსებული წილები სხვადასხვა ვალდებულე-ბების აღსრულების მიზნით დაყადალებული იყო და მოვალეთა რეესტრში ირიცხებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით:

შპს „ა. ც-ის“ განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკ-მაყოფილდა.

სსენებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა შპს „ა. ც-მა“.

თ. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით შპს „ა. ც-ის“ საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად საქართვე-ლოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულე-ბისათვის მოსალოდნელად დაბრკოლების თავიდან აცილება. იმი-სათვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გა-მოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქ-ტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღო-

ნისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და აგრეთვე, მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებელს მიზანშენონილად და გამართლებულად მიაჩნია.

ამავდროულად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის (გადაწყვეტილების) უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი ვარაუდი კი, სასამართლოს უნდა შეუქმნას განმცხადებლის მიერ მითითებულმა გარემოებებმა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის (საჩივრის ავტორის) მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საქმარის საფუძველს ასეთი დასაბუთებული ვარაუდისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, უზრუნველყოფის ონისძიება, როგორც წესი, მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა ვალდებული პირის ქცევა და მისი ქონებრივი მდგომარეობა იძლევა ისეთი დასკვნის შესაძლებლობას, რომ იგი განზრას თავს აარიდებს ვალდებულების შესრულებას. კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობდა ვითარება, როდესაც მოვალე სადავოდ ხდიდა ვალდებულებას და მას არ ასრულებდა სასამართლოში მითითებული ვალდებულების საფუძვლიანობის დადგენამდე.

რაც შეეხებოდა საჩივრის ავტორის მითითებას აპელანტის (მოვალის) „გართულებული ფინანსური მდგომარეობის“ შესახებ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არ გაიზიარა და განმარტა, რომ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ს. საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სისიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (შემდეგში – სამსახური). ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, ს. რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდიკასა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს სამსახური.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორმა თავისი დასკვნა მოვალის მძიმე ფინანსური მდგომარეობის თაობაზე იმ არგუმენტზე დაყრდნობით გამოიტანა, რომ კომპანიას ბევრი ვადამოსული ვალდებულება ჰქონდა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითება ფინანსურ დავალიანებებთან დაკავშირებით არ იძლეოდა იმგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, გადაწყვეტილება ვერ აღსრულდებოდა ან მის აღსრულებას დაბრკოლება შეექმნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ისეთი ფინანსური ინსტიტუტის საბანკო ანგარიშების დაყადაღება, როგორიც ს. კომპანიაა, მის საქმიანობას სერიოზულად დააბრკოლებდა, რაც არათუ უზრუნველყოფა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანიის საქმიანობას შეაფერხებდა და უამრავ მომხმარებელს დააზარალებდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, როგორც განცხადებაში, ისე საჩივრაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ არსებობდა ს. კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისათვის ხელის შემშლელი გარემოებები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა-ის“ საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემობათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ თავით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ნარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესოსამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი,

რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონც-ირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, კერძოდ კი იმ წინადადებაში, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მან უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი (მოსარჩელე) უთითებდა, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ს. ჯ-ი“ რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც, განმცხადებლის მოსაზრებით, არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ დალაში შესვლის დროისათვის შპს „ს. ჯ-ის“ გადახდისუნარობის გამო აღსრულება ვერ მოხერხდებოდა. შპს „ს. კომპანია აი სი ჯ-ის“ რთული ფინანსური მდგომარეობის დასადასტურებლად განმცხადებელმა სასამართლოში წარადგინა: საქალაქო/სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე, სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურის რეკომენდაციები, რომლებითაც შპს „ს. ჯ-ს“ დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ოდენობის გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა დაეკისრა. გარდა ამისა, განმცხადე-

ბელმა წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც ირკვევა, რომ 2014 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ს. ჯ-ის“ საკუთრებაში არსებული წილები სხვადასხვა ვალდებულებების აღსრულების მიზნით დაყადაღებული იყო და საჯარო რეესტრის მონაცემებით აპელანტის საკუთრებაში არანირი სახის უძრავი ქონება არ ირიცხებოდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სათანადო დასბუთებას იმის თაობაზე, თუ რატომ არ იყო საქმარისი გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველსაყოფად განმცხადებლის მიერ მითითებული ზემოხსენებული გარემოებები, ანუ რატომ არ ქმნიდნენ ისინი იმ ვარაუდის საფუძველს, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე.

გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ისეთი ფინანსური ინსტიტუტის საბანკო ანგარიშების დაყადაღება, როგორიც ს. კომპანია, მის საქმიანობას სერიოზულად დააბრკოლებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყადაღის დაწესებით კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალურ უფლებების რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს კი უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს, შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვისას ამგვარი მიზნის მითითება ლეგიტიმურია. საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელ და ერთადერთ საშუალებას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს გააჩნია დიდი ოდენობით ვადამოსული ვალდებულებები და ამასთან, მის სახელზე არ ირიცხება არანაირი უძრავი ქონება, ხოლო – წილები დაყადაღებულია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არ წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე ყადალის დადება მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი, ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ამავე კოდექსის 419-ე/420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „ა. ც-ის“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის და 2015 წლის 16 იანვრის განჩინებები და შპს „ა. ც-ის“ განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

## განცილება

№ას-901-851-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ი-ას“ (შემდეგში – მოსარჩევე ან მენარდე) სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სს „ფ-ის“ (შემდეგში – მოპასუხე ან შემკვეთი) წინააღმდეგ დაკმაყოფილდა და შემკვეთს დაეკისრა 82 500 (ოთხმოცდაორი ათას ხუთასი) აშშ დოლარის გადახდა, ასევე, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4087.83 (ოთხი ათას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) და აუდიტის მომსახურების – 1500 (ათას ხუთასი) ლარის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში საკუ, 629-ე, 394-ე, 408, 411-ე, 412-ე მუხლები).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება შემკვეთმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით შემკვეთის საპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა.

4. სააპელაციო სასამართლოში საქმისზარმოების ეტაპზე, მენარდემ 2015 წლის 20 მაისის განცხადებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და საკუთარი პოზიცია დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

4.1. შემკვეთმა დაასრულა სამუშაოები და აპირებს საქართველოდან წასვლას, რისთვისაც მობილიზებული ჰყავს სატრანსპორტო საშუალებები ახალქალაქის საზღვარზე საქართველოდან ტექნიკის გასაყვანად; რეალურია საშიშროება, რომ მენარდის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილე-

ბის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება;

4.2. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 191-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემკვეთმა მოითხოვა მენარდის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე, მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ყადაღის დადება:

1. მოდელი A..., სახელმწიფო ნომერი A..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი 1...;

2. მოდელი A..., გამოშვების წელი 1998, სახელმწიფო ნომერი B..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი W...;

3. მოდელი თ..., სახელმწიფო ნომერი B..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი J...;

4. მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი E..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., გამოშვების წელი 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი W...;

5. მოდელი B..., სახელმწიფო ნომერი E..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი 1...;

6. მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2001, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

7. მოდელი M... 1..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2002, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

8. მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2003, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

9. მოდელი M... 1..., სახელმწიფო ნომერი – G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2003, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

10. მოდელი N..., სახელმწიფო ნომერი K... სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი M...;

11. მოდელი T..., სახელმწიფო ნომერი P..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი

რი/შასი J...

5. სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინებით, მენარდის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეზე №28/2662-14 დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო შემკვეთის სახელზე რიცხულ მექანიკურ სატრანსპოტო საშუალებებს და იმავე დღეს გაიცა სააღსრულებო ფურცელი (სსსკ – 191-ე, 194-ე, 198-ე, 199-ე მუხლები; იხ. ამ განჩინების 4.2. ქვეპუნქტი);

6. სასამართლო აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და, ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განპირობებული უნდა იყოს იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

7. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღსრულებელი დარჩება ან მნიშვნელოვნად გაძნელდება აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამდლოვნები გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს არც სსსკ-ის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, აღბათობის მაღალი ხარისხით, იმ

გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემ-ყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გა-მოყენების აუცილებლობის შესახებ.

8. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყო-ფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე შესაძლოა არაკეთილსინდი-სიერი აღმოჩნდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფ-ლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციე-ლების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარან-ტიას. აღნიშვნული ინსტიტუტის თავისებურება ისაა, რომ უფ-ლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარ და დროებით ხასი-ათის ღონისძიებაა და გამოიყენება დარღვეული ან სადაც უფ-ლების შესახებ, სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან და-მოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამო-ტანამდე. უზრუნველყოფის ღონისძიებაზე მსჯელობისას, ყვე-ლა საქმეზე, სასამართლომ პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერ-ძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღ-სრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნ-ველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლე-ბელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

9. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყურადღება გაამახვილა სასამარ-თლოს მიერ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ოდე-ნობაზე – შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ 82 500 აშშ დოლა-რი დაეკისრა და მიიჩნია, რომ შემკვეთის საკუთრებად რიცხულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე ყადაღის დადება, სა-სარჩელო მოთხოვნის პროპორციული იყო და გამომდინარეობდა მოთხოვნის საფუძვლებიდან. სასამართლომ განჩინებაში ისიც აღნიშნა, რომ შემკვეთს დასრულებული ჰქონდა სამუშაოები, აპირებდა საქართველოდან წასვლას და მისი სატრანსპორტო სა-შუალებები მობილიზებული იყო ახალქალაქის საზღვარზე, ტექ-ნიკის საქართველოდან გაყვანის მიზნით. სასამართლომ აღნიშ-ნა, რომ მითითებული გარემოებები საკმარისი იყო მის დასარ-წმუნებლად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭი-როებაში (იხ. სააპელაციო სასამართლოს 21.05.2015 განჩინება;).

10. შემკვეთის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს 21.05.2015 განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით დაუსაბუთებლად ცნობილი საჩივარი, საკასაციო საჩივართან ერთად, რომლითაც გასაჩივრდა მე-3 პუნქტში დასახელებული განჩინება, 2015 წლის 11 სექტემბერს გადმოიგზავნა ზემდგომ სასამართლოში.

11. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 12 ოქტომბერს, კასატორის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

12. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ წინამდებარე განჩინების განხილვის საგანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა მენარდის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

13. სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს როგორც 2015 წლის 21 მაისის, ისე 6 აგვისტოს განჩინებების გაუქმებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი არსებითად გადაწყდა 2015 წლის 21 მაისის განჩინებით, ხოლო ამავე წლის 6 აგვისტოს განჩინება ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე მოპასუხის მიერ შეგანილი საჩივრის დაუსაბუთებლად ცნობასა და ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნას, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ პროცესუალურ ეტაპს, მოპასუხის მოთხოვნას საკასაციო სასამართლო განიხილავს 21.05.2015 გასაჩივრებული განჩინების ფარგლებში, ხოლო, რაც შეეხება 06.08.2015 განჩინებას, როგორც საჩივრის ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნის პროცესუალურ ეტაპს, არ საჩივრდება.

14. მე-5 პუნქტში მითითებულ განჩინებაზე საკასაციო სასამართლოში დაზუსტებული საჩივარი წარმოადგინა შემკვეთმა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, განმარტოს, რომ დაზუსტებულ საჩივარში მითითებულია იმავე ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, რაც შემკვეთს წარდგენილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში საქმისნარმოების ეტაპზე, კერძოდ: მოპასუხეს ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიაჩნია მოსარჩელის არგუმენტი, რომ მოპასუხე აპირებს საქართველოდან წასელას, საამისოდ კი სატრანსპორტო საშუალებები უკვე საზღვართან ჰყავს თავმოყრილი.

15. ამის საწინააღმდეგოდ შემკვეთი აღნიშნავს, რომ დიდი

ზიანი ადგება, რადგან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ტრანსპორტით, რომლის დასაქირავებლადაც განეულია სოლიდური ხარჯები. მოპასუხე სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩევე სასამართლოს არ სთავაზობს სსსკ-ის 199-ე და 57-ე მუხლებით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის გარანტიას. მოპასუხე უთითებს არაერთ ხელშეკრულებაზე მესამე პირებთან იმის დასტურად, რომ საქართველოში ხანგრძლივი დროით აგრძელებს საქმიანობას. ერთადერთი ფაქტობრივი გარემოება, რაც შემკვეთმა დააზუსტა, ეხებს მენარდის სასარგებლოდ დაკმაყოფილებულ მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფაზე, რაც 600 000 აშშ დოლარის ღირებულების მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზეა განხორციელებული და მნიშვნელოვნად ალემატება სარჩელის მოცულობას – 82 500 აშშ დოლარს. ამ მიზნით, შემკვეთმა საკასაციო სასამართლოს წარმოუდგინა ინგურენეტ-გვერდიდან ([www.myauto.ge](http://www.myauto.ge)) – ამობეჭდილი მასალა, სადაც რამდენიმე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (B... სხვადასხვა სპეციფიკაციით) საბაზრო ღირებულებაა მითითებული.

16. შემკვეთი საჩივრით ითხოვს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, გასაჩივრებული განჩინებების გაუქმებას, ხოლო თუკი საკასაციო სასამართლო არ გაიზიარებს შემკვეთის ამ მოთხოვნებს, მაშინ, მოპასუხე სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მითითებულ მოთხოვნას იმეორებს, რომელიც მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოპასუხისათვის სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 90 000 აშშ დოლარის განთავსების დაკისრებას ეხება. (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოსადმი მოპასუხის საჩივარი თანდართული მტკიცებულებებით გასაჩივრებულ განჩინებაზე და საკასაციო სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული საჩივარი).

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შემკვეთის მიერ წარმოდგენილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საბაზრო ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ განიხილება ახალ მტკიცებულებად, რადგან უძრავი თუ მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესაფასებლად, სასამართლოსათვის საკმარისია კონკრეტული ნივთის (ქონების) ობიექტური კრიტერიუმებით შეფასება (მაგ. უძრავი ქონების შემთხვევაში – ადგილმდებარეობა, ფართობი, მდგომარეობა – საცხოვრებლად ან/და კომერციული მიზნისათვის ვარგისიანობა და სხვა, მოძრავი ნივთის შემთხვევაში – სახეობა, დანიშნულება, წარმოშობა).

ბის ქვეყანა, გამოშვების წელი და კონკრეტული ნივთის მახა-  
სიათებელი ნიშან-თვისებები).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შემკვეთის საჩივრისა და საქმის მა-  
სალების გაცნობის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივა-  
რი დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაქმაყოფილდეს.

18. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-  
თლოს მსჯელობას უზრუნველყოფის საპროცესო-სამართლებ-  
რივი ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, თუმცა, განსახილველ შემ-  
თხვევაში, ყურადღებას ამახვილებს მენარდის სასარგებლოდ  
და კმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ოდენობასა და შემ-  
კვეთის (მოპასუხის) შეზღუდული უფლების აშკარა არაპორპო-  
ცილობაზე.

19. მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით, და-  
ყადაღებულია მოპასუხის საკუთრებად რიცხული 11 ერთეული  
მეტანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელთაგან მაგ. B...-  
ის სპეციფიკაციის სატრანსპორტო საშუალებები სამშენებლო  
სამუშაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ტექნიკას წარმო-  
ადგენს და, მათი ტექნიკური სპეციფიკიიდან გამომდინარე,  
საბაზრო ფასები მაღალია, მაგალითად, ერთი ერთეულის ფასი  
საშუალოდ აღმატება 40 000 აშშ დოლარს.

20. საკასაციო სასამართლო მე-17 პუნქტში მითითებული მო-  
პასუხის შეზღუდულ უფლებაზე მსჯელობისას, ყურადღებას  
ამახვილებს დაყადაღებული ქონების თითოეული ერთეულის  
სპეციფიკაციაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოშ-  
ვების წელზე და აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეთა ინტერესე-  
ბის შეპირისპირებისას, გონივრული შეფასებით უნდა გადაწ-  
ყდეს მათი უფლებებისა და მოვალეობების ბალანსი.

21. სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყო-  
ფის ღონისძიების გამოყენებისას, სასამართლოს ვარაუდი არ ახ-  
დენს გავლენას შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე (სსკ-  
ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი), როდესაც სასამართლო და-  
ვის არსებითად განხილვის პირობებში მიიღებს გადაწყვეტილე-  
ბას მტკიცებულებათა შეჯერებისა და შეფასების გზით.

22. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოდავე მხარე-  
თა უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაც-  
ვის პრინციპზე, როდესაც დაცული უნდა იქნეს თანაზომიერე-  
ბის პრინციპი მოსარჩელის სავარაუდოდ რეალიზებად მოთხოვ-  
ნასა და მოპასუხის შეზღუდულ უფლებას შორის.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს მსჯელობას გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მნიშვნელობაზე, ამასთან, 21-ე პუნქტში დასახელებული თანაზომიერების პრინციპის დასაცავად, მნიშვნელოვნად მიაჩნია, კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, საფრთხე არ შეექმნას მოსარჩელის სასარგებლოდ და კმაყოფილებული სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებას – მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებას, ასევე, მნიშვნელოვანია, მოსარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროცესულად მოხდეს მოპასუხის უფლების შეზღუდვა.

24. სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოპასუხის საკუთრებად რიცხული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების ნაწილზე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, გარკვეულ ნაწილზე კი, ყადაღის ძალაში დატოვება, რათა არ შეექმნას საფრთხე გადაწყვეტილების აღსრულებას მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

25. საკასაციო სასამართლო დაყადაღებული მოძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებების, მათი გამოშვების წლებისა და ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღა დარჩეს სამ ერთეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში მის რეალურ აღსრულებას, ხოლო რვა ერთეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებლად მიაჩნია ყადაღის სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

26. გადაწყვეტილების მიღებისას, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებითაც, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაკისრებული აქვს კონკრეტული თანხის, 82 500 აშშ დოლარის, სახელმწიფო ბაჟის – 4087.83 ლარისა და აუდიტის მომსახურების, 1 500 ლარის, ანაზღაურება. შესაბამისად, მოპასუხის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაცული რჩება მოსარჩელის უზრუნველყოფილი მოთხოვნა და არ იარსებებს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, მისი რეალურად აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოება.

27. მოპასუხის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, შენარჩუნებული იქნება მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სამართლიანი ბალანსი, რაც სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. „ფ-ის“ საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს ნაწილობრივ და ყადაღა მოეხსნას სს „ფ-ის“ სახელზე რიცხულ შემდეგ მექანიკურ სატრანსპორტო სამუალებებს:

1) მოდელი A..., გამოშვების წელი 1998, სახელმწიფო ნომერი B..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი W...;

2) მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი E..., სარეგისტრაციო მოწმობა A..., გამოშვების წელი 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი W...;

3) მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2001, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

4) მოდელი M... 1..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2002, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

5) მოდელი M..., სახელმწიფო ნომერი G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2003, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

6) მოდელი M... 1..., სახელმწიფო ნომერი – G..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2003, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი H...;

7) მოდელი N..., სახელმწიფო ნომერი K... სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი M...;

8) მოდელი T..., სახელმწიფო ნომერი P..., სარეგისტრაციო მოწმობა T..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/მასი J...;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად, შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღა ძალაშია სს „ფ-ის“

სახელზე რიცხულ შემდეგ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე:

- 1) მოდელი B... BW...4, სახელმწიფო ნომერი A..., სარეგისტრაციო მონიტორი A..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი 1...;
- 2) მოდელი B..., სახელმწიფო ნომერი E..., სარეგისტრაციო მონიტორი A..., გამოშვების წელი 2009, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი 1...;
- 3) მოდელი T..., სახელმწიფო ნომერი B..., სარეგისტრაციო მონიტორი A..., გამოშვების წელი 2013, საიდენტიფიკაციო ნომერი/შასი J...;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სარჩევლის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა გეორგი

### განხილვა

№ას-16-16-2016

5 თებერვალი, 2016 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაეური

**დავის საგანი:** პირგასამტებლოს დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-ას“ მიმართ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პირგასამტებლოს დაკისრების თაობაზე, ამასთანავე, მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით შუამდგომლობა დაქმაყოფილდა, ყადაღა დაედო მოპასუხის საბანკო ანგარიშებსა და სატრანსპორტო საშუალებებს (4 ერთეული), მოგვიანებით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, ამავე სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის განჩინებით შეიცვალა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

ძიება საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის – 74 060 ლარის განთავსებით.

3. საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანებამდე, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 მარტის განჩინებით ასევე გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ორნისძიება და ყადაღა დაედო მოპასუხე შპს „მ-ას“ სახელზე რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს: მოდელი – H... (სედანი), ტექ.პასპორტი – T..., გაცემული – 11.07.2011 წელი, ვინი – K..., სახელმწიფო ნომერი – Z..., წელი – 2011, ფერი – თეთრი; მოდელი – H... (მაღალი გამავლობის), ტექ. პასპორტი – A..., გაცემული – 15.08.2011 წელი, ვინი – K..., სახელმწიფო ნომერი – C..., წელი – 2008, ფერი – რუხი 6/8; მოდელი – F... (სატვირთო სამგზავრო), ტექ. პასპორტი – A..., გაცემული – 20.06.2013 წელი, ვინი – W..., სახელმწიფო ნომერი M..., წელი – 1998, ფერი – თეთრი; მოდელი – H... (მაღალი გამავლობის), ტექ. პასპორტი – T..., გაცემული – 12.08.2013 წელი, ვინი – K..., სახელმწიფო ნომერი B..., წელი – 2012, ფერი – რუხი 5/8.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 52 524,50 ლარის გადახდა.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოსარჩელემ მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო, მოპასუხემ – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „მ-ას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 ლარის გადახდა.

7. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

8. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „მ-ას“ წარმომადგენელმა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა გამოყე-

ნებული სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა. განმცხადებლის განმარტებით, ... უძრავი ქონება ეკუთვნის შპს „მ-ას“ რომელიც დატვირთულია იპოთეკით, რაც, მისი მაღალი საბაზრო ფასისა და საბანკო პროდუქტით სარგებლობის გამო, მეტ ნდობას იმსახურებს სამოქალაქო ბრუნვაში, გა-სათვალისწინებელია, რომ კომპანიას არ გააჩნია საგადასახა-დო დავალიანება და მისი საქმიანი რეპუტაციის გათვალისწი-ნებით, მითითებული უზრუნველყოფის საგანი მოსარჩელის წი-ნაშე არსებული ვალდებულებისთვის საკმარისი უნდა აღმოჩნდეს, თუკი სასამართლო განმცხადებელს აუკრძალავს ამ ქო-ნების გაყიდვასა და იპოთეკით დატვირთვას. თუკი სასამართლო მითითებულ ქონებას არასათანადო ჩათვლის, ასეთ შემთხვე-ვაში განმცხადებელმა წარმოადგინა კომპანიის დირექტორის დედის თანხმობა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით იპოთე-კით დაიტვირთოს მისი კუთვნილი №... უძრავი ქონება, რომლის ღირებულებაც 339 500 ლარია და მინიჭებულოვნად აღემატება სარჩელით მოთხოვნილ თანხას. განმცხადებელმა წარმოადგი-ნა საჯარო რეესტრის ამონანერები, სანოტარო წესით დამოწ-მებული ლ. ქ-ს თანხმობა, აუდიტორული დასკვნა ქონების სა-ბაზრო ღირებულის თაობაზე, შემოსავლების სამსახურისა და სს „ს-ის“ მიერ გაცემული ცნობები, ასევე, სამეწარმეო რეეს-ტრის ამონანერი.

### **სამოტივაციო ნანილი:**

საკავაციო სასამართლომ განიხილა შპს „მ-ას“ განცხადების საფუძვლიანობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერ-თი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაემაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავ-დაცვის სამინისტროს სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყე-ნებულია შემდეგი ღონისძიები: მოპასუხეს დაევალა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის – 74 060 ლა-რის განთავსება, ასევე, ყადაღა დაედო შპს „მ-ას“ სახელზე რე-გისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს: მოდელი – H... (სედანი), ტექ. პასპორტი – T..., გაცემული – 11.07.2011 წე-ლი, ვინი – K..., სახელმწიფო ნომერი – Z..., წელი – 2011, ფერი – თეთრი; მოდელი – H... (მაღალი გამავლობის), ტექ. პასპორტი – A..., გაცემული – 15.08.2011 წელი, ვინი – K..., სახელმწიფო ნო-მერი – C..., წელი – 2008, ფერი – რუხი 6/8; მოდელი – F... (სატ-ვირთო სამგზავრო), ტექ. პასპორტი – A..., გაცემული – 20.06.2013 წელი, ვინი – W..., სახელმწიფო ნომერი M..., წელი –

1998, ფერი – თეთრი; მოდელი – H... (მაღალი გამავლობის), ტექპასპორტი – T..., გაცემული – 12.08.2013 წელი, ვინი – K..., სახელმწიფო ნომერი B..., წელი – 2012, ფერი – რუხი 5/8.

2. განმცხადებელი მოითხოვს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა ღინისძიებით შეცვლას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის შესაძლებლობას, რომელიც, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე დაშვება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუმცა ეს არ არის მხარის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

3. მოცემულ შემთხვევაში, დავა სწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარეობს და კანონით დასაშვები უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად თანხის დეპოზიტზე განთავსება მიიჩნევა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ოდენობით ისედაც განთავსებულია სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. ამდენად, განცხადება უსაფუძვლოა. გარდა აღნიშნულისა, თუკი სასამართლო მივიღოდა დასკვნამდე, რომ უზრუნველყოფის შემოთავაზებული საგანი ხელს შეუწყობდა მისი გამოყენების მიზანს, შესაძლოა, შუამდგომლობა დაკამაყოფილებულიყო, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები დასაშვებად მიიჩნევს უზრუნველყოფის ღონისძიების საგნად გამოყენებულ იქნას ნივთი, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს და არის მასთან ან სხვა პირთან. თავად განცხადებითა და მასზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სოფელ წავკისში მდებარე ქონება, რომელის ღირებულებაც მნიშვნელოვნად აღემატება სარჩელით მოთხოვნილი თანხის ოდენობას ეკუთვნის არა მოპასუხეს, არამედ მისი დირექტორის დედას და, მიუხედავად მესაკუთრის სანოტარო თანხმობისა, ქონება აღსრულების ჯეროვან საგნად ვერ იქნება განხილული, რაც შეეხება შპს „მ-ს“ კუთვნილ №.... უძრავ ქონებას, იგი ბანკის სასარგებლოდაა დატვირთული იპოთეკით და გაურკვეველია უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, შესაბამისად, სავსებით

დაუსაბუთებელია მხარის განმარტება იმის შესახებ, რომ პანკის მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნად ქონების გამოყენება მეტ სანდოობას ქმნის ამ ქონების სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „მ-ას“ განცხადება უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე, 284-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „მ-ას“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა გეორგეთი**

### **განხილვა**

№ას-274-261-2016

30 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. ბაქაქური,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. მ. ზ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. მ-ის მიმართ და მოითხოვა მისარჩელის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე შესრულებული დავალებისათვის დაპირებული გასამრჯელოს – 594 968 ლარის გადახდა.

2. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულების არსებობა მოსარჩელემ ვერ დაადასტურა.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განჩინებით მ. ზ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ვ. მ-ის უძრავ ქონებას ქ-ში, პ-ის ქ. №...-ში (დაუზუსტებელი ფართი 6260.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1-1000 კვ.მ), მოსარჩელის 30%-იან წილს შპს „E-ში“, ასევე, ვ. მ-ს 50%-იან წილს შპს „G-ში“.

4. დასახელებული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-და, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 355 372,8 ლარის გადახდა.

6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპე-ლაციო საჩივარს კი უარი ეთქვა, გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნა-წილში და სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სა-სარგებლოდ დაეკისრა დამატებით 239596 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

8. საქართველოს უზრუნავისონ სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ვ. მ-ის საკავალის საჩივრის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვე-ტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხე-ლახლა განსახილველად.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა სხვა სამოქალაქო საქმის, – №.. ვ. მ-ის სარჩელის გამო მ. ზ-ისა და სხვათა მიმართ ზიანის ანაზღაუ-რების შესახებ, წარმოების დასრულებამდე.

10. 2015 წლის 1 დეკემბერს ვ. მ-მა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიე-ბის შეცვლა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულე-ბის შეფერხებას ან შეუძლებლობას არ გამოიწვევს. ვ. მ-ის კა-ნონიერი ინტერესების შელახვისა და მისთვის უსაფუძვლოდ,

განუზომლად დიდი მატერიალური ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა შეიცვალოს, კერძოდ: ყადაღა შეიცვალოს გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით. გათავისუფლდეს ყადაღისაგან ვ. მ-ის საკუთრებაში არსებული ქ-ში, პ-ის ქ. №..-ში მდებარე 6260.00 კვ.მ დაუზუსტებელი ფართი, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1-1000 კვ.მ, ვ. მ-ის 30%-იან წილი შპს „E-ში“, 50%-იან წილი შპს „G-ში“ და, აღნიშნული ღონისძიების ნაცვლად, გამოყენებულ იქნება უზრუნველყოფის ღონისძიება – გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა ვ. მ-ის 30%-იან წილიდან 10%-ზე შპს „E-ში“. სასამართლოსათვის შეთავაზებული უზრუნველყოფის ღონისძიება და შპს „E-ის“ 10%-იანი წილის ღირებულება ბევრად აღემატება დავის საგნის ღირებულებას. შპს „E-ში“ 10%-იანი წილის ღირებულება შეადგენს 720 195 ლარს, ხოლო დავის საგნის ღირებულება – 594 968 ლარს, ანუ უზრუნველყოფის საგნის ღირებულება 125 000 ლართ აღემატება დავის საგნის ღირებულებას.

11. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა წარადგინა ფ/პ გ. ჯ.-ის 2015 წლის 24 ნოემბრის აუდიტორული დასკვნა შპს „E-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილიდან 10%-ის ღირებულების შეფასების შესახებ, რომლის თანახმად შპს „E-ის“ კერძო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილიდან 10%-ის ღირებულება შეადგენს 720 195 ლარს.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განცხინებით ვ. მ-ის განცხადება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 მაისის განცხინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის შეორეთი შეცვლის შესაძლებლობას, მაგრამ ცხადია დასაბუთებას საჭიროებს ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რამ გამოიწვია ამ საკითხის სასამართლოს წინაშე დასმის საჭიროება.

14. განსახილვებ შემთხვევაში განცხადებელმა ვერ მიუთითა და ვერ დაასაბუთა ფაქტობრივი გარემოება, თუ რა უარყოფით შედეგებს გამოიწვევს უკვე არსებული უზრუნველყოფის ღონისძიება და რა აუცილებლობიდან გამომდინარე წარადგინა აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს წინაშე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის მოთ-

ხოვნა ემსახურება უზრუნველყოფის ღონისძიების შემცირებას და არა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების თანაზომიერად მისა მეორე სახით შეცვლას.

15. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მსგავსი განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვისას განმცხადებელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაარწმუნოს სასამართლო იმაში, რომ უკვე გამოყენებული და არსებული უზრუნველყოფის ონისძიება იწვევს მისთვის მეტად უარყოფით შედეგებს, ამიტომ სწორედ საქმის განხილვის ამ ეტაპზე გახდა საჭირო და აუცილებელი ამ უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლა.

16. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მსგავს დასაბუთებას წარმოდგენილი განცხადება არ შეიცავს, განმცხადებელი მხოლოდ იმის განმარტებით შემოიფარგლა (სათანადო მტკიცებულების – აუდიტის დასკვნის წარდგენით), რომ შეცვლილი უზრუნველყოფის ღონისძიების პირობებშიც მოსარჩელის ინტერესი დაცული იქნება.

17. პალატის მოსაზრებით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა მითითებული ინსტიტუტის გამოყენების საკმარისი საფუძველი ვერ გახდება, რადგან უპირველესად განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ გახდა აუცილებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნა, რა არსებითი ზიანი ადგება მას უკვე გამოყენებული უზრუნველყოფით და რატომ იქნება დაცული მხარეთა ინტერესები თანაბრად იმ შემთხვევაში, თუ უკვე გამოყენებული ღონისძიება შეიცვლება ახლით.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსგავსი ტიპის განცხადება ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) მხარემ უნდა ასაბუთოს, თუ რატომ ადგება მას ზიანი უკვე არსებული ღონისძიებით; და 2) სასამართლოს (შესაბამისმა მხარემ) მან უნდა შესთავაზოს ტოლფასი ღირებულების უზრუნველყოფის საგანი.

19. კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის ტოლფასი ღირებულების საგანი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უნდა ითქვას, რომ შემოთავაზებულია, მაგრამ არ არის დასაბუთებული, თუ რა განსაკუთრებული ზიანი ადგება განმცხადებელს უკვე არსებული უზრუნველყოფის ღონისძიებით ან რა უარყოფითი შედეგებია მოსალოდნელი მომავალში ამ ღონისძიების არსებობით.

20. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ვ. მ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. მ-მა შეიტანა საჩივარი და აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

196-ე მუხლი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობას, რომელიც დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი, სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა.

22. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად მ. ზის სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა ვ. მ-ისათვის 600 000 აშშ დოლარის დაკისრებას, რაც შემდგომ მოსარჩელემ შეამცირა და საბოლოოდ მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა ვ. მ-ისათვის 594 968 ლარის დაკისრება. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა იცნობს მოპასუხისათვის თავის დაცვის საშუალებას, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის არსებული ღონისძიების მეორეთი შეცვლა. სასამართლოსათვის შეთავაზებული უზრუნველყოფის დონისძიება და შპს „E-ის“ 10%-იანი წილის ღირებულება ბევრად აღმატება დავის საგნის ღირებულებას, კერძოდ, მითითებული საზოგადოების 10%-იანი წილის ღირებულება შეადგენს 720 195 ლარს, ხოლო დავის საგნის ღირებულება 594 968 ლარია. ამდენად, უზრუნველყოფის საგნის ღირებულება 125 000 ლარით აღმატება დავის საგნის ღირებულებას.

23. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი დასაბუთებით:

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რჩმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფ-

ლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სა-სამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობი-ექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულ-დება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამარ-თლო გადაწყვეტილების აღსრულება.

25. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვე-ვაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შო-რის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა ჰასუ-ხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესა-კუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებე-ლია ამ მიზნის მისაღწევად.

26. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამავე კოდექ-სის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შე-საძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარ-წმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგარი ცვლილების განხორციე-ლებით საშიროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწ-ყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კა-ნონიერ ინტერესებს.

27. ვ. მ-ის მოთხოვნას წარმოადგენს გასხვისების და უფ-ლებრივად დატვირთვის აკრძალვის სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შპს „E-ში“ ვ. მ-ის კუთვილი 30%-იან წილიდან 10%-ზე.

28. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შპს-ს წილი არის ქონება (არამატერიალური), რომლის ღირებულება არამყარი და მუდმივად ცვალებადია. მისი წილის ღირებულება უამრავ გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რის გამოც არ არსებობს არანაი-რი გარანტია, რომ ვლ. მ-ის 10%-იანი წილი აღსრულების დროი-სათვის შეინარჩუნებს იმ ღირებულებას, რაც მას განცხადების განხილვის დროისათვის აქვს. აღნიშნულის გამო, სააპელაციო პალატამ ჩატვალა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გან-მცხადებლის მიერ შემოთავაზებული ცვლილება იქნება საფ-რთხის შემცველი, რაც მ. ზ-ის სარჩელის შესაძლო დაქმაყოფი-ლების შემთხვევაში გაართულებს მის აღსრულებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

29. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავ-ლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. მ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული

განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

30. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის განჩინების კანონიერება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მხარის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორეთი შეცვლის შესახებ.

31. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებზე, რომელთა თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუზიდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

32. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

33. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვა-

რაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე იბიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სა-სამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

34. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპრიეტეტის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

35. ამავე კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

36. მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საშიშროება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მონინააღმდეგებ მხარის კანონიერ ინტერესებს (სუს 25.11.2015წ. საქმე №ას-1165-1095-2015).

37. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლის 22 მაისის განჩინებით მ. ზ-ის განცხადების საფუძველზე გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო ვ. მ-ის უძრავ ქონებას ქ-ში, პ-ის ქ. №..-ში (დაუზუსტებელი ფართი 6260.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1-1000 კვ.მ), მოსარჩელის 30%-იან ნიღლ შპს „E-ში“, ასევე ვე. მ-ის 50%-იან ნიღლ შპს „G-ში“.

38. როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში მხარე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორეთი შეცვლას, რასაც ასაბუთებს ვ. მ-ის კანონიერი ინტერესების შელახვისა და მისთვის უსაფუძვლოდ, განუზომლად დიდი მატერიალური ზიანის მიყენების თავიდან აცილებით. შესაბამისად, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლას ითხოვს გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით მხოლოდ შპს „E-ში“ ვლ. მ-ის 10%-იან ნიღლთან მიმართებით.

39. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას და თვლის, რომ ვ. მ-ის განცხადებას კანონიერად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

40. ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სა-

სამართლო ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების როლსა და მნიშვნელობას სასამართლოს მიერ სამომავლოდ შესაძლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით და მოცემული საკითხის შეფასებისათვის უმთავრესად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის მოხვენის დაკამაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე რჩება მისი სამომავლო უფლების რეალიზაციის ისეთი მყარი და სტაბილური გარანტის გარეშე, როგორსაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ნივთზე დადებული ყადაღა წარმოადგენს. უდავოა, რომ არსებული შექანიზმებიდან ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტური სწორედ უძრავი ქონების მიმართ აღსრულების მიეცევაა.

41. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა მხარის მიერ შემოთავაზებული სახით, რადგან, სამომავლო შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის თვალსაზრისით, აღნიშნული ცვლილება აუარესებს მდგომარეობას.

42. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ განმცხადებელმა ვერ მოახდინა მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება და ვერ დაადასტურა, რაში გამოიხატება თავდაპირველად გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მისთვის მიყენებული ზიანი და შემოთავაზებული ცვლილების მეშვეობით რა სახით აარიდებს იგი თავს ასეთ ზიანს.

43. სავსებით დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა იმ ნაწილშიც, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ღირებულება უამრავ გარეშე ფაქტორებზე დამოკიდებული და არასტაბილურია, შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფისათვის შესაძლოა, საკმარისი არ იყოს საზოგადოების კიდევ უფრო შემცირებული წილის მიმართ განხორციელებული არა თუ ყადაღა, არამედ წილის გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა.

44. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრისა და 2016 წლის 9 მარტის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

### **სასამართლო გადაცვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება**

#### **განვითარება**

№ას-906-856-2015

12 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2014 წლის 30 ივნისს, ა. ქუთა (შემდეგში გამქირავებელი ან მესაკუთრე) და შპს „გ-ს“ (შემდეგში – დამქირავებელი ან საწარმო) შორის გაფორმდა ავტომანქანის ქირავნობის ხელშეკრულება, 1 წლით; მხარეთა შორის წლიური ქირა განსაზღვრა 1200 (ათას ორასი) ლარით, გადასახადების გარეშე. ხელშეკრულებით გამქირავებელმა, მის საკუთრებაში არსებული BMW-X5 ტიპის ავტომობილი სახ. ნომრით B..., მიაქირავა საწარმოს; მოძრავი ნივთის დამქირავებლისათვის გადაცემა დადასტურდა, ხელშეკრულების ხელმოწერის დღესვე, მიღება-ჩაბარების აქტით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 531-ე, 532-ე მუხლები; იხ. ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი).

2. 2014 წლის 3 აგვისტოს, დამქირავებელმა ნაქირავები მანქანა ერთი დღით, 03.08.2014 წლის 16 სთ-დან, 04.08.2014. 16 სთ-

მდე, ქირავნობით, დროებით სარგებლობაში, გადასცა მ. ქ-ეს (შემდეგში მფლობელი), რაც დადასტურდა მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებითა და მიღება – ჩაბარების აქტით. ქვექირავნობაზე არც ქირავნობის ხელშეკრულებაში ყოფილა რაიმე დაქმა და არც დამქირავებელს მიუმართავს გამქირავებლისათვის თანხმობის მისაღებად (ზ. სსკ-ის 549-ე მუხლი).

3. მფლობელმა დაქირავებული ავტომობილი სამართავად გადასცა თავის შვილს ნ. ქ-ეს (შემდეგში მფლობელის შვილი), ხოლო ამ უკანასკნელმა კი ავტომობილი ათხოვა თავის მეგობარს – გ. გ-ის (შემდეგში – მართვის უფლების არმქონე ან სამართლდამრღვევი მძღოლი), რომელმაც უშუალოდ მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა.

4. 2014 წლის 4 აგვისტოს შედგენილი საჯარიმო ქვითრებით დადგენილია, რომ ამავე დღეს, მფლობელის შვილმა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, გადასცა ავტომობილი მართვის უფლების არმქონე მძღოლს, რომელსაც შეემთხვა ინციდენტი.

5. დადგენილია, რომ 2014 წლის 4 აგვისტოს, დახლოებით 17:15 წუთზე სამტრედია-სუფსის საავტომობილო გზატკეცილზე, კერძოდ, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში, რკინიგზის გადასასვლელზე მოძრაობისას, უკანა მხრიდან, ვინმე დ. გ-ის (შემდეგში დაზარალებული მძღოლი) კუთვნილ ავტომობილს (მერსედესი ML სახ. ნომრით B...), რომელსაც თვითონ დაზარალებული მართავდა, დაეჯახა BMW-X5 ტიპის ავტომობილი სახ. ნომრით B... (რომელიც გამქირავებლის საკუთრებაა), ხოლო საჭესთან იჯდა მართვის უფლების არმქონე მძღოლი.

6. 2014 წლის 27 აგვისტოს სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ 2003 წელს გამოიშვებული ავტომანქანის MERSEDES-BENZ ML 350-ის, სახ. ნომრით B..., საშუალო საბაზრო ლირებულება, საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვის, შეადგენდა 15 500 ლარს.

7. 2014 წლის 22 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის №188/ა დასკვნით დადგენილია, რომ მოცემულ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, მძღოლის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე – 11 პუნქტის მოთხოვნებს [იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა, რომელიც მიჰყვება სხვა სატრანსპორტო საშუალებას, უნდა დაიცვას სათანადო დისტანცია, რათა თავიდან აიცილოს შეჯახება მის ნინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების მოულოდნელი დამუხსრუჭების ან გაჩერების შემთხვევაში. მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია აგრეთვე გვერდითი ინტერვალის დაც-

ვა], რომელთა დაცვის შემთხვევაში, არ მოხდებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევევა. დაზარალებულ მძღოლს კი, კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეეძლო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება და, მის მოქმედებაში, დასახელებული კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნებოდა, ე.ი. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია მართვის უფლების არმქონების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაში.

8. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ 2003 წლის გამოშვების ავტომობილზე MERSEDES-BENZ ML 350-ის, სახ. ნომრით B..., ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობამ, საპაზრო ფასების გათვალისწინებით, საორიენტაციოდ შეადგინა: 6426.00 (ექვსი ათას ოთხას ოცდაექვსი) ლარი.

9. 2014 წლის 4 აგვისტოს, სამართალდამრღვევი მძღოლი-სათვის ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მიღება – ჩაბარების ატით დადგენილია, რომ ავტომანქანა MERSEDES-BENZ ML, 350-ის სახ. ნომრით B..., 2014 წლის 4 აგვისტოს, მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, გადაიყვანეს შპს „გურია ავტოპარკის“ სპეციალურ ავტოსადგომზე. დაზარალებულმა მძღოლმა გადაიხადა ავტომანქანის გადაყვანის, საჯარიმო ავტოსადგომზე დგომისა და ქუთაისში ტრასპორტირების ხარჯები, შესაბამისად, 275 ლარი, 170 ლარი და 78 ლარი, სულ – 523 ლარი.

10. დაზარალებულმა მძღოლმა 2014 წლის 22 სექტემბერს სარჩელი აღძრა და პროცესუალურ მოწინააღმდეგებად დაასახელა: სამართალდამრღვევი მძღოლი, ავტომანქანის მესაკუთრე, ავტომანქანის დამტკირავებელი, მფლობელი და ამ უკანასკნელის შვილი. დაზარალებულმა მძღოლმა მოითხოვა მიყენებული ზიანის – 6426 ლარის სოლიდარულად ანაზღაურება. მანვე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოითხოვა გამტკირავებლის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე: მოდელი – BMW X5, გამოშვების წელი – 2003, სანომრე ნიშანი B..., საიდენტიფიკაციო ნომერი: W..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონმობა A..., გაცემული 29.06.2014 ყადაღის დადება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 191-ე, 198-ე მუხლები).

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 სექტემბრის განჩინებით დაქმაყოფილდა დაზარალებული მძღოლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე და ყა-

დაღა დაედო გამქირავებლის ავტომანქანას (იხ. წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტი). ამავე სასამართლოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დაზარალებული მძღოლის სასარჩელო მოთხოვნა და, მის სასარგებლოდ, მოპასუხებს სოლიდარულად დაეკისრათ 6426 ლარის გადახდა, ასევე, სახელმწიფო ბაჟის – 240 ლარის, სარჩელის უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის, ექსპერტიზის ხარჯების – 771.12 ლარის, გზავნილის ხარჯების – 59.4 ლარის, სულ 1643.52 ლარის გადახდა. სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 408-ე, 992-ე და 999-ე მუხლებზე, ასევე, სსკ-ის მე-4, 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლებზე.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მესაკუთრემ და დამქირავებელმა (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი). აპელანტებმა გასაჩივრების ფაქტობრივ საფუძვლებად მიუთითეს, რომ საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ, აპელანტს უწყება არ ჩაპბარებია სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა ქონებრივი ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთებისას, აპელანტებმა აღნიშნეს, რომ სსკ-ის 999-ე მუხლი სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი და ერთგვარად საგამონაკლისო ხასიათის ნორმაა.

13. სააპელაციო სასამართლოში საქმისნარმოების ეტაპზე, დაზარალებულმა მძღოლმა (მოსარჩელემ) 2015 წლის 23 ივნისს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ორნისძიების გამოყენება, კერძოდ, დაყადაღებული ავტომობილის ექსპლუატაციის აკრძალვა, რადგან იგი სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა, ვინაიდან კვლავ ხდებოდა მისი ექსპლუატაცია, არსებობდა საფრთხე, განმეორებით მოშხდარიყო ავტოსაგზაო შემთხვევა, რაც არა მხოლოდ შეამცირებდა ავტომანქანის ღირებულებას ისე, რომ დაკისრებულ თანხასაც ვერ უზრუნველყოფდა, შესაბამისად, არალიკვიდურს გახდიდა ნივთს.

14. სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის განჩინებით დაზარალებული მძღოლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და აიკრძალა წინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტში მითითებული ავტომანქანის ექსპლუატაცია, იგი განთავსდა დაცულ ავტოსადგომზე.

15. დაყადაღებული ავტომანქანის მესაკუთრემ სააპელაციო სასამართლოში განცხადება შეიტანა მე-14 პუნქტში დასახე-

**ლებულ განჩინებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება.**

16. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს გან-ჩინებით არ დაკმაყოფილდა ავტომანქანის მესაკუთრის საჩი-ვარი და ის, საქმის მასალებთან ერთად, 2015 წლის 14 სექტემ-ბერს გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი საჩივა-რი და საქმის მასალები, და მიიჩნია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების გათვალის-წინებით, უნდა დაკმაყოფილდეს ავტომანქანის მესაკუთრის სა-ჩივარი შემდეგი მოტივაციით:

17. მოძრავი ნივთის მესაკუთრე საჩივრის საფუძვლებად უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ივნი-სის განჩინება გამოტანილია მის დაუსწრებლად, ხოლო დაზა-რალებული მძღოლის განცხადება, სარჩელის დამატებით უზ-რუნველყოფის თაობაზე, განსახილველად დაეწერა იმავე მო-სამართლეს, რომელსაც გადაეცა საქმე საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე.

18. საკასაციო სასამართლო ალნიშნავს, რომ გასაჩივრებუ-ლი აქტის კანონიერებისა და მატერიალურ-სამართლებრივი და-საბუთებულობის შემოწმება სასამართლოს კომპეტენციას გა-ნეკუთვნება, შესაბამისად, მესაკუთრის მოთხოვნა, სააპელა-ციო სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის განჩინების გაუქმე-ბის თაობაზე, განხილულ უნდა იქნეს ამ კომპეტენციის ფარ-გლებში და საკასაციო სასამართლო არ არის შებოჭილი მომჩივ-ნის პოზიციითა და საჩივრის მოთხოვნის ფორმულირებით (სსკ-ის 404-ე მუხლი).

19. მესაკუთრემ სამართლებრივი საფუძვლით გადასცა მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთი დამქირავებელს (სსკ-ის 531-ე მუხლი), ხოლო ამ უკანასკნელმა, მართალია, დაარღვია გაქირავებული ნივთის ქვექირავებობით გადაცემის კანონმდებ-ლობით დადგენილი წესი და, გამქირავებლის თანხმობის გარე-შე, გააქირავა ავტომანქანა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასა-მართლოს მიაჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია დაზარალებული მძღოლის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის მიმართ. განსახილვე-ლი საჩივრის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიზანშე-ნონილად მიაჩნია ყურადღების გამახვილება, თუ ვის მიმართ შეიძლება სასარჩელო მოთხოვნის დაყენება, რადგან საჩივრის საგანია სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიე-

ბის გამოყენების მართლზომიერება, შესაბამისად, თუკი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოპასუხეთა ნაწილის მიმართ გამორიცხული იქნება, მაშინ, არც მათ ქონებაზე შეიძლება სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენება. განსახილველ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, მოპასუხეთა შორის ვის ქონებაზე არის უზრუნველყოფის ლონისძიება გამოყენებული (სსკ-ის 191-ე მუხლი, სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი).

20. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ყადაღა ადევს მესაკუთრის კუთვნილ ავტომანქანას და, დამატებითი უზრუნველყოფის სახით, აკრძალულია მისი ექსპლუატაცია, რის გამოც, ნივთი დაცულ ავტოსადგომზეა განთავსებული. სწორედ სარჩელის დამატებითი უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენების მართლზომიერებაა წინამდებარე განჩინების კვლევის საგანი.

21. სსკ-ის 992-ე მუხლით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, არც ავტომანქანის მესაკუთრეს და არც დამქირავებელს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ მიუყენებიათ ზიანი დაზარალებული მძღოლისათვის, შესაბამისად, თუკი არ არსებობს წინაპირობა, რომ ნივთის მესაკუთრე და დამქირავებელი მოქმედებდნენ, რათა ზიანი მიყენებინათ დაზარალებული მძღოლისათვის, არ არსებობს ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის შედეგადაც დგება ზიანი, მაშასადამე, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა იმ პირისაგან, რომელსაც არ განუხორციელებია ქმედება და არ წარმოიშვება ასეთი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. განსახილველ შემთხვევაში, მესაკუთრისა და დამქირავებლის დელიქტური მოქმედება არ არსებობს, შესაბამისად, ისინი ვერ აირიდებდნენ იმ ინციდენტს, რომელსაც მათთან არ აქვს კავშირი, რაც, მათ მიმართ, დაზარალებულის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს გამორიცხავს.

22. წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დადგენილია, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2014 წლის 4 აგვისტოს, შედეგად, დაზიანდა სხვა პირის კუთვნილი ავტომანქანა. საგზაო ინციდენტი გამოწვეული იყო მართვის უფლების არმქონე მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით. ამ უკანასკნელის ხელთ ავტომანქანა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აღმოჩნდა მეგობრისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე არა-

მართლზომიერად ჰქონდა მამისგან (მფლობელისაგან) მიღებული დაქირავებული ავტომანქანა. ავტომანქანის მფლობელმა, თავისი მოქმედებით, ხელი შეუწყო ზიანის დადგომას, როდესაც დაქირავებული მანქანა, სიტყვიერი შეთანხმებით, გადასცა თავის შვილს, ამ უკანასკნელმა კი მეგობარს – მართვის უფლების არმქონები მძღოლს. შესაბამისად, ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის კავშირი დელიქტთან გამორიცხულია, აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიება, რომლითაც გამქირავებლის საკუთრებად რეგისტრირებული ავტომანქანის ექსპლუატაცია აიკრძალა და მოძრავი ნივთი გადაიყვანეს დაცულ ავტოსადგომზე, უნდა გაუქმდეს, რადგან სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ ავტომანქანის მფლობელის, მისი შვილისა და მართვის უფლების არმქონებდოლის ქმედებიდან, მაღალი ალბათობით, სარჩელის დაკაყოფილება შეუძლებელია ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლის წინააღმდეგ.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, რომ სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია განხილული იქნეს ავტომანქანის მფლობელის, მისი შვილისა და სამართალდამრღვევი მძღოლის მიმართ; ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები უნდა გამოირიცხოს შესაბამისი წინაპირობების არარსებობის გამო (იხ. ამ განჩინების 19-21 პუნქტები).

24. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში მითითებულია, რომ ქმედება, რომლითაც დარღვეულია საგზაო მოძრობის უსაფრთხოების წესები, ჩაიდინა მართვის უფლების არმქონებდოლმა და არა ავტომანქანის მესაკუთრებმ და დამქირავებელმა. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ არ არსებობს მესაკუთრის, რომელმაც გააქირავა ავტომანქანა, და დამქირავებელი საწარმოს რაიმე მონაწილეობა, ჩართულობა და კავშირი ჩადენილ სამართალდარღვევასთან. ერთადერთი ქმედება, რაც მესაკუთრებმ და დამქირავებელმა განახორციელეს, არის ქირავნობის ხელშეკრულებების გაფორმება, რაც კანონით აკრძალული არაა, ე.ი. არ არის მართლსაწინააღმდეგო.

25. 992-ე მუხლი ანესებს პასუხისმგებლობას ბრალეული მოქმედებისათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში, საგარაუდოდ ვერ დადგება ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის მიმართ, რადგან ქირავნობის ხელშეკრულებების გაფორმებით (იხ. წი-

ნამდებარე განჩინების პირველი პუნქტი), ნივთის მესაკუთრე-სა და დამქირავბელს ბრალი არ მიუძღვით მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასა და სხვა პირის ავტომანქანის დაზიანებაში, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მათ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

26. სსკ-ის 998-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, თუ ზიანის დადგომაში მონანილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები; ხოლო ამავე ნორმის მეორე ნაწილით, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. მოხმობილი ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, ასევე, არ დგინდება ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლის მიერ რაიმე ფორმით ხელშემწყობა ზიანის დადგომაში, შესაბამისად, არ არსებობს ავტომანქანის მესაკუთრის მოძრავ ნივთზე გამოყენებული დამატებითი უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უნდა გაუქმდეს სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197'-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. ქ-უს საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივნისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ა. ქ-უს კუთვნილი ავტომობილის – მარკა, მოდელი – ბმვ X5, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 20.. ნ. სანომრე ნიშანი – B..., საიდენტიფიკაციო ნომერი: W..., სარეგისტრაციო მოწმობა – A..., გაცემული 29.06.20.. ნ. ექსპლუატაციის აკრძალვისა და დაცულ სადგომზე მისი განთავსების თაობაზე;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სასამართლო გადაცვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

## განხილვა

№ას-998-942-2015

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. გ. ტ-ზა სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ძ. ბ-ის“ მიმართ და მოითხოვა ქ. ... , გ-ის ქ. №...-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე არსებული იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე მოსარჩელესა და შპს „ძ. ბ-ს“ შორის 2013 წლის 8 თებერვალს დადგებული შეთანხმების 1.7. პუნქტის ბათილად ცნობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის ვადის დარღვევის, ასევე შეთანხმებული ქირის გადაუხდელობის გამო მოპასუხისათვის 7 756.34 აშშ დოლარის, ხელშეკრულებით გადაცემული მიწის დაზუსტებულ და თავდაპირველ მონაცემებს შორის არსებული სხვაობის ღირებულების – 37 540.5 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე დაკისრებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით მისი ამოღება.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკიმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. ამასთან, განკხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, მოპასუხის უძრავ ქონებაზე (მდებარე ქ. ...-ში, გ-ს ქ. №..., ბინა №..) იძულებითი იპოთეკის გამოყენება; ასევე, კონკრეტული უძრავი ქონების მოპასუხის მიერ განკარგვის შემთხვევაში, შესაძლო შემძენის დავალდებულება, ნასყიდობის ფასის ნაწილი, დავის საგნის ღი-

რებულებისა და საპროცესო ხარჯების გათვალისწინებით, შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც სააპელაციო პალატის 2015 წლის 11 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა იმ საფუძლით, რომ საჯარო რეესტრში გ. ტ-ის სასარგებლოდ რეგისტრირებული იყო როგორც იპოთეკა (რომლის რეგისტრაციის გაუქმებაც საჯარო რეესტრს აკრძალული ჰქონდა), ასევე ყადაღა (რომელიც მესაკუთრე შპს „d. ბ-ს“ უკრძალავდა ნებისმიერი ფორმით ქონების განკარგვას). საქმეში არ იყო წარმოდგენილი ამ ღონისძიებათა გაუქმების დამადასტურებელი განჩინება, რაც გამორიცხავდა საფრთხის არსებობას, რომ გ.ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება რაიმე ფორმით დაბრკოლდება. გარდა ამისა, გ. ტ-ს არც სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზი ჰქონია გამოსწორებული.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარი შეიტანა გ. ტ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დაკმაყოფილება.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით გ. ტ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. ტ-ის მოთხოვნა იძულებითი იპოთეკის გამოყენების თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: 45 296.84 აშშ დოლარის გადახდევინების თაობაზე გ. ტ-ის სასარჩელო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა შპს „d. ბ-ს“ კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე ქალაქ ...ში, გ-ის ქ. №...-ში (საკადასტრო კოდით №....) და იპოთეკა აღირიცხა საჯარო რეესტრში, დანარჩენ ნაწილში საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგი დასაბუთებით:

7. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის სადაცვოდ გამედარი უფლება-ინტერესის დროებითი, ნინასწარი დაცვის საპროცესო მექანიზმია, რომელიც სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება აამოქმედოს, თუ: а) აღძრული (აღსაძრავი) სარჩელი იურიდიულად გამართულია, ე.ი – სარჩელი დაფუძნებულია ისეთ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცების შემთხვევაშიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფი-

ლება; ეს დასკვნა (ვარაუდი), რა თქმა უნდა, არ არის საბოლოო და საქმის არსებითი განხილვის შედეგად შეიძლება შეიცვალოს; ბ) მოსარჩელე უთითებს გარემოებებზე, რომელთა გამოც გაძნელდება, ან საერთოდ შეუძლებელი გახდება საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, თუ არ იქნება განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ღონისძიება.

8. გ. ტ-მა, თანხების გადახდევინება სარჩელით მოითხოვა იმის გამო, რომ მასსა და მოპასუხეს შორის 2011 წლის 27 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს გადასახდელი აქვს 7 756.34 აშშ დოლარი (ყოველთვიური ქირისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმის სახით) და 37 540.5 აშშ დოლარი (მოპასუხისათვის ფაქტობრივად ზედმეტად გადაცემული 29 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთის ლირებულება, რითაც მოპასუხემ მიიღო სარგებელი).

9. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი იურიდიულად გამართულად მიიჩნია, ამასთან, მომჩინეანი (განმცხადებელი) მიუთითებდა, რომ მოპასუხის ქონების იპოთეკით დატვირთვით მისი მოთხოვნა იქნებოდა უზრუნველყოფილი სანივთო უფლებით, ხოლო თუ მოპასუხე გაასხვისებდა ამ ქონებას, მაშინ შემძენის დავალდებულებით – ნასყიდობის ფასის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იქნება მოსარჩელის მოთხოვნისა და საპროცესო ხარჯების დასაფარად, განეთავსებინა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, დაცული იქნებოდა არა მხოლოდ მოსარჩელის (აპელანტის) ინტერესი, არამედ შემძენისაც, რომელიც საკუთრებაში მიიღებს უფლებრივად უნაკლო ნივთს. ნასყიდობის ფასის დეპოზიტზე განთავსებით მოსარჩელის სასარგებლოდ არსებული იპოთეკა გაქარწყლდებოდა.

10. „საალსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი ნაწილზე დაყრდნობით პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა მოვალის (მოპასუხის) ქონების დატვირთვას იპოთეკით მოვალის ნების მიუხედვად. მართალია, მითითებული ნორმა ამ უფლებამოსილებას ანიჭებდა აღმასრულებელს, ისეთი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად, რომლის საფუძვლიანობაც დადასტურებულია იმავე კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტით, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამ უფლებამოსილებით ასევე აღჭურვილი იყო სასამართლოც. მით უფრო, იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხის ქონების დატვირთვა იპოთეკით გაცილე-

ბით მსუბუქი ხასიათის ღონისძიება იყო, ვიდრე 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის თუნდაც „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყადაღის დადება.

11. პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია საჩივრის მეორე მოთხოვნა და აღნიშნა, რომ, ზოგადად, სასამართლო დავას იხილავს კონკრეტული პირების მონაწილეობით. სასამართლოს აქტით ვალდებულება ეკისრება კონკრეტულ პირს, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია სადაც საკითხის განხილვა-გადაწყვეტილება მიმართული იყოს პირთა განუსაზღვრული წრისადმი, რის გამოც მომჩინენის მეორე მოთხოვნა დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით გ. ტ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფეხვლობის გამო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მარტისა და 14 აპრილის განჩინებები დარჩა უცვლელად.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა ასევე შპს „ძ. ბ-ის“ წარმომადგენელმა ა. ც-ემ და მოითხოვა განჩინების დაკმაყოფილებული ნაწილის გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ აქვს სამართლებრივი უფლება სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებამდე განიხილოს და დააკმაყოფილოს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან კანონით პირდაპირა განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საჩივრის აღძრობის და არა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებამდე.

15. საჩივრის ავტორის განმარტებით შპს „ძ. ბ-ი“ როგორც ბათუმში, ასევე თბილისში ახორციელებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რის გამოც ფირმის ქონებაზე როგორც ყადაღა, ასევე აკრძალვა განსაკუთრებით ზიანის მომტანია მისი ეკონომიკური საქმიანობისათვის. სასამართლომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, სარჩელი მაინც არ იქნება უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი, ვინაიდან შპს „ძ. ბ-ს“ დღეის მდგომარეობით ხუთ მილიონ აშშ დოლარზე მეტი ქონება გააჩნია საკუთრებაში და ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადია.

### სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა

და შპს „d. ბ-ის“ საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-მოქათა გამო:

17. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით გ. ტ-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ამავე სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გან-ჩინება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. ტ-ის მოთხოვნა იძულებითი იპოთეკის გამოყენების თაობაზე; 45 296.84 აშშ დოლარის გადახდევინების თაობაზე გ. ტ-ის სა-სარჩელო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტ-ვირთა შპს „d. ბ-ის“ კუთვნილი უძრავი ნივთი, მდებარე ქ. ქ. ...-ში, გ-ის ქ. №..-ში (საკადასტრო კოდით №....) და იპოთეკა აღირიცხა საჯარო რეესტრში.

18. დადგენილია ასევე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი შპს „d. ბ-ის“ მიმართ ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცრიბის თაობაზე დარ-ჩა განუხილველად აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

19. აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა საქართველოს უზე-ნაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინებით და შესულია კანონიერ ძალაში.

20. ამრიგად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გა-მოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – შპს „d. ბ-ის“ კუთვნილი უძრავი ქონების მდებარე ქ. ქ. ...-ში, გ-ის ქ. №15-ში (საკადასტრო კოდით №....) იპოთეკით დატვირთვა, განუხილ-ველად იქნა დატვირთვული. ამდენად, ნარმოდგენილ დავაზე წარ-მოება დასრულებულია და, სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-ძიების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სა-ფუძველი, კერძოდ:

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირ-ველი და მეორე ნაწილების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონ-მდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩე-ლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრუ-ლება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. შესა-ბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-

ბა საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და მის აღსრულებამდე.

22. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

23. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „d. პ-ის“ წარმომადგენელ ა. ც-ის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ უნდა დაკავშირდებოდეს და უნდა გაუქმდეს იპოთეკა შპს „d. პ-ის“ კუთვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. ...., გ-ის ქ. №... (საკადასტრო კოდით №.....).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „d. პ-ის“ წარმომადგენელ ა. ც-ის საჩივარი დაკავშირდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გ. ტ-ის მოთხოვნის დაკავშირდების ნაწილში;

3. გაუქმდეს იპოთეკა შპს „d. პ-ის“ კუთვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. ...., გ-ის ქ. №... (საკადასტრო კოდით №.....).

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. დაუსწრებელი გადაცევატილება

### დაუსწრებელი გადაცევატილების გამოტანის ნინაპირობები

#### განხილვა

№ას-517-490-2015

2 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიფრიშვილი,  
ნ. ბაქაევი

**დავის საგანი:** მესაკუთრედ ცნობა, ქონების ყადაღისაგან  
გათავისუფლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ქ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. მ-სა და საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის  
მიმართ შ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილის („ბმვ  
3251“, სახელმწიფო ნომრით IIО-....) მესაკუთრედ ცნობისა და აღ-  
სრულების ეროვნული ბიუროს საგადასახადოს საქმეთა ოფი-  
ცერ ა. კ-ის 31.01.2012წ. №040-3 მიმართვის საფუძველზე შ.მ-  
ის საგადასახადო დავალიანების ამოღების უზრუნველყოფის  
მიზნით გამოყენებული ყადაღისგან ზემოაღნიშნული მოძრავი  
ნივთის გათავისუფლების მოხსოვნით.

შ. მ-მ სარჩელი ცნო, ხოლო სსიპ შ. ს-მა მოითხოვა მის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემ-  
ბრის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მო-  
სარჩელე ცნობილ იქნა შ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული ავ-  
ტომობილის („ბმვ 3251“, სახელმწიფო ნომრით IIО-....) მესაკუთ-  
რედ და ქონება გათავისუფლდა შ. მ-ის საგადასახადო დავალი-  
ანების ამოღების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ყადაღი-  
საგანი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩინორა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 23 აპრილის განჩინებით, აპელანტის გა-

მოუცხადებლობის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, რომელიც დაწინაური იყო 2015 წლის 23 აპრილს, 11:00 საათზე, არ გამოცხადდა აპელანტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური, რომელიც სასამართლო სხდომაზე მოწვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლით დადგენილი წესით (უწყება კანცელარიას ჩაბარდა 2015 წლის 7 აპრილს), ხოლო გამოუცხადებელ მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე მუხლებით, 275-ე მუხლის „გ“ ქვეუწიტით და მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დაწინაური იყო 2014 წლის 25 დეკემბერს და გადაიდო რამდენჯერმე, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, ბოლოს სასამართლო სხდომა დაინიშნა 2015 წლის 23 აპრილს, რომელზეც აპელანტის წარმომადგენელი გამოცხადდა დაგვიანებით, რაც განპირობებული იყო ჩვეულზე მეტი ხნით სააგენტომილო საცოტში ყოფნით, აღნიშნულის შესახებ ასევე ვერ მოხდა მოსამართლის თანაშემწის ინფორმირება. სასამართლო სხდომაზე მხარე გამოცხადდა 25 წუთის დაგვიანებით. სააპელაციო სასამართლომ საქმე წაჩქარებად, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის დაუსწრებლად განიხილა და მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნულით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დასპოზიციურობის პრინციპი, რადგან სასამართლომ თავი აარიდა ყველა საპროცესო მხარის მონაწილეობით საქმის განხილვას, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის მასალები და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მიიღო კანონშეუსაბამო განჩინება.

წარმოდგენილ კერძო საჩივარს ერთვის დავების დეპარტა-

მენტის მძღოლის – ლ. პ-ას მოხსენებითი ბარათი 2015 წლის 23 აპრილს, საგზაო საცობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე დაგვიანების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, კერძო საჩივრის საფუძვლითან და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემონების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი კერძო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს მიერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებისა და ამ ნორმათა საფუძველზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერების შემონმება. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2014 წლის 4 დეკემბერს, 15:00 საათზე, თუმცა იმ მიზეზით, რომ აპელანტის წარმომადგენელმა ვერ წარადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად შედგენილი მინდობილობა, საქმის განხილვა გადაიდო 2014 წლის 25 დეკემბერს. დანიშნულ დროს სხდომა ვერ ჩატარდა და ახალი სხდომის თარიღის შესახებ (2015 წლის 23 აპრილი, 11:00 საათი) აპელანტს ეცნობა სასამართლო უწყების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით გადაცემის გზით, კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირს უწყება ჩაბარდა 2015 წლის 7 აპრილს;

2015 წლის 23 აპრილს დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი, ხოლო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე,

მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. დასახელებული ნორმით გათვალისწინებულია აპელანტის გამოუცხადებლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესი, თუმცა კანონის ამ სპეციალური დათქმის პარალელურად, საკითხის რეგულირებისათვის განსაზღვრულია პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ხოლო 275-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია ასე-ვე სარჩელის განუხილველად დატოვების შესაძლებლობა, თუ საქმის განხილვაზე მოსარჩელე არ გამოცხადდება, ხოლო მოპასუხე თანახმაა, რომ განუხილველად დარჩეს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია, როგორც აპელანტის ჯეროვანი ინფორმირების, ისე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობების არსებობა.

კერძო საჩივრის ავტორი მიღებული განჩინების გაუქმებას იმ საფუძვლით მოითხოვს, რომ სასამართლო სხდომაზე დაგვიანება განაპირობა სატრანსპორტო საცობმა, ხოლო მოსამართლის თანაშემწის წინასწარ ინფორმირება ვერ მოხერხდა, თავის მხრივ, მხარემ წარმოადგინა ამავე სამსახურის მძლოლის მოხსენებითი ბარათი, საცობმი ყოფნის გამო, სასამართლო სხდომაზე დაგვიანების შესახებ.

მხარის ამ პრეტენზიათა შესწავლის მიზნით საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების) გაუქმების საფუძვლები და დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შე-

ეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმოჩნდის წინაპირობები; ე) მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. განსახილველ შემთხვევაში სადაცოს არ წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წინაპირობების არარსებობა, რაც შეეხება მხარის მითითებას დროულად გამოცხადების შეუძლებლობაზე, პალატა მიიჩნევს, რომ იგი ვერც დაუძლეველ ძალად და ვერც საპატიო მიზეზად ვერ იქნება მიჩნეული. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მოიხმობს საქართვლოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებულ განჩინების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 15 სექტემბერს, სააკელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დღეს, ისინი სასამართლო სხდომაზე დროულად ვერ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზით, კერძოდ, სს „... ბ-ის“ კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც იურიდიულ დეპარტამენტს ემსახურება და რომლითაც კონკრეტულ შემთხვევაში მგზავრობდნენ ბანკის წარმომადგენლები დაზიანდა, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობის (საცობის) გამო, მათ გაუქნელდათ სათადარიგო ტრანსპორტის გამოყენებით დროულად გამოცხადება სასამართლო სხდომაზე. ამასთან, მოსამართლის აპარატის გაფრთხილება სატელეფონო საშუალებით ვერ განახორციელეს, ვინაიდან სატელეფონო კვანძი ხანგრძლივად იყო დაკავებული. ამდენად, ადგილი ჰქონდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვლენას, რომელმაც ხელი შეუშალათ სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის (სსსკ-ის 233.1 „ბ“ ქვეპუნქტი), რის გამოც მოითხოვეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორთა მიერ მითითებული გარემოება ვერ მიიჩნევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით, კანონმდებელი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მხარეს გარკვეული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიოდ ეთვლება და

ასეთი შეუსრულებლობის მიზეზი საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ობიექტურად დაუძლეველი გარემოების არსებობის შემთხვევაში. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ის გარემოება, თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტება იმის თაობაზე, რომ სასამართლო პროცესზე დროულად გამოუცხადებლობა გადატვირთულმა და შეფერხებულმა სატრანსპორტო მოძრაობამ გამოიწვია, საკასაციო სასამართლოს მიერ, მითითებული მუხლების შესაბამისად, ვერ მიიჩნევა შემაფერხებელ გარემოებად და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად. ამასთან, მხარემ წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ყველა შემაფერხებელი გარემოება, იმ პროცესუალური შედეგების თავიდან ასაცილებლად, რაც მოჰყვება მის გამოუცხადებლობას” (იხ. სუსგ №ას-1051-985-2010, 23 დეკემბერი, 2010 წელი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განწილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვთ ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ შ. ს-ის კერძო საჩივარი უსაფუძლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ადგილი:**

1. სსიპ შ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს დაუსა-

ბუთებლობის გამო.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 23 აპრილის განჩინება დარჩეს უც-  
ვლელად.

3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-  
გან გათავისუფლებულია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შეღებები

### განხილვა

№ას-1013-956-2015

27 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიერიშვილი,  
6. ბაქაქური

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა

### აღნერილობითი ნაწილი:

#### 1. სასარჩევო მოთხოვნა:

ქ. ა-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში გ. მ-ისა (შემდგომში – მოპასუხე, კასატორი) და ნოტა-  
რიუს ლ. ჭ-ას (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ ნოტარიუსის მი-  
ერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის  
მოთხოვნით, კერძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა დაკისრებული  
პირგასამტებლოს 1 500 ლარით განსაზღვრა, უკანონოდ დარიც-  
ხული საპროცენტო სარგებლის გაუქმება და სარგებლის სახით  
ზედმეტად გადახდილი 10 950 აშშ დოლარის ძირი თანხის ანგა-  
რიშმი ჩათვლა, შესაბამისად, ამ ვალდებულების 8 050 აშშ დო-  
ლარით განსაზღვრა (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

#### 2. მოპასუხების პოზიცია:

2.1. გ. მ-ემ მარტივი შედავებით სარჩელი არ ცნო და განმარ-  
ტა, რომ მოსარჩელეს ვალდებულება არ შეუსრულებია, შესაბა-  
მისად, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

2.2. მარტივი შესაგებელი იქნა წარდგენილი ნოტარიუს ლ.ჭ-ას მიერაც, სადაც მხარემ მიუთითა სააღსრულებო ფურცლის კანონის მოთხოვნათა დაცვით გაცემაზე.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ცვლილებები შევიდა ნოტარიუს ლ. ჭ-ას მიერ 2014 წლის 25 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცლის მე-7 პუნქტში (აღ-სასრულებელი ვალდებულების მოცულობა) მოვალე ქ. ა-ისათ-ვის პროცენტისა და პირგასამტებლოს გადახდის დაკისრების ნაწილში და პროცენტის სახით მოსარჩელის ვალდებულება გა-ნისაზღვრა 2012 წლის 30 აპრილის და 2012 წლის 16 ნოემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ჯამში 5 100 აშშ დოლარით, 2013 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 1 710 აშშ დოლარით. პირგასამტებლოს სახით მოსარჩელის ვალ-დებულება კრედიტორ გ. მ-ის წინაშე განისაზღვრა ყოველ ვა-დაგადაცილებულ დღეზე სესხის პროცენტის ( $5\ 100 + 1\ 710 = 6\ 810$ ) 0,05%-ით, რაც შეადგენდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 3.40 აშშ დოლარს, ანუ ჯამში 816 აშშ დოლარს. პირ-გასამტებლოს ოდენობა სესხის პროცენტზე ( $6\ 810$  აშშ დოლა-რი) 2014 წლის 12 მარტიდან სააღსრულებო ფურცლის წარმოე-ბაში მიღებამდე განისაზღვრა 0.05%-ით.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გა-უქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-წილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელა-ციონ საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბა გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილ-ში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, შე-ვიდა ცვლილებები ნოტარიუს ლ. ჭ-ას მიერ 2014 წლის 25 მარტს გაცემულ სააღსრულებო ფურცლის მე-7 პუნქტში და მოსარჩე-ლის ვალდებულება გ. მ-ის მიმართ განისაზღვრა შემდეგი სა-ხით: სესხის ძირი თანხა – 8 050 აშშ დოლარი; პირგასამტებლო – 1 500 ლარი.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სა-მართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 30 აპრილს ქ. ა-მა გ. მ-ისაგან 3 თვით, ყოველთვიურად 5% სარგებლით ისესხა 15 000 აშშ დოლარი. პროცენტის თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, აპელანტს უნდა გადაეხადა პირგასამტებლო, პროცენტის თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩევის კუთვნილი ქონება მდებარე: ქ. ბათუმში, ო-ის ქ. №...ში.

5.1.2. 2012 წლის 16 ნოემბერს, 2012 წლის 30 აპრილის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები. სესხის თანხა გაიზარდა 4 000 აშშ დოლარით და გახდა 19 000 აშშ დოლარი, ხოლო სესხის დაპრუნების ვადა გაიზარდა 3 თვით. შეთანხმებული პროცენტი დარჩა უცვლელად.

5.1.3. 2013 წლის 17 დეკემბერს, 2012 წლის 30 აპრილის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ისევ შევიდა ცვლილება. სესხის დაპრუნების ვადა გაგრძელდა 3 თვით, ხოლო სარგებელი შემცირდა 3%-მდე. ამის შესაბამისად, სულ მოსარჩელემ მოპასუხისაგან ისესხა 19 000 აშშ დოლარი და ხელშეკრულებათა საფუძველზე, მას მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა გადაეხდა სარგებელი –  $15\ 000 \times 5\% \times 3 + 19\ 000 \times 5\% \times 3 + 19\ 000 \times 3\% \times 3 = 810$  აშშ დოლარი. ეს თანხა მან კრედიტორს გადაუხდადა. გარდა ამისა, აპელანტი მოწინააღმდეგე მხარეს თანხას უხდიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც და, დამატებით, გადაუხადა 10 950 აშშ დოლარი.

5.1.4. კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, 2014 წლის 25 მარტს ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მე-7 პუნქტითაც აღსასრულებელი ვალდებულება განისაზღვრა შემდეგი სახით: სესხის ძირი თანხა – 19 000 აშშ დოლარი; 6 თვისა და 13 დღის სარგებელი (5%-იანი განაკვეთი) – 6 111 აშშ დოლარი; 3 თვის სარგებელი (3%-იანი განაკვეთი) – 1 710 აშშ დოლარი. პირგასამტებლო გადასახდელი სარგებლის (0.3%) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 2013 წლის 19 ივლისიდან 2014 წლის 12 მარტის ჩათვლით – 3 900 აშშ დოლარი. პირგასამტებლო გადასახდელი თანხის (0.2%) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 2014 წლის 12 მარტიდან სააღსრულებო ფურცელის მიღებამდე.

5.1.5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ შეჯიბრებითობის ზოგადი პრინციპი კონკრეტულად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური ნორმებით, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება სარჩელზე შესაგებლის წარდგენის სავალდებულობაა. სწორედ შესაგებლით იგებს მოსარჩელე, თუ სარჩელში მითითებულ რომელ ფაქტებს ხდის სადავოდ მოპასუხე და

რომელი გარემოებების მტკიცება მოუწევს მას. როგორც მოპასუხე არის უფლებამოსილი, იცოდეს თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით, რა საფუძვლებით ედავება მას მოსარჩელე, ასევე, მოსარჩელეც უფლებამოსილია, იცოდეს, თუ სარჩელში მითითებულ რომელ ფაქტს არ ეთანხმება მოპასუხე, ანუ რა საფუძვლებს ეყრდნობა შესაგებელი. თუ სარჩელში მითითებულ ამა თუ იმ ფაქტს მოპასუხე არ ედავება, ეს ფაქტი ითვლება უდავოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპიდან გამოდინარე, სამტკიცებელი არის მხოლოდ ის, რაც სადაცოა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების თანახმად, განსაზღვრულია შესაგებლის ნარდგენისა და სარჩელში მითითებული გარემოებების შედავების წესი, დადგენილ ვადაში, საპროცესო მოქმედების არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობა მხარეს ართმევს უფლებას, შეასრულოს ეს საპროცესო მოქმედება პროცესის სხვა ეტაპზე, თანახმად ამავე კოდექსის 63-ე მუხლისა, თუ მოპასუხე შესაგებელს არ ნარადგენს დადგენილ ვადაში, მას შესაგებლის ნარდგენის უფლება უქარნყლდება. ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან საპროცესო შედეგთან: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლისა და 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დადგენილ ვადაში შესაგებლის ნარუდგენლობის შემთხვევაში, სარჩელში მითითებული გარემოებები ითვლება დადასტურებულად. თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ სარჩელს არა აქვს სამართლებრივი საფუძველი, იგი ნიშნავს სხდომას, მაგრამ სხდომაზეც მოპასუხეს არა აქვს სარჩელში მითითებული ფაქტების შედავების უფლება. ამ თვალსაზრისით პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე: №ას-651-6-9-2013; №ას-307-292-2013.

5.1.6. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხე გ. მე-ეს ჩაბარდა 2014 წლის 11 აგვისტოს და მას განესაზღვრა 10 დღის ვადა სარჩელზე შესაგებლის ნარდგენისათვის. მოპასუხემ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა 2014 წლის 13 აგვისტოს, თუმცა სარჩელში მითითებულ ფაქტებს, კერძოდ კი, იმას, რომ ქ. ა-მა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის გარდა, კრედიტორს 10 950 აშშ დოლარი გადაუხადა, არ შედავებია. შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით იმის თაობაზე, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი იყო სწორი და შეესაბამებოდა მხარეთა შორის შე-

თანხმებულ პირობებს. იდენტური შინაარსის შესაგებელი წარადგინა მან 2014 წლის 27 ნოემბერს, დაზუსტებული სარჩელის ჩაბარების შემდეგ. ასეთივე ზოგადი შინაარსის შესაგებელი წარმოადგინა გ. მ-ემ ქ. ა-ის სააპელაციო საჩივარზე, რომლის მიმართაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლისა და 373-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის მარეგულირებელი ნორმები. მიუხედავად შეთავაზებისა, აპელანტის მონინაალმდეგე მხარეს არც სრულყოფილი შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზი განუმარტავს. პალატის დასკვნით, რადგან კანონით გათვალისწინებული ვალდებულება მოპასუხემ არ შეასრულა, კანონის საფუძველზე, მას წაერთვა უფლება, შეესრულებინა ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ამგვარად, იმ ფაქტს, რომ აპელანტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი დაფარა სრულად და, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლისა, გადაიხადა 10 950 აშშ დოლარი, მონინაალმდეგე მხარე სადაცოდ ვერ გახდის.

5.1.7. პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (საქმე №ას-1701-1685-2011), სადაც საუბარია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით რეგულირებულ სფეროზე და განმარტებულია, რომ ამავე კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, თავისი შინაარსით სარგებელია და განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე.

5.1.8. სესხის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სარგებლის გადახდის ვალდებულება მხარეებს არ შეუთანხმებიათ. ამის შესაბამისად, აპელანტის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას. სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლისა და 10 950 აშშ დოლარის ნაწილში, აპელანტის ვალდებულება მონინაალმდეგე მხარის მიმართ შეწყვეტილია. ამგვარად, აპელანტის ვალი მონინაალმდეგე მხარის მიმართ შეადგენს 8 050 აშშ დოლარს.

5.1.9. სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შეთანხმებით პირგასამტეხლო გამოითვლებოდა გადასახდელი პროცენტიდან. რადგან დადგენილია, რომ აპელანტს მონინააღმდეგე მხარისათვის პროცენტი მთლიანად გადახდილი აქვს, პალატამ დაასკვნა, რომ მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლებიც არ არსებობს, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 248-ე მუხლის მიხედვით, აპელანტის მიერ მონინააღმდეგე მხარისათვის გადასახდელი პირგასამტეხლო უნდა განსაზღვრულიყო 1 500 ლარით. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა შემცირდა 0,05%-მდე და მისი გადახდის პერიოდი განისაზღვრა 240 დღით. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, დარჩენილ სასესხო ვალდებულების 5%-იანი სარგებლითაც გამოანგარიშების შემთხვევაში, სარგებელი 8 050X5% = 402,5 აშშ დოლარი იქნებოდა, მისი 0,05% კი – 402,5X0,05% = 0,2 აშშ დოლარი. ამ თანხის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დღეთა რაოდენობაზე გამრავლებით, მითითებული ვალდებულება 0,2X240 = 48 აშშ დოლარით განისაზღვრებოდა, რაც ბევრად ნაკლებია აპელანტის მიერ მითითებულ თანხაზე. ამგვარად, აპელანტის მოთხოვნა პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში დასაბუთებულად იქნა მიჩნეული.

5.1.10. პალატამ მიუთითა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტზეც და აღნიშნა, რომ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს ვალდებულება იმ ოდენობით, რა ოდენობის მოთხოვნაც გააჩნია კრედიტორს. კრედიტორის მოთხოვნა აპელანტის მიმართ შეადგენდა ძირითად თანხას – 8 050 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს – 1 500 ლარს. ამის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები.

## 6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

### 6.1. საკასაციო საჩივრების საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე და 232<sup>1</sup>-ე მუხლებზე მიუთითებს, ეს ნორმები შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სახე-

ზე არაა, ამასთანავე, თუკი სააპელაციო პალატა მითითებული საპროცესო წესებით გადაწყვეტდა საქმეს, გაურკვეველია, რატომ წარმართა სასამართლო სხდომა, სადაც მოსამართლე სწორედ სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ გარემოებებს იკვლევდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძვლით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობას წარმოადგენს ისიც, რომ სააპელაციო პალატამ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით. ქვემდგომ სასამართლოებს შესაგებლის ვადის დარღვევით წარდგენის ფაქტი არ დაუდგენიათ, სწორედ ამიტომ არ იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთან, წარდგენილ შესაგებლში მხარემ განმარტა, რომ არ ეთანხმებიოდა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო შესაგებლის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულია, რომ მოსარჩელეს ვალდებულება არ შეუსრულებია, შესაბამისად, მას არ გააჩნია თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. საქალაქო სასამართლომ ეს გარემოება სწორედ მოპასუხის შედავების გამო შეაფასა საქმის მასალებზე დაყრდნობით. კასატორმა სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა ქ. ა-ის მიერ 17 600 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს და მოსარჩელეს, გარდა ზეპირი განმარტებისა, არავითარი მტკიცებულება არ წარუდგენია მითითებული გარემოების დადასტურებისათვის. ფაქტობრივი გარემოების სიმარტივიდან გამომდინარე, მოპასუხეს არ განუვრცა საკუთარი პოზიცია, რისი უფლებამოსილებაც მას საპროცესო პრინციპებიდან და თავად 201-ე მუხლიდან გამომდინარე გააჩნია. ეს გარემოება სასამართლომ არასწორად შეაფასა, მოპასუხემ ნათლად განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა მოსარჩელის პოზიციას, ხოლო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით.

6.1.2. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის არასწორ განამარტებას ადასტურებს ისიც, რომ შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადის დარღვევის შემთხვევაში, შესაგებელი განუხილველად კი არ რჩება, არამედ, ამავე კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს არც ეს ნორმები უნდა გამოეყნებინა გადაწყვეტილების დასაბუთებისას.

6.1.3. სააპელაციო პალატა გადაწყვეტილებას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, თუმცა ამ შემ-

თხვევაშიც, შესაგებლის შინაარსს არასწორ ინტერპრეტაციის აძლევს, პალატამ თავად დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც საკუთარი ინიციატივით იმსჯელა თითქოს მოპასუხე სადავოდ არ ხდიდა მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის ფაქტს, ამ საკითხზე სააპელაციო საჩივარსა და სასამართლო სხდომაზე არ მიუთითებია აპელანტის წარმომადგენელი აპელირებდა მხოლოდ საკუთარ განმარტებებსა და სააღსრულებო ფურცლის შინაარსზე. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სახეზე არ გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე-132-ე მუხლებით გათვალისწინებული აღიარება, ხოლო სააპელაციო პალატის მიერ მიითხოვული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორივე განჩინება შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რის გამოც ამ გადაწყვეტილებებს ნინამდებარე დავასთან რაიმე შეხება არ აქვთ.

6.1.4. სააპელაციო პალატას, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა, უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 302-ე, 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლებით.

6.1.5. ამავე საფუძვლებიდან გამომდინარე, კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს იმის თაობაზე, რომ: ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა გადაეხადა სარგებელი – 6 810 აშშ დოლარი, რაც გადახდილი აქვს; აპელანტი მოწინააღმდეგე მხარეს თანხას უხდიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც და დამატებით მას გადახდილი აქვს 10 950 აშშ დოლარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიზნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. განსახილვები დავის საგანს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის სასარგებლოდ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა წარმოადგენს. თავის მხრივ, მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს შემდეგზე: ქ. ა-სა და კასატორს შორის 2012 წლის 30 აპრილს, სამი თვის ვადით სანოტარო წესით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, სესხის თანხა შეადგენდა

15 000 აშშ დოლარს, სარგებელი – 5%-ს, ხოლო პირგასამტებლო – გადაუხდელი სარგებლის 0,3%-ს. 2012 წლის 16 ნოემბერს ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში და სესხის ძირ თანხას დაემატა 4 000 აშშ დოლარი, სხვა პირობები დარჩა უცვლელი. 2013 წლის 17 დეკემბერს კვლავ შევიდა ცვლილება სესხის ხელშეკრულებაში და ამჯერად ყოველთვიური სარგებელი განისაზღვრა თვეში 3%-ით, სხვა პირობები დარჩა უცვლელად. მოსარჩევეს სარგებლის სახით ზედმეტად აქვს გადახდილი თანხა, რომელიც, სააღსრულებო ფურცელში არ გამოკლებია ვალდებულების ძირითად თანხას, შესაბამისად, მას უკანონოდ ეკისრება, როგორც ძირი თანხის ნაწილის, ისე პროცენტის გადახდის ვალდებულება, ხოლო შეთანხმებული პირგასამტებლო არაგონივრულია, რის გამოც იგი უნდა შემცირდეს.

1.2. დადგენილ ვადაში სარჩელის (ასევე დაზუსტებული სარჩელის) წინააღმდეგ მოპასუხეებმა, მათ შორის კასატორმა, წარადგინეს შესაგებელი, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ, დავის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

1.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალტამ მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დაკამაყოფილების გზით სრულად დააკმაყოფილა სარჩელი, რასაც საფუძვლად დაედო კასატორის მიერ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლის დაუსაბუთებლობა, რასაც არ ეთანხმება კასატორი და პრეტენზიას გამოთქვამს, როგორც გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთების, ისე სააპელაციო საჩივრის ფარგლების დარღვევის თაობაზე. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს გ. მ-ის პრეტენზიებს და მათი საფუძვლიანობის გამორკევისათვის, მიზანშენონილად მიიჩნევს, იმსჯელოს, შესაგებლის, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის საპროცესო ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, ასევე ზემდგომი სასამართლოს მხრიდან დავის საჩივრის ფარგლებში განხილვა-გადაწყვეტის წესზე.

1.4. უპირველესად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: შეჯიბრებითობასა და დისპოზიციურობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვა საკუთარი დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების დაცვის თაობაზე, თუმცა ამ უფლების პარალელურად, ამავე ნორმის მე-2 ნაწილით მოპასუხედ დასახელებული პირი აღჭურვილია ასევე უფლებით, დაეთანხმოს მის წინა-

აღმდეგ წარდგენილ პრეტენზიებს – ნაწილობრივ ან სრულად ცნოს სარჩელი. სწორედ მოპასუხის დისპოზიციური ნების დაცვის ინსტრუმენტად გვევლინება სარჩელისაგან თავდაცვის იმ-გვარი საპროცესო საშუალებები, როგორიცაა შესაგებლისა და შეგებებული სარჩელის ინსტიტუტი. შესაგებელი არ წარმოადგენს კანონის ფორმალურ დანაწესს და როგორც მისი არასაპატიოდ წარუდგენლობა, ისე, შინაარსობრივი დასაბუთება მნიშვნელოვან შედეგებთანა დაკავშირებული. პირველ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის დანაწესებით და სათანადო წინაპირობების არსებობისას, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე (რაც უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა), ხოლო, მეორე შემთხვევაში, სასამართლო მხარის შედავების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სადავო და უდავო ფაქტობრივ გარემოებათა წრეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი არეგულირებს შესაგებლის წარდგენის სტანდარტს, რომელიც უზდა განიმარტოს ამავე კოდექსის მე-4 მუხლთან შესაბამისობაში (შეჯიბრებითობა) და იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მოპასუხის შედავება, შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია, როგორიცაა, მაგალითად: ზოგადი, ანუ აბსტრაქტული სახის შედავება, კვალიფიციური შედავება და სხვა. მითითებული კვალიფიკაცია, თავისთავად, გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთსა და მტკიცების საგანში შემაგალ გარემოებათა წრეზე.

1.5. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოტივაციას, რომ საკითხის სიმარტივის გამო მან არ ჩათვალა სავალდებულოდ დასაბუთებული შესაგებლის წარდგენა და ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე-132-ე მუხლების შესაბამისად, არ ულიარებია კონკრეტული ფაქტი, ზოგადი ხასიათის შედავება არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა ამა თუ იმ საკითხის უდავო გარემოებად მიჩნევას. საკასაციო სასამართლო ზოგადად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას უდავო და სადავო გარემოებების ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით, თუმცა, საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლით ამ საკითხის რეგულირებაზე მსჯელობის გამო, აქვე განმარტავს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარე-

მოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შესარულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. ნორმის მითითებული დანაწესი არ არის ამომზურავი და იგი სისტემურად უნდა განიმარტოს ამავე კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 219-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესებთან ერთობლიობაში. მითითებულ ნორმათაგან პირველი წარმოადგენს მხარეების გარანტიირებულ საპროცესო უფლებათა ჩამონათვალს, მეორე – განსაზღვრავს საპროცესო სამართლის მიზნებისათვის იმ გარემოებათა წრეს, თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული საპატიოდ, ხოლო მესამე ნორმით დადგენილია შემდეგი: მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამდენად, თუკი არსებობს შესაბამისი წინაპირობები (რომლის თაობაზეც ქვემოთ იქნება განმარტებული) სადავო და უდავო ფაქტების გამიჯვნისა, ამგვარი გამიჯვნა არ შეიძლება მხოლოდ შესაგებელს ეყრდნობოდეს, რადგანაც მოპასუხე მხარეს კანონდებლიბა უფლებას ანიჭებს, საქმის მომზადების ეტაპზე შეუზღუდვავად დააზუსტოს და დააკონკრეტოს შესაგებელში მითითებული ესა თუ ის გარემოება, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინოს საკუთარი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, მთავარ სხდომაზეც კი აქვს მას უფლება, მიუთითოს ახალ გარემოებებზე, შესაბამისად, სასამართლომ საკუთარი პოზიცია უნდა დაასაბუთოს, როგორც საქმეში წარმოდგენილ შესაგებელზე დაყრდნობით, ისე, გამოიკვლიოს მხარის მიერ საქმის მომზადების ეტაპზე შესაგებლის პოზიციის დაზუსტების საკითხი, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის პირველი ინსტანციის წესით განმხილველ სასამართლოს რეალიზებული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლით მინიჭებული შესაძლებლობა და დანიშნული აქვს არა ერთი მოსამზადებელი სხდომა. ამასთანავე, სააპელაციო პალატას არ შეუფასებია გ. მ-ის მიერ წარდგენილი შესაგებლის პო-

ზიცია (რომელიც, მართალია, ასახულია არა სარჩელში მითითებული გარემოებების თაობაზე მოპასუხის პოზიციისათვის განსაზღვრულ შესაბამის, არამედ, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე მოპასუხის მოსაზრებებისათვის განკუთვნილ გრაფაში), რომ მოსარჩელეს ფულადი ვალდებულება არ შეუსრულებია, მან დააღვის შესრულების ვადა და სწორედ ამან განაპირობა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მხარეთა შეთანხმება და ამ შეთანხმების სანოტარო წესით დადასტურება.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას სააპელაციო სასამართლო შებოჭილია აპელანტის პრეტენზიებით და არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს იმ შესაძლო დარღვევაზე, რაც მხარეს სადავოდ არ გაუხდია (გარდა სსკ-ის 394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძლებისა), წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო თავად დაარღვევს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

1.7. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქ. ა-ის ძირითადი სააპელაციო პრეტენზია მიმართული იყო სასამართლოს მიერ ვალდებულების ძირ თანხაში მის მიერ ზედმეტად გადახდილი სარგებლის არასწორად არგაქვითვისკენ, ხოლო თავად თანხის გადახდის ფაქტს აპელანტი ამყარებდა არა მოპასუხის მიერ ამ გარემოების წინააღმდეგ აბსტრაქტული შედავების წარდგენასა და ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სარგებლის გადახდის ფაქტის უდავოდ მიჩნევაზე, არამედ აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წინადადებასა და თავად სააღსრულებო ფურცელში მითითებულ სარგებლის გამოანგარიშების წესზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო პალატას აპელანტის მიერ მითითებულ გარემოებებზე არ უმსჯელია და სრულიად სხვა საფუძვლით დააკმაყოფილა მისი პრეტენზიები, რის თაობაზეც კასატორმა დასაბუთებული შედავება წარმოადგინა.

1.8. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე და 232<sup>1</sup> მუხლების არასწორად გამოყენება-განმარტების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევის ფაქტი არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, შესაბამისად, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი დამდგარა დღის წესრიგში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დაკამაყიფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. თავად ნორმის აღწერილობით ნაწილი განსაზღვრავს მისი გამოყენების სფეროს და ამ საპროცესო წესს სასამართლო შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეყრდნოს, თუ მხარემ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა/დაგვიანებით წარადგინა შესაგებელი. სხვა შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, უხელმძღვანელოს მხარეთა შეჯიბრებითობას (სსსკ-ის 102-ე მუხლი) და საპროცესო წესების დაცვით ნარმართოს სასამართლო პროცესი, მიღლოს ასსნა-განმარტებანი, მტკიცებულებები და ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სტანდარტით შეფასება მისცეს მათ, ანუ შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან, სადაც დავის ფაქტობრივი გარემოები კანონის ძალით მიიჩნევა დამტკიცებულად, სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაამყაროს საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკლევას და დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

1.9. რაც შეეხება სააპელაციო პალატის მსჯელობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკიაზე (სუსგ-ებები: №ას-651-6-9-2013; №ას-307-292-2013), საკასაციო პალატა, ბუნებრივია, ეთანხმება მითითებულ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმის გან-

მარტებას, თუმცა, აღნიშნავს, რომ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება-განმარტება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენილად მიჩნევის საკითხს ემსახურება, რაც თავისთავად გამორიცხავს წინამდებარე დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შესაძლებლობას.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ საპროცესო ნორმათა დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტილების მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, ხოლო კასატორმა ამ დარღვევების თაობაზე სწორედ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

1.11. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოების საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. მოცემული ნორმის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტილების არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ქ. ა-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილებად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა**

#### **განრიცხვა**

№ას-1126-1060-2015

13 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად (ცნობა, ზიანის ანაზღაურება და პირგასამტებლოს დაკისრება)

### **აღნერილობითი ნაწილი:**

#### **1. სასარჩელო მოთხოვნა:**

შპს „ჯ-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-

მართლოში ა(ა)იპ „ბ. ს. ბ. გ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, კერძო საჩივრის ავტორი), შპს „ნ-ისა“ და შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ (შემდგომში – მესამე პირები) მიმართ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტკებლოს – 32 599,75 ლარის დაკისრების შესახებ 2014 წლის 23 ივნისის №... ბრძანების ბათილად ცნობისა და ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტით მიყენებული ზიანის, 28 898 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

### 2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### 4. აპელაციის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

5. სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციის ნაწილები:

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი, საპროცესო ვადის დარღვევის გამო, დარჩა განუხილველად, ხოლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232!-ე მუხლის შესაბამისად, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და გასაჩივრებულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 19 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და მოსარჩელისათვის პირგასამტკებლოს, 32 599,75 ლარის, დაკისრების თაობაზე მოპასუხის 2014 წლის 23 ივნისის №... ბრძანება.

5.2. ამავე სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ა(ა)იპ „ბ. ს. ბ. გ-ის“ საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 სექტემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

6. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ორგანიზაციის თანამშრომელს, მენეჯერ თ. ნ-ეს, ჩაბარდა 2015 წლის 11 სექტემბერს.

6.2. მოსარჩელის ნარმომადგენელმა საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2015 წლის 23 სექტემბერს.

6.3. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე, 70-ე, 74-ე მუხლებით, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 63-ე მუხლით და განმარტა, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის ნარდგენის ვადა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს ეწურებოდა 2015 წლის 21 სექტემბერს, 24:00 საათზე, ვინაიდან მხარემ დაარღვია ეს ვადა, მის მიერ ნარდგენილი საჩივარი განუხილველად უწდა დარჩენილიყო.

#### 7. კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მოპასუხებმ, მოითხოვა მისი გაუქმება და საჩივრის იმავე სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნება.

#### 7.1. კერძო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. სააპელაციო პალატამ არასწორად დატოვა განუხილველად საჩივარი, რადგანაც იგი კანონით დადგენილ ვადაში ნარადგინა მხარემ, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არასწორად აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კერძო საჩივრის ავტორს/თანამშრომელ თ. ნ-ეს ჩაბარდა 2015 წლის 11 სექტემბერს. რეალურად სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს 2015 წლის 14 სექტემბერს ჩაბარდა, რაც დასტურდება გაერთიანების კანცელარიის შემოსული კორესპონდენციების უურნალით. გაერთიანებაში თ. ნ-ე არ მუშაობს, ამ პიროვნების შესახებ უცნობია კერძო საჩივრის ავტორისათვის და არც კორესპონდენციის მიმღები პირის პირადი ნომერი ემთხვევა ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირად ნომერს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაერთიანებას შეტყობინების მიმღები პირის სახელზე არ გაუცია მინდობილობა. მითითებული გარემოებები მოწმობს შპს „ს. ფის“ გადაცდომას, ხოლო კერძო საჩივრის ავტორის მიერ საჩივრის ნარდგენის ვადის დაცვას.

7.1.2. გასათვალისწინებელია მოცემული საქმის მიმართ მხარის მაღალი იურიდიული ინტერესი, ვინაიდან საქმე სკოლამდელ დაწესებულებაში აღსაზრდელების ჯანმრთელობას შეეხება, რის თაობაზეც მითითებულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით კი, იქმნება პრეცედენტი, რომელმაც შესაძლოა

დიდი ზიანი მიაყენოს საბავშვო ბალების აღსაზრდელთა ინტერესებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიზნევს, რომ ა(ა)იპ „ბ. ს. ბ. გ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო/კერძო საჩივარს, თუ: „ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას“.

1.2. პალატა ყურადღებას გაამახვილებს დავის გადაწყვეტილების მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

1.2.1. საქმეში წარმოდგენილი გზავნილის თანახმად, სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო შესაგებელში მითითებულ მისამართზე და საფოსტო შეტყობინების თანახმად, სასამართლო შეტყობინება 2015 წლის 11 სექტემბერს ჩააბარდა ორგანიზაციის წარმომადგენელს, მენეჯერ თ. ნ-ეს.

1.2.2. საქმეში წარმოდგენილი საფოსტო კონვერტით უტყუარიდ დასტურდება ისიც, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით საჩივარი აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ ფოსტას 2015 წლის 23 სექტემბერს ჩააბარა.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაპბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. კანონის აღნიშული დათქმა იმპერატიულია და ადგენს იმგვარ შე-

დეგს, როგორიც სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლაა. ამასთანავე, ნორმის განმარტება დაიშვება ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილთან ერთობლიობაში, რომლის თანახმადაც, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იმისათვის, რათა უტყუარად დადგინდეს, შესულია თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში, უნდა შეფასდეს დაცულია თუ არა სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების მარეგულირებელი ნორმების დაცვა როგორც სასამართლოს, ისე მოდავე მხარის მხრიდან.

1.3.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ორგანიზაციისათვის შეტყობინების ჩაბარების წესები რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით, ამასთანავე, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი წარმოადგენს სპეციალურ დანაწესს და ადგენს, რომ ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაპერადეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. აქვე საგულისხმოა 71-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების დანაწესები, რომლებიც შეტყობინების მხარისათვის გაგზავნის ნამდვილობას ამ მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მათ გაგზავნას უკავშირებს. ამ ნორმათა ერთობლიობა კი, იძლევა იმ პროცესუალური პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ მხარე, რომელიც მიუთითებს საკუთარ მისამართს, პასუხისმგებელია ამ მისამართზე მყოფი პირის მიერ შეტყობინების ადრესატისათვის გადაცემაზეც, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მხარეს შეტყობინება არ ჩაბარებია მის მიერ მითითებულ მისამართზე ეკისრება სწორედ მისამართის მიმთითებელს.

1.4. წინამდებარე განჩინების სამოტივაციონ ნაწილის 1.2.1.-1.2.2. პუნქტებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად ჩათვალა, რომ ადრესატს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა 2015 წლის 11 სექტემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე კი, ამ ვადის დენა ამოინურა სამუშაო დღეს, 2015

წლის 21 სექტემბერს, ხოლო საჩივარი ფოსტას ამავე წლის 23 სექტემბერს ჩაბარდა, რაც, ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, მისი განუხილველად დატოვების წინაპირობა იყო.

1.5. რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ შეტყობინების მიმღები პირი არ არის მისი თანამშრომელი და კორესპონდენცია ორგანიზაციას 2015 წლის 14 სექტემბერს ჩაბარდა, პალატა მას ვერ გაიზიარებს, რადგანაც სადავო გარემოებების დადასტურების მიზნით მხარეს უტყუარი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. კერძო საჩივარზე დართული უურნალის ასლი, მართალია, დამონშებულია შესაბამისი პირის ხელმოწერით, თუმცა ის გარემოება, თუ როდის გატარდა კონკრეტული კორესპონდენცია სარეგისტრაციო უურნალში არ ცვლის ფოსტის მუშავის მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტს, რაც შეეხება გაერთიანების პარატის სიას, მას პალატა ვერ გაიზიარებს, რამდენადაც დოკუმენტის ნამდვილობა, ასევე, ის, რომ ეს სია არის თანამშრომელთა სრულყოფილი მონაცემები, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული არ არის, არამედ მასზე დასმულია ბეჭედი წარწერით „კანცელარია“. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინებისა და კერძო საჩივრის ავტორის თანამშრომელთა დაუმონშებელი სიის ურთიერთშედარების შედეგად, პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მხარემ ვერ გააქარწყლა 2015 წლის 11 სექტემბრს დაუსწრებელი გადაწყვეტილების უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარების ფაქტი, რაც კერძო საჩივრის დაკმაყოფილებას გამორიცხავს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ „ბ. ს. ბ. გ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძღლობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## 7. გადაცევეფილების აღსრულების უზრუნველყოფა

### განხილვა

№ას-444-423-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაეური

დავის საგანი: ვალდებულების არარსებობის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

#### 1. სასარჩელო მოთხოვნა:

გ. ქ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კერძო საჩივრის ავტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „პ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა შემდეგი: 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღიარებული იქნას მოსარჩელის ძირითადი ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობა მოპასუხის წინაშე; აღიარებული იქნას ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულების არარსებობა 2009 წელს მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლოში განხილვის მანძილზე დარიცხულის გათვალისწინებით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის 1 ლარის; სახელმწიფო ბაჟის გადახდისას დამატებით საკომისიოს სახით გადახდილი 1 ლარის; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით გაფორმებისას განეული ხარჯის – 12 ლარის; წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის – 1 ლარის; საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯის – 5,40 ლარის, ასევე, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქვევა.

#### 2. მოპასუხის პოზიცია:

მარტივი შედაცევებით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკ-

მაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღიარებულ იქნა მოსარჩელის ძირითადი ფულადი ვალდებულების – 504,82 ლარის არარსებობა მოპასუხის წინაშე 2009 წლის მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე; აღიარებულ იქნა ასევე ძირითადი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული, პროგრესირებადი დენადი პროცენტის, ჯარიმების, მომსახურების თვიური საკომისიოს ვალდებულების არარსებობა, 2009 წლის მხარეთა შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მათი დარიცხვიდან, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქმის სასამართლოში განხილვის მანძილზე დარიცხულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის – 1 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო პროცესის ხარჯების ნაწილში წარდგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის – 1 ლარის; საფოსტო მომსახურების ხარჯის – 5,40 ლარის; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო დამონიტირების ხარჯის – 12 ლარის; სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საკომისიო მომსახურების გამო განეული ხარჯის – 1 ლარის; სარჩელზე წინასწარ გადახდილი ბაჟის – 50 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე.

### **4. აპელაციის/მონიცალმდეგე მხარის მოთხოვნა:**

4.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4.2. სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მოსარჩელემ და სასამართლო ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში (69,40 ლარი) ითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა, კერძოდ, მოპასუხისათვის მის საბანკო ანგარიშზე ფულადი ერთეულის 69,40 ლარის ოდენობით შემცირების აკრძალვა.

### **5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილები:**

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2015 წლის 9 მარტის განჩინებით გ. ქ-ის შუამ-დგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

5.2. ამავე სასამართლოს 2015 წლის 24 აპრილის განჩინებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და განსახილველად გად-მოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

#### **6. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამარ-თლებრივი დასაბუთება:**

6.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-ის 2014 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ იყო.

6.2. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-ტის 2015 წლის 9 მარტის განჩინებით გ. ქ-ის წარმომადგენლის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ზემოაღნიშნულ განჩინებაზე 2015 წლის 16 მარტის სასამართლოში საჩივარი წარმოადგინა გ. ქ-ის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება.

6.3. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძ-ვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულე-ბელი დარჩება ან მნიშვნელოვნად გაძნელდება აღსრულება უზ-რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. ამასთან, ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა ყოველთვის ქმნის ვალდებულების მომავალშიც შეუსრულებლობის პრეზუმციას, სწორედ უფლებათა და კანონით დაცულ თავისუფლებათა ამ-გვარი ხელყოფისგან იცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სა-სამართლოსთვის მიმართვის უფლება. სარჩელის უზრუნველ-ყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით და-ამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყე-ნების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარე-ობს არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. საჩივრის ავტორის წარ-მომადგენელმა მიუთითა, რომ უმეტესწილად, სასამართლო-სათვის მიმართვის/ხელმისაწვდომობის უფლების გამოყენება – სარჩელის წარდგენა თავისთავად არ იწვევს მოსარჩელის უფ-

ლების დაცვას და აუცილებელი ხდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დასაცავად, ვინაიდან ასეთმა მიმართვამ შესაძლოა განხილვა ჰპოვოს 3 სასამართლო ინსტანციაში და საქმეზე ხელშესახები შედეგები დადგეს პევრად მნიშვნელოვანი დროის გასვლის, ხშირად წლების შემდგომ, ხოლო დამდგარ სასამართლო შედეგს შესაძლოა დახვდეს დავის პერიოდში შეცვლილი სამართლებრივი მდგომარეობა და გადაწყვეტილება ველარ აღსრულდეს. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითებით სააპელაციო პალატის მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში დასახელებული გარემოებები არაა სტაბილური კომერციული იურიდიული პირებისთვის, მათ შორის, კომერციული ბანკისთვის და ისინი მუდმივად იცვლებიან. სწორედ მოცემული პერიოდისთვის მიღევად რეჟიმში მოპასუხის მუშაობის შედეგად მიწურვის პირასა მისი ყოველგვარი ქონება და სასამართლოსეული გარანტიებიც კი ვერ უზრუნველყოფს მიკუთვნებულ თანხებზე აღსრულებას. საჩივრის ავტორის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ საპელაციო პალატაში წარდგენილ შუამდგომლობით მოთხოვნილ იქნა არა გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, არამედ სარჩელის უზრუნველყოფა, სასამართლომ კი, მსჯელობა ააგო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხზე.

6.4. სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. ქ-ის წარმომადგენლის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში წარდგენილ იქნა სარჩელზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას წარმოადგენდა.

6.5. გადაწყვეტილებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლო ერთი და იგივე ხორმებით დადგენილი წესებით ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა ორივე შემთხვევაში იმავე კრიტერიუმით ფასდება, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლისა.

6.6. პალატამ მიუთითა ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების მიზანია სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ გადაწყვეტი-

ლების აღსრულების ღონისძიება იქნას გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და ასევე მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებაც განმცხადებულს მიზანშენონილად და გამართლებულად მიაჩნია. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საპოლოოდ შეუძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

6.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 198-ე მუხლების თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე. კანონით დაცულ თავისუფლებათა ხელყოფისაგან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იცავს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და ასევე ყველა ის ბერკეტი, რასაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზე დაყრდნობითაც, სასამართლო აღნიშნული ბერკეტების უმოქმედობასა და უუნარობაში დარწმუნდება, სანინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, ყველა სარჩელი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წინასწარ, რითაც აზრი დაეკარგება გადაწყვეტილების აღსრულების კანონისმიერი მექანიზმების არსებობას.

6.8. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი უთითებდა, რომ სს „პ-ს“ დაწყებული აქვს მის საკუთრებაში არსებული ფულადი ერთეულების ფორსირებულად შემცირების პროცესი და თუ არ მოხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, გართულდება ან შეუძლებელი გახდება გ. ქ-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

6.9. სასამართლოს განმარტებით, დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულე-

ბელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის – მოსარჩელისათვის საკუთარი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისძიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

6.10. განცხადებასა და საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება მონინააღმდეგე მხარის ქონების მიწურვის პირას ყოფნასთან დაკავშირებით, პალატის დასკვნით, საქმის მასალებიდან არ იყვეთებოდა. მონინააღმდეგე მხარე(მოპასუხე) სს „პ-ი“ არის კომერციული ბანკი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირია და მის საქმიანობას განეკუთვნება: პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა; სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორმეტირების ჩათვლით; საუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქალალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა; ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება; გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (სა-

გადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით); უპროცენტო საბანკო მომსახურება; საშუამავლო მომსახურება საფრანსო ბაზარზე; კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება; ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქალალდების ჩათვლით; საკრედიტო-საცნობარო მომსახურება; „ფასიანი ქალალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა; ქონების იჯარით გაცემა, საგადასახადო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშ-სწორების აგენტის ფუნქციების შესრულება. პალატის დასკვნით, მოპასუხის ფულადი რესურსების შემცირების შემთხვევაშიც კი, გ. ქ-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის 69.40 ლარის გათვალისწინებით გაძნელების საფრთხე არ ემუქრება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება, საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ქმნის მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგინდლი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.2. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს შეფასებებს და მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველ-

ყოფის მოთხოვნას წარმოადგენს, რამდენადაც სამართალწარმოების პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, როდესაც გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ გარკვეული თანხის ანაზღაურება, ამასთანავე, განმცხადებელი სწორედ ამ თანხის რეალურად მიღებსს მიზნით მოითხოვს ქმედითი ღონისძიების გატარებას, სამართლებრივი დაცვის ობიექტი მიღებული გადაწყვეტილება და არა სარჩელია.

1.3. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის კანონიერების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ამ ღონისძიების მართებულობის ფარგლებში დადგენილ რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებაზე:

1.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი აღიარებითი მოთხოვნის ნაწილში, ამასთანავე, მოპასუხეს პროცესის ხარჯის სახით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა გარკვეული თანხის – 69,40 ლარის გადახდა.

1.5. განმტხადებელმა მოითხოვა ამ თანხის საკუთარი ანგარიშიდან გატანის აკრძალვის მოპასუხისათვის დავალდებულება.

1.6. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებას ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩინა მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაემაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილე-

ბის გამოტანაზე.

1.7. დასახელებულ ნორმაში, მართალია, საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმასჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

1.8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება.

1.9. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს კომერციული ბანკის ფინანსური რესურსების კანონით რეგლამენტირებული ოდენობის თაობაზე და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გონივრულ ფარგლებში შეაფასა ბანკის გადამხდელუნარიანობა, მისი მატერიალური სახსრები, პოტენციალი, გაისტუმროს კრედიტორული ვალდებულებები და მართებულად დაასკვნა, რომ თუნდაც განმცხადებლის არგუმენტების გაზიარების

ბის შემთხვევაში, მისი უფლება, მიიღოს ბანკისაგან 69,40 ლარი რაიმე საფრთხის ქვეშ არ დამდგარა, მოგებული თანხის ოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მცდელობა, გამოყენებულ იქნას უზრუნველყოფის ღონისძიება, არ ემსახურება ამ ღონისძიებათა გამოყენების რეალურ მიზანს და არ გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შინაარსიდან.

1.10. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ქ-ის საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ადგინდეთ:**

1. გ. ქ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 მარტისა და 24 აპრილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 8. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგი

### განვითარება

№ას-472-446-2014

27 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

#### აღნერილობითი ნაწილი:

გ. გ-ამ და დ. კ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. ბ-ის მიმართ და მოითხოვეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ს-ში მოსარჩელების თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთის საზღვარზე ნ. ბ-ის მიერ აგებული ღობის მოპასუხის მიერ, მისივე ხარჯებით საკადასტრო გემის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გადატანა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ასა და დ. კ-ის სარჩელი ნ. ბ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეგალა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ს-ში (გ-ში) გ. გ-ასა და დ. კ-ის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარში აგებული ღობის საკუთარი ხარჯებით აღება (დემონტაჟი) და მოსარჩელებისათვის 9,486 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი ნ. ბ-ე და მისი წარმომადგენელი, რის გამოც მოწინააღმდეგი მხარის წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის დაკ-

მაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილად ცნო, რომ ნ. ბ-ის წარმომადგენელ რ. ხ-ას, 2014 წლის 13 მარტის სასამართლო მთავარი სხდომის შესახებ სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა 2014 წლის 6 თებერვალს, მასვე განემარტა უწყების შინაარსი და გამოუცხადებლობის შედეგები.

სააპელაციო სასამართლოში აპელანტის შუამდგომლობა სხდომაზე გამოუცხადებლობისა და საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე, არ ყოფილა წარდგენილი, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ სხდომაზე აპელანტისა და მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით იყო გამოწვეული.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლით და იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, ამასთან, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, მონინაალმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საფუძვლიანად მიიჩნია.

ამავე პალატის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით აპელანტის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ მისი გამოტანის წინაპირობებზე, საჩივრის ავტორი კი, მის გაუქმებას მოითხოვდა საპატიო მიზეზის არსებობის მოტივით, კერძოდ, ასხელებდა სხვა სასამართლო სხდომაზე მონაბილეობის მიღებას.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული წირმა განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინაალმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სა-

სამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზედაც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე და ამ გარემოების წინასწარ სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობაზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიო იყო მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს მთვარ სხდომაზე გამოუცხადებლობა განაპირობა მის მიერ სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობამ. სასამართლოს განმარტებით, ცხადია, საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი იყო გარემოება, თუ რატომ არ შეეძლო წარმომადგენელს აღნიშნული მიზეზის არსებობის თაობაზე წინასწარ ეცნობებინა სასამართლოსათვის.

პალატამ მიუთითა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ ადვოკატი ერთსა და იმავე თარიღისათვის, სხვადასხვა სასამართლო სხდომაზე წარმომადგენლიგისას ვერ განახორციელებდა, ამასთან, იმის არჩევის შესაძლებლობა, თუ რომელ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდებოდა იგი, თავად ამ პირის არჩევანს წარმოადგენდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა სასამართლოსათვის გამოუცხადებლობის თაობაზე წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას.

საჩივრის განხილვისას მითითებული არგუმენტი, რომ წარმომადგენელმა ვერ შეძლო სასამართლოს გაფრთხილება გამოუცხადებლობის თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მ, მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე, 241-ე მუხლებზე და განმარტა, რომ წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა იმ მოტივით, რომ სააპელაციო პალატაში დანიშნული სხდომის დღეს პროცესის დაწ-

ყებამდე 5 წუთით ადრე გახდა ცნობილი მისთვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სხვა პროცესის დაწყების თაობაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწესთან დაკავშირებას მხარის წარმომადგენელი ვერ შეძლებდა იმ საფუძვლით, რომ მას არ ჰქონდა თანაშემწის ტელეფონის ნომერი და სხვა საკონტაქტო მონაცემები, შესაბამისად, პალატის განმარტება, რომ საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე მხარემ სასამართლოს წინასწარ არ აცნობა და ამით გამოხატა უპატივცემულობა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

აპელანტის წარმომადგენელმა სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა მის მიერ სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების ფაქტი, თუმცა სასამართლო აღნიშნული არასწორად არ გაიზიარა, რასაც შედეგად არასწორი განჩინების გამოტანა მოჰყვა.

სააპელაციო პალატამ საჩივარში მითითებული გარემოება – წარმომადგენლის სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა დადგენილად ცნო, თუმცა არასწორად არ დააკმაყოფილა საჩივარი, რის გამოც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა 6. ბ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამონმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება და საკასაციო საჩივრით სადაცოდ არაა გამხდარი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 6. ბ-ის უფლებებს როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში იცავდა ადვოკატი რ. ხ-ა;

უდავოა, რომ 6. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განხილვა 2014

წლის 6 იანვრის განჩინებით დაინიშნა ამავე წლის 6 თებერვალს, 12:30 საათზე;

სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე სასა-მართლო უწყება 2014 წლის 9 იანვარს პირადად ჩაიბარა 6. ბ-მ, ხოლო მის წარმომადგენელს საფოსტო შეტყობინება ჩაბარდა 2014 წლის 11 იანვარს;

სააპელაციო პალატის 2014 წლის 6 თებერვლის სხდომა გა-დაიდო 12 მარტს, რის შესახებაც მხარეებს ჩამოერთვათ ხელ-წერილი;

საქმეში წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2014 წლის 12 მარტს დანიშნული სასამართლო სხდომა გადაიდო ამავე წლის 13 მარტს, 11:00 საათზე, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს. აპელანტის წარმომადგენლის სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სატელეფო-ნო შეტყობინების გზით გაფრთხილების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია საქმის მასალებში;

2014 წლის 13 მარტს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც აპელანტი და არც მისი წარმომადგენელი, ამასთან, ვინაიდან სასამართლოში არ იყო წარდგენილი მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხა-რე შუამდგომლობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-ტანის თაობაზე, სააპელაციო პალატამ შუამდგომლობა დასა-ბუთებულად მიიჩნია და დაკავშირდებოდა, შესაბამისად, დადგე-ნილად ცნო, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტი-ლების გამოტანის დამაბრკოლებელი წინაპირობები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილ სა-ჩივარს ერთვის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამარ-თლის თანაშემწის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც 2014 წლის 13 მარტს, 11:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე მონა-ნილებას იღებდა ადვოკატი რ. ხ-ა, ხოლო საჩივრის განხილვის ეტაპზე წარდგენილი ცნობის თანახმად, ზემოთ მითითებული სხდომა დასრულდა 12:45 საათზე.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გა-დაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურად-ღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელა-ციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგული-რებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედე-

გებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინაალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ენინაალმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა 387-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ნინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი; ბ) გამოცხადებული მოწინაალმდეგე მხარე უნდა შეუძლიერებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკავშირებული უარის თქმის თაობაზე. ამ გარემოებათა ერთობლივად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ ნინაპირობას, თუმცა ზემოაღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, შეამონმოს, ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის შემდეგი: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომელებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმვრის ნინაპირობები (სსსკ 233.1 მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, დავას არ იწვევს საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობა.

როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე წარდგენილი საჩივრის, ისე საკასაციო საჩივრის შესწავლით უდავოდ დასტურდება, რომ მხარე მის გაუქმებას მოითხოვს საპატიო მიზეზის არსებობით, კერძოდ, მიიჩნევს, რომ სხვა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მიღება გამორიცხავდა წარმომადგენლის გამოცხადების შესაძლებლობას საპელაციო სასამართლოში, ხოლო საკონტაქტო მონაცემების არარსებობის გამო, რ. ხ-ა სააპელაციო სასამართლოს წინასწარ

ვერ აცნობებდა გამოუცხადებლობის ფაქტს. საკასაციო პრე-ტენზიაში მხარემ დამატებით მიუთითა, რომ ქუთაისის საქა-ლაქო სასამართლოში არსებული სხდომის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა სხდომის დაწყებამდე ხუთით წუთით ადრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიღებული დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილების გაუქმების მარეგულირებელ ნორმსა ნარ-მოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გა-უქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გა-მოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომ-ლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასა-მართლოსათვის.

თავის მხრივ, იმას, თუ რა განიხილება სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, განსაზ-ღვრავს ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი. რიგ შემ-თხვევაში, ნორმა ადგენს საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს და ასევე განსაზღვრავს სათანადო მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნულ ჩამონათვალს განეკუთვნება: ავად-მყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთ-რებული ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისგან დამოუ-კიდებელი მიზნებით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცეს-ზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

საკასაციო პალატა იზიარებს სასაპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას მხა-რე (ადვოკატი) შეიძლება მონაწილეობდეს სხვა სასამართლო-ში დანიშნულ სხდომაზე და ეს არ უნდა იქნას მიჩნეული მისი არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობად, თუმცა გამოუცხა-დებელმა მხარემ უტყუარად უნდა დაამტკიცოს ის ფაქტი, რომ მას არ შეეძლო წინასწარ ეცნობებინა საპატიო მიზეზის შესა-ხებ იმ სასამართლოსათვის, რომელშიც ვერ ახერხებდა გამოც-ხადებას.

პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეთა შეჯიბრებითობაზეა დამყარებული და 102-ე მუხლი თითოეულ მხარეს უდგენს ვალდებულებას, სათანადო მტკი-ცებულებით დაასაბუთოს მოთხოვნა, თავის მხრივ, სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულია მხა-რის აბსოლუტური შესაძლებლობა, თავადვე განსაზღვროს სა-დაგო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და წარუდგინოს ისინი სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში,

ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დამტკიცებას საჭიროებენ, მხოლოდ მხარის განმარტებით ვერ იქნება დადგენილად მიჩნეული.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს შემდეგს: მხარის მიერ წარდგენილი ცნობებით დასტურდება მხოლოდ ის გარემოება, რომ რ. ხ-ა ნამდვილად მონაწილეობდა 2014 წლის 13 მარტს 11:00 საათზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე. ის გარემოება, რომ მას საქალაქო სასამართლოში დანიშნული სხდომის თაობაზე ეცნობა მის დაწყებამდე 5 წუთით ადრე, ასევე ის, რომ საკუნტაქტო მონაცემების არარსებობის გამო წარმომადგენელს არ შეეძლო გამოუცხადებლობის თაობაზე ეცნობებინა სასამართლოსათვის, მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების მსჯელობას, რომ აპელანტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, თავის მხრივ, მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო წარდგენილ საჩივარსა და საკასაციო საჩივარში არ მიუთითებია იმგვარი დასაბუთებული პრეტენზია, რაც ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2014 წლის 10 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

### განვითარება

№ას-720-685-2015

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაც-  
დურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 1 მარტს შპს „ჯ-ისა“ (შემდეგში – მოპასუხე, დამსაქმებელი ან ტელეკომპანია) და ე. კ-ას (შემდეგში – მოსარჩელე, დასაქმებული ან კასატორი) შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით, 2013 წლის 1 ივნისამდე.
2. იმავე მხარეებს შორის შრომითი ხელშეკრულება კვლავ გაფორმდა 2013 წლის 1 აგვისტოს იმავე წლის 31 დეკემბრამდე.
3. დასაქმებულის სახელფასო განაკვეთი შეადგენდა 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.
4. 2014 წლის 16 იანვრის №26 ცნობაში მითითებულია, რომ იანვარში, ტელეკომპანიაში რეორგანიზაციის გამო, დაიხურა გადაცემა „მ-ი“, რის გამოც შრომითი ხელშეკრულება შეწყდა დასაქმებულთან.
5. დასაქმებულმა 2014 წლის 17 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას დამსაქმებლის წინააღმდეგ, მოითხოვა სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.
6. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, ტელეკომპანიას დაეკისრა კომპენსაციის 6000 (ექვსი ათასი) ლარის გადახდა, ხოლო სამსახურში აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა სარჩელი.
7. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

8. სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში – შრომის კოდექსი) პირველი მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ ანესრიგებს ეს კანონი, ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) ნორმებით.

9. სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ნარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება ნარმოშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

10. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზით, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული, სწორედ ეს პირები არიან. დადგრენილია, რომ მხარეთა შორის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ნარმოშვა (შრომის კოდექსის მე-6 მუხლი).

11. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია: ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.

12. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, დამსაქმებლის მიერ, ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამსაქმებელი უფლებამოსილია, არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული ნინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია, არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურება, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

13. საქმეში ნარმოდგენილი 2014 წლის 16 იანვრის ცნობით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ტელეკომპანიაში, რეორგანიზაციის გამო, დასაქმებულთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი).

14. სასამართლოს მითითებით, საქმის განხილვის დროს სარჩელში მოპასუხე ტელეკომპანიამ დაცვის სტრატეგია ააგო არა რეორგანიზაციის გამო მუშავის გათავისუფლებაზე, არამედ – ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მის გათავისუფლებაზე.

15. სასამართლოს მითითებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს რეორგანიზაციის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტას. შესაბამისად, მოპასუხეს, არანაკლებ სამი კალენდარული დღით ადრე, უნდა გაეფრთხილებინა დასაქმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ამასთან, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ წერილობითი შეტყობინებით გააფრთხილონ. აღნიშნული მუხლით დადგენილია კომპენსაციის ოდენობაც, რომელიც ორი თვის შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

16. საქმის მასალებში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ ორგანიზაციაში განხორციელდა რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ უმნიშვნელო ცვლილებები, რაც ყველა სანარმოში შეიძლება ხდებოდეს, იწვევს კადრების შემცირებას. რეორგანიზაცია არ არის, თუ ორგანიზაცია კვლავ იმავე საქმიანობას აგრძელებს, რასაც შემცირებული თანამშრომლის მეშვეობით ასრულებდა, მაგრამ მას გადაარქვა სახელი, უმნიშვნელოდ შეცვალა სტრუქტურა ან განახორციელა არაარსებითი ცვლილებები. რეორგანიზაცია უნდა საბუთდებოდეს სანარმოს არსებითი საჭიროებით, რომ ამის გარეშე სანარმო შესაძლოა გაკოტრდეს, ვალებში ჩავარდეს, ან მიიღოს მნიშვნელოვანი ზიანი. რეორგანიზაცია გამართებულია მმართველი რგოლის მიერ მიღებული ინოვაციური სტრუქტურის დაგეგმვით, ახალი გამოწვევების, სანარმოს განახლების განზრახვის შემთხვევაში. ასეთ დროს მოპასუხებ (დამსაქმებელმა) სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს, რომ არსებობდა სერიოზული, გათვლილი და დასაბუთებული გეგმა, რაც სანარმოს რეორგანიზაციის აუცილებლობას ადასტურებდა. სასამართლო ვერ ჩამოთვლის ყველა შესაძლო შემთხვევას, რადგან შეუძლებელია ჩამონათვალი ამომწურავად მიეთითოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოპასუხებ რეორგანიზაციის საჭიროება მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დაასაბუთოს, განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცებულებები არ იყო წარდგენილი, რაც დაადასტურებდა ტელეკომპანიაში რეორგანიზაციის ჩატარებასა და მის საფუძვლიანობას.

17. დამსაქმებელმა სასამართლო განხილვისას მიუთითა, რომ გარდა რეორგანიზაციისა, დასაქმებული გათავისუფლდა

შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. უფრო მეტიც, მოსარჩელის ძირითადი გათავისუფლების მიზეზი სწორედ აღნიშნული საფუძველი გახდა.

18. სასამართლოს მითითებით, შრომის კოდექსი ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული საფუძვლით, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილდა და გამოკვლეულ იქნა დასაქმებულის პოზიცია, რომ მას დროულად არ ეცნობა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რის გამოც იგი გაგრძელებულად იქნა მიჩნეული. სადავო ნორმა არის შრომითი ხელშეკრულების 4.3. პუნქტი, კერძოდ: „იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 2 კვირით ადრე არ გამოთქვა-მენ სურვილს, მისი შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო იმავე პერიოდულობით, რაც მითითებულია 4.1. და 4.2. პუნქტებში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან“. ამავე ხელშეკრულების 4.1. და 4.2. პუნქტებით დადგენილია: „წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელ-მოწერის მომენტიდან. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“. სასამართლომ მიიჩნია, აღნიშნული ნორმები უნდა განმარტებულიყო იმგვარად, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, 2 კვირით ადრე უნდა დაფიქსირებინა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

19. საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებებით არ დადგინდა, რომ დასაქმებულს ინდივიდუალურად აცნობა დამსაქმებელმა მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურის შენობის გარკვეულ სივრცეში განცხადების გავრცელება, მისი საინფორმაციო დაფაზე გაკვრა, არ ადასტურებს, რომ ყველა დასაქმებული გაეცნო განცხადებას. ამასთან ცნობილია, რომ დამსაქმებლის ადმინისტრაციის შენობა არ იყო დასაქმებულის სამუშაო ადგილი და ეს უკანასკნელი არ იყო ვალდებული, სამუშაო სივრცის გარეთ არსებულ საინფორმაციო დაფაზე წაეკითხა განცხადებები.

20. სასამართლო ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დამსაქმებელი არის სოლიდური შესაძლებლობების იურიდიული პირი მრავალრიცხვოვანი აპარატით. მის განკარგულებაში არიან სხვადასხვა სპეციალობის ადამიანები და მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობისას

არასრულყოფილი საქმისწარმოება გამოიწვევდა დავას. განსახილველ შემთხვევაში, კანონის საფუძველზე, დასაქმებული არ გაუფრთხილებიათ პირადად, გასაგებად, სრულყოფილად და არაორაზროვნად, რაც მას შეუქმნიდა რწმენას, რომ დამსაქმებელს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტა, ასევე, დაუდასტურებელია ფაქტი, რომ დასაქმებულმა სოციალური ქსელის „ფეისბუკ“ მეშვეობით მიიღო შეტყობინება. ამის დასადასტურებლად დამსაქმებელს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები.

21. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ვერ უზრუნველყო დასაქმებულის დროული გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, ითვლება, რომ ხელშეკრულება კვლავ გაგრძელდა, თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტაზე ტელეკომპანიის გადაწყვეტილებამ გამოიწვია დასაქმებულის უფლებების შეღახვა. სასამართლომ, ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, დასკვნა, რომ დასაქმებულის გათავისუფლება უკანონო იყო.

22. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2014 წლის 22 ოქტომბრის მდგომარეობით შეუძლებელი იყო დასაქმებულის იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომ „შრომითი ხელშეკრულება ჩაითვალის ავტომატურად გაგრძელებულად 2014 წლის 31 მაისამდე და მოსარჩელე ... აღდგენილი იქნეს“ ტელეკომპანიაში პროდიუსერის თანამდებობაზე.

23. სასამართლომ, თავისი დისკრეციის ფარგლებში, იმსჯელა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის დანაწესით, კერძოდ, მე-8 ნაწილის თანახმად, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია.

24. განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებელს დასაქმებულის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის – 6000 ლარის გადახდა.

25. დამსაქმებელმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

26. ტელეკომპანიამ სააპელაციო საჩივრის შემდეგ საფუძ-

ვლებზე მიუთითა:

26.1. დამსაქმებელმა, შრომითი ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, დირექტორის 2013 წლის 3 დეკემბრის №349 ბრძანებით 28 დღით ადრე გამოხატა თავისი ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ბრძანება, გამოცემის დღესვე, ცნობილი გახდა დასაქმებულისათვის კომპანიაში აპრობირებული ფორმით, ყველა ოთახში საინფორმაციო დაფაზე გამოკვრითა და სოციალურ ქსელში, „ფეისბუკის“ დახურულ გვერდზე, გამოქვეყნებით, რომელსაც მხოლოდ თანამშრომლები იყენებდნენ.

26.2. დასაქმებულმა საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომ მისთვის უცნობი იყო გათავისუფლების შესახებ, ვერ წარმოადგინა, მის ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა მოწმის განმარტება. დასახელებული მოწმე იყო კომპანიის თანამშრომელი, რომელიც დასაქმებულის მეგობარი იყო და მასთანაც, ასევე, ვადის გასვლის გამო, შეწყდა ხელშეკრულება, რაც ეჭეს იწვევდა მის მიუკერძოებლობაში და მისი განმარტება არ შეიძლებოდა სადაც გარემოების დადგენის საფუძველი ყოფილიყო.

26.3. საწყობში დასაქმებულის მფლობელობაში არსებული ნივთის მიღება-ჩაბარების აქტი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებდა, რომ დასაქმებული ინფორმირებული იყო 03.12.2013 წლის №349 ბრძანების შესახებ. ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი იყო დასაქმებულის თანამდებობრივად დაქვემდებარებული თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ მისი დავალებების გათვალისწინებით მოქმედებდა და, დასაქმებულის ნებართვის გარეშე, არ შეეძლო, თვითნებურად ჩაებარებინა სამსახურში მისთვის გადაცემული კომპიუტერული ტექნიკა. ეს ფაქტი დასაქმებულმაც დადასტურა, ხოლო ამის საპირისპიროდ, დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

26.4. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ დასაქმებულის სამუშაო ადგილი არ იყო დამსაქმებლის ადმინისტრაციის შენობა და მას არ ევალებოდა სამუშაო სივრცის გარეთ არსებულ საინფორმაციო დაფაზე წაეკითხა განცხადებები. მიუხედავად იმისა, რომ არ მუშაობდა ტელეკომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში, სასამართლოს მოსაზრებით, ეს ფაქტი, დასაქმებული არ აძლევდა იმაზე აპელირების საშუალებას, რომ არ იყო ვალდებული, გასცნობოდა კომპანიის განცხადებას, რადგან დამსაქმებლის საქმიანობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომლები სხვადასხვა ადგილზე არიან განთავსებული, მართალია, ეს ადგილები ერთ სივრცეში არაა, თუმცა ერთ მთლიან „ორგანიზმს“ შეადგენს, ტელეკომპანიაში იგი-

ვე წესები და პირობები ვრცელდება, როგორც ადმინისტრაციულ შენობაში, დამსაქმებელი მათ მუშაობასა და გამართულობაზე იმავე ხარისხით ზრუნავს, როგორც ადმინისტრაციულ შენობაზე.

26.5. მოწმე 6. ბ-ის ჩვენებით დადასტურებულია, რომ დასაქმებული ყოველ პარასკევს ესწრებოდა ადმინისტრაციულ შენობაში სათათბირო სხდომებს და, ადმინისტრაციული შენობის ოთახების განლაგების სტრუქტურიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო, მას მხედველობიდან გამორჩენოდა საინფორმაციო დაფაზე გამოკრული განცხადება.

27. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 იანვრის განჩინებით მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დასაქმებულის მიერ სააპელაციო შესაგებლის, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო.

28. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცეს კოდექსის (შემდეგში სსს) 372-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქმეთა განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლოებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუ სპეციალური წესებით, სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო ინსტანციით წარმოებისათვის დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ წესს, შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესაგებლის წარდგენის ვალდებულების შესახებ სსს-ის 201-ე მუხლი, რომლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი აპელანტის მოწინააღმდეგე შხარის მიერ, სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, თავისი პოზიციის გამოხატვის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შესრულებისათვის) ანესებს მის წინააღმდეგ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, ზეპირი მოსმენის გარეშე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. იმავე მუხლის თანახმად, ამ დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ სსს-ის XVI თავში მოცემული წესებით. დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსიდან გამომდინარე, სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო შესაგებლის შეუტანლობა უნდა გათანაბრებულიყო პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობასთან.

29. სასამართლომ აღნიშნა, დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილების შესახებ, სსსკ-ის 2017-ე და 232<sup>1</sup>-ე მუხლებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა ყოფილიყო შემდეგი საფუძვლები: 1) აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს უნდა ჰქონდა ჩაბარებული სააპელაციო საჩივრის ასლი და გაეფრთხილებინათ სააპელაციო შესაგებლის წარდგენის ვალდებულებს ვადაში შეუსრულებლობაზე; 2) აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად უნდა ამართლებდეს სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოები.

30. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ დასაქმებულს სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა 2014 წლის 24 დეკემბერს, გზავნილის ჩაბარება დადასტურებული იყო მამის, დ. კას, ხელმოწერით. სსსკ-ის 70-ე მუხლის შინაარსის შესაბამისად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგელისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათვანს, ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. 74-ე მუხლის თანახმად, უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

31. ასევე დადგინდა, რომ დასაქმებული, გზავნილზე დართული მიმართვით, გაფრთხილებული იყო, სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, შესაგებლის სასამართლოში წარუდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობის შესახებ.

32. სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაქმებულს სააპელაციო შესაგებლის სასამართლოში წარდგენის 7-დღიანი ვადა ამოენურა 2014 წლის 29 დეკემბერს; მან შესაგებელი დაგვიანებით, სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, 2015 წლის 8 იანვარს წარადგინა.

33. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ არც დასაქმებულს და არც მის წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ მიუმართავთ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის გაგრძელების თაობაზე სსსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად. სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დაიიშნული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო შესაგებ-

ლის წარდგენის ვადის ამონურვით, მიიღება ამ ვადაში შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე მსჯელობის წინაპირობა.

34. სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დადგენილად უნდა მიჩნეულიყო აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები, რომ დამსაქმებელმა უზრუნველყო დასაქმებულის დროული გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

35. ასეთ პირობებში სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წინაპირობები დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის დასაქმაყოფილებლად.

36. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოხმობილი ნორმები და მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა დამსაქმებლის მოთხოვნას სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილებაზე, რის გამოც სსსკ-ის 201-ე და 232<sup>1</sup>-ე მუხლების შესაბამისად, 2015 წლის 15 იანვარს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და სრულად დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრი, შესაბამისად, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაქმაყოფილებულ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, დასაქმებულს უარი ეთქვა დამსაქმებლისაგან 6000 ლარის კომპენსაციის მიღებაზე.

37. დასაქმებულმა 2015 წლის 24 თებერვალს საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, იმავე სასამართლოს 15.01.2015 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განხლების მოთხოვნით.

38. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ განსახილველ საქმეში სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 232<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბუნების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე დაყრდნობით, დასაქმებულმა განახორციელა მთელი რიგი ლონისძიებები, რათა სასამართლო დაერწმუნებინა სააპელაციო შესაგებლის საპატიო მიზეზით წარუდგენლობაში. დასაქმებულის განმარტებით, სასამართლო გზავნილი ჩაბარდა მის მამას (იხ. ამ განჩინების 30-ე პუნქტი), რომელმაც გზავნილი გადასცა შეიღლა. დასაქმებულის განმარტებით, მან ჩაიხედა დოკუმენტებში და ნახა სასამართლო უწყება, რომლითაც სხდომის დღედ განსაზღვრული იყო 15.01.2015 წელი. ამ

დროს იგი იყო ავად, მაღალი სიცხე ჰქონდა და, ამის გამო, დოკუმენტებს დეტალურად არ გასცნობია. დასაქმებულის განმარტებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მის მიერ დოკუმენტების დეტალურად გაცნობის შემთხვევაშიც კი, გაუგებარი დარჩებოდა სააპელაციო შესაგებლის რაობა და მისი წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები, ვინაიდან იგი არ არის სამართლის მცოდნე და ვერ ერკვევა სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში. დასაქმებულმა იფიქრა, რომ 15 იანვრამდე დოკუმენტებს მიაწვდიდა წარმომადგენელს. მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ საპროცესო მოქმედებისათვის გზავნილში უფრო მოკლე ვადა იყო განსაზღვრული. დასაქმებულმა თავის წარმომადგენელს გზავნილი გადასცა 2015 წლის 6 იანვარს, რომელმაც პირველივე შესაძლებლობისთანავე, 8 იანვარს წარადგინა შესაგებელი სასამართლოში. ამდენად, სრულიად გაუმართლებელი იყო, რომ მხარე დასჯილიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, იმის გამო, რომ მან არ იცოდა საპროცესო სამართლწარმოების წესები.

39. სააპელაციო სასამართლო დასაქმებულის საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებები მოსმენის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკავშირდებულიყო და მიუთითა სსსკ-ის 241-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც, მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლისათვის.

40. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დასაქმებულს სააპელაციო სასამართლოს გზავნილი ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით და მას შეეძლო, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, წარედგინა სააპელაციო შესაგებელი, რაც არ გაუკეთებია და არც წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. დასაქმებულმა სააპელაციო შესაგებელი სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ამონურვის შემდეგ წარადგინა, რაც მისი საჩივრის დაკავშირებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინებით, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

41. დასაქმებულმა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იმავე სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინება, დასაქმებულის საჩივ-

რის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მათი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

41.1 არც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში და არც გასაჩივრებულ განჩინებაში (შემდეგში – გასაჩივრებული სასამართლო აქტები) სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რატომ არ მიიჩნია სასამართლომ დასაქმებულის მიერ მითითებული მიზეზი, საპარტელაციო შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევის საპატიო მიზეზად.

41.2 კანონი არ განმარტავს საპატიო მიზეზის ცნებას, შესაბამისად, სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რას მიიჩნევს, ან რას არ მიიჩნევს ასეთად. გასაჩივრებული აქტებით სასამართლომ მხოლოდ ის დაადგინა, რომ შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზი არ იყო საპატიო, ხოლო, თუ რატომ არ იყო ეს მიზეზი საპატიო, მხარეს ამაზე პასუხი არც კანონიდან და არც სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მიუღია. საპატიო მიზეზის განსამარტავად სასამართლოს არც დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე მიუთითებია.

41.3 გასაჩივრებული სასამართლო აქტებით არაა განმარტებული, როგორ უნდა ეცნობებინა მხარეს სასამართლოსათვის საპარტელაციო შესაგებლის ვადის დაგვიანებით შეტანის შესახებ, თუ მას თავადაც არ შეუმჩნევია ასეთი ვადის არსებობა.

41.4 გასაჩივრებული სასამართლო აქტებით არაა განმარტებული, თუ რა ჩაითვლებოდა შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდებად. სასამართლო რას მიიჩნევს ასეთ ცნობად, სასამართლო მხოლოდ აღნიშნავს, რომ ასეთი ცნობა არ მიუღია.

41.5 კანონის დანაწესი, რომ მხარეს არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის საპატიო მიზეზის შესახებ, გულისხმობს, რომ მხარეს ნინასწარ არ შეეძლო, ეცნობებინა სასამართლოსათვის აღნიშნულის თაობაზე. კანონით არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „თავისი დრო“, თუმცა, ნორმის განმარტებით, ვინაიდან კანონი არ ადგენს რაიმე სპეციალურ დროს, ივარაუდება, რომ „თავისი დრო“ არის დრო დადგენილი ვადის ფარგლებში, როცა საპროცესო მოქმედება უნდა შესრულებულიყო.

41.6. თუკი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ მხარეს შეგნებულად არ უთქვას უარი პროცესში მონაწილეობაზე, შესაგებლის წარდგენაზე, შემთხვევითობის გამო, თუნდაც, ეს შემთხვევითობა მხარის გაუთვითცნობიერებლო-

ბით იყოს გამოწვეული, არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს. სასამართლოს გასაჩივრებულ აქტებში ამაზე საერთოდ არ უმსჯელია.

41.7. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული მიუთითებდა უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნულ განმარტებებზე, სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა, რატომ არ ეთანხმება აღნიშნულ განმარტებებს. ყოველივე აღნიშნულის გამო, გასაჩივრებული სასამართლო აქტები დაუსაბუთებელია და არღვევს მხარის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომლის ნაწილია დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება და, არა უბრალოდ, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება სადაც საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

41.8. დასაქმებული არ იყო ვალდებული, ზედმიწევნით სცოდნოდა სსსკ-ით სასამართლოში საქმისნარმოების წესები.

41.9. სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ ჩათვალა, რომ მხარე არ თანამშრომლობდა სასამართლოსთან, რამ აფიქრებინა სასამართლოს, რომ დასაქმებულმა ცნო სააპელაციო საჩივარი, ან, მან წინასწარი განზრახვით, არ შეიტანა სააპელაციო შესაგებელი სასამართლოში. სასამართლომ არ უპასუხა მხარის არგუმენტებს, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბუნებასთან დაკავშირებით, ამიტომ არსებობს გასაჩივრებული აქტების გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი.

41.10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2014 წლის 30 დეკემბრის №ას-1161-1106-2014 საქმეში, სამოტივაციო ნაწილში მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე Liakopoulou v.Greece, 20627/04,&17.2006 ECHR, სადაც ევროპის სასამართლომ განმარტა შედეგი: „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა, ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონეზე, რომ გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე.

41.11. საქმეზე Georgiy Nikolayevich Mikhayliv v. Russia, 4543/04,&57, 2010,ECHR ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლომ ვადის შემზღუდველი

პროცედურული ნორმა ისეთნაირად განმარტა, რომ ხელი შეუ-  
შალა მომჩივნის საჩივრის გამოკვლევას, რის შედეგადაც ამ უკა-  
ნასკნელის სასამართლოს ეფექტური დაცვის უფლება დაირ-  
ღვა“.

41.12. კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ის  
გარემოება, რომ საქართველოს უზენაში სასამართლოს დიდი  
პალატის ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებაში დავის საგანს  
ნარმოადგენდა სააპელაციო გასაჩივრების კანონით დადგენი-  
ლი ვადა, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან გაგრძე-  
ლებას. განსახილველ შემთხვევაში, საკითხი ეხება სასამარ-  
თლოს მიერ დადგენილ ვადას, რომელიც შეიძლება გაგრძელე-  
ბულიყო, თუკი მხარე ამ ვადის გასვლამდე აღმოაჩენდა, რომ  
ვერ ასწრებდა შესაგებლის შეტანას.

41.13. ამ შემთხვევებშიც, არსებობს სსსკ-ის 393-ე მუხლის  
პირველი ნაწილის და მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვა-  
ლისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი. სასამართლომ  
არ გამოიყენა სსსკ-ის 215-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომე-  
ლიც მხარეს ავალდებულებს, შუამდგომლობა დაყენოს წერი-  
ლობით სახით.

41.14. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს  
არ გამოკვლევია და არ უშსჯელია იმაზე, რეალურად დაკარგა  
თუ არა მხარემ დავისადმი ინტერესი, არამედ მექანიკურად და  
დაუსაბუთებლად დაასკვნა, რომ დადგენილ ვადაში შესაგებ-  
ლის ნარულდებულობა მიიჩნევა ასეთი ინტერესის დაკარგვად.

42. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით დასაქმებულის საკასა-  
ციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხ-  
ლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის იურიდიული  
დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის შესწავლის, შედე-  
გად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყოფილდეს  
ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

43. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სა-  
სამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის  
ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით,  
საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-  
განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტი-  
ლებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედვე-  
ლობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი

ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)

44. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, იურიდიულად გამართლებულად მიიჩნია დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა. სსკ-ის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. აღნიშნული ნორმით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში კი, გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (სსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე მუხლი). სსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგ მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩინენის ახსნა-განმარტებას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ მოწინააღმდეგ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის დრო, კანონით დადგენილი წესით, ეცნობა, არასაპატიო მიზეზით, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე აცნობა სასამართლოს. სსკ-ის 387-ე მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელ ნორმათა შორისაა 232<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მოპასუხის მიერ, ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) ნარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს, ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სსკ-ის 70-ე-78-ე

მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასამართლო მოთხოვნასთან დაკავშირებით. „ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შესაგებლის წარუდგენლობის მოგივით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტნა დაიშვება თუ: ა) მოპასუხე (მოწინააღმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იქნა ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით ჩაბარდა სარჩელი (სააპელაციო საჩივარი) და თანდართული მასალები და ამომწურავად განემარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგები; ბ) მოპასუხემ (მოწინააღმდეგე მხარემ) ბრალეულად დაარღვია შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა; გ) სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო (სააპელაციო) მოთხოვნას. აღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემოწმებას, სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება, იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს“ (იხ. სუსგ №ას-535-509-2013, 24.03.2014წ.). საკასაციო სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე მითითებით, რომელიც დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის წარმატებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ განსახილველ სადავო სამართალურო თობაში, სააპელაციო საჩივრის მოწინააღმდეგე მხარე იყო მოსარჩელე, რომელიც ამჟამად კასატორია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომ სასამართლოში და-

უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის გასათვალის-ნინებელია არა მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების იურიდიული მართებულობა მოთხოვნასთან მი-მართებით, არამედ ისიც, თუ რამდენად აპათილებს კანონის ძა-ლით დადგენილად მიჩნეული, ამავე საჩივარში მითითებული გა-რემოებები გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქ-ტობრივ გარემოებებს.

45. განსახილველ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს სააპელა-ციო საჩივარში მითითებული მოთხოვნის ფაქტობრივი შემად-გენლობა (დადგენილად შიჩნეული გარემოებები) და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება (რამდენად გააბათილა აპელანტმა გადაწყვეტილებაში მითითე-ბული ფაქტები).

46. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენი-ლია, ნინამდებარე განჩინების 18-21 პუნქტებში მითითებული გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთ-ხოვნის დამასყოფილებას. ამ გარემოებათაგან, საკასაციო სა-სამართლო ყურადღებას ამახვილებს, დასაქმებულის უფლება-ზე, ინდივიდუალურად, გასაგებად, არაორაზროვნად ყოფილი-ყო გაფრთხილებული დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრუ-ლების შეწყვეტის საფუძველზე, რაც უკავშირდება კონსტიტუ-ციის 30-ე მუხლით გარანტირებულ შრომის უფლებას. დამსაქ-მებლის სააპელაციო საჩივრით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილე-ბაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაბათილების ფაქ-ტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები არ დგინდება დაუსწრე-ბელი გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მსჯელობის მიხედ-ვით, რომელიც ძირითადად სააპელაციო შესაგებლის წარუდ-გენლობის პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგებს ეხება, ხო-ლო რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ რატომ მიიჩნია სააპელა-ციო სასამართლომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებე-ბი დადგენილად, კერძოდ, რომ დამსაქმებელმა უზრუნველყო დასაქმებულის დროული გაფრთხილება ხელშეკრულების შეწ-ყვეტის თაობაზე (იხ. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილება) არ არის დასაბუთებული.

47. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამატებით კვლე-ვას და შესაბამის შეფასებას საჭიროებს მოდავე მხარეთა შო-რის 2013 წლის 1 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულების 3.3. პუნქტი, რომლითაც დამსაქმებელი ვალდებული იყო, ხელშეკ-რულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინება გაეგზავნა დაზ-ღვეული წერილით, ან ჩაეგარებინა უშუალოდ ადრესატისათ-ვის; ასევე, გამოსაკვლევია მხარეთა შორის 1 აგვის-

ტოს დადებული ხელშეკრულების 4.3. პუნქტი. მითითებული პუნქტით, ორივე შეთანხმების პირობების მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, დასაქმებულს უშუალოდ, ინდივიდუალურად უნდა მიეღო შეტყობინება დამსაქმებლისაგან. წინამდებარე განჩინების მე-18, მე-19 პუნქტებში მითითებული გარემოებებისა და შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე [შრომითი ურთიერთობებისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობოთ განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები] საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩინა აღნიშნოს, რომ დასაქმებულის ერთ-ერთ ძირითად უფლებას განეკუთვნება, მისი წინასწარი ინფორმირება, გასაგებად, არაორაზროვნად და დროულად, შესაძლო გათავისუფლების შესახებ, რა საფუძვლითაც არ უნდა იყოს აღნიშნული გამოწვეული. სასამართლო განმარტავს, რომ შრომის კოდექსის 38-ე მუხლი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს, თითოეული მათგანის შემთხვევაში, ცალსახად აწესრიგებს დამსაქმებლის იურიდიულ ვალდებულებას, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გააფრთხილოს დასაქმებული მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაქმებულის გათავისუფლებისათვის, მისი წინასწარი ინფორმირება გამომდინარეობდა მხარეთა შორის 01.08.2013 ხელშეკრულების 4.3. პუნქტიდან. წინამდებარე განჩინების მე-4, 13-18 პუნქტებზე მითითებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის მითითებული, თუ რომელი საფუძვლით მიიჩნია სასამართლომ გათავისუფლებულად დამსაქმებელი ტელეკომპანიიდან, თუმცა, მიუხედავად ამისა, დამსაქმებელმა აიღო ვალდებულება, წინასწარ ეცნობებინა დასაქმებულისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. სწორედ ამ კონტექსტშია მნიშვნელოვანი დადგინდეს, საპელაციო საჩივარში მითითებული რომელი გარემოებები ამართლებს, სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო მოთხოვნას, რადგან ამგვარი მსჯელობა და დასკვნები გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში არ არის ასახული. აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მსჯელობას შესაგებლის წარდგენის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, ისინი არ უნდა იქნეს გაზიარებული, მათი იურიდიული დაუსაბუთებლობის მოტივით.

47. ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალ-სიწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ ნაწილობ-რივ უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გა-საჩივრებული 2015 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვე-ტილება, ასევე სააპელაციო სასამართლის იმავე წლის 21 მაი-სის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზერ უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ (საქმე №2ბ/7089-14) და საქმე ხელახლა განსახილველად და-უბრუნდეს იმავე სასამართლოს.

48. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-ლებულია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე მუხლე-ბით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. კ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის 2015 წლის 15 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს ხელახლა განსახილველად;

3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-ლებულია;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საპირელი

### 1. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება .....	3
სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების წინაპირობები .....	8
სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების წინაპირობები .....	14
სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება .....	26
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის .....	30;38
2. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები .....	50
3. სასამართლო უწყების ჩაბარება .....	54
4. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება	
მტკიცების ტვირთი .....	66;73
მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება .....	93;100
5. სარჩელის უზრუნველყოფა	
განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ .....	109;119;133
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება .....	140
სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორეთი .....	149;153
სასამართლო გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება .....	162;170
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები .....	176
მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები .....	182
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა .....	196
7. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა .....	202
8. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები .....	212;220